



მასწავლებლის ბიბლიოთეკა



თეორიული მასალა და ტესტები

# პროფესიული უნარები

მასწავლებელთა გამოსვლებისათვის

**მასწავლებლის ბიბლიოთეკა**

# **კედაგობიური უნარები**

- სწავლისა და განვითარების თეორიები
- მოტივაცია
- კომუნიკაცია
- სასკოლო კონფლიქტები
- სასწავლო გარემო
- სწავლება და შეფასება
- ტესტები პასუხებით



ასოციაცია „ზეკარი“

თბილისი 2017

გამოვიდა კიდევ ერთი სახელმძღვანელო სერიით „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. რომელიც საგანგებოდ შეიქმნა მასწავლებლებისთვის, პედაგოგიური სპეციალობის სტუდენტებისთვის, პედაგოგიკის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

წიგნი გზამკვლევის ტიპისაა და აგებულია კითხვა-პასუხზე, რაც მკითხველს გაუადვილებს მისთვის საჭირო საკითხის მოძიებას. საკითხები კი განხილულია კონცეპტუალურად და მდიდარია კონკრეტული მაგალითებით.

სახელმძღვანელო მასწავლებლებს დაეხმარება ეფექტურად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, აწარმოონ პორტფოლიო, წარმატებით ჩააბარონ გამოცდა, მიაღწიონ წარმატებებს კარიერაში.

სახელმძღვანელო სტუდენტებს დაეხმარება მოემზადონ გამოცდებისთვის, გაეცნონ პედაგოგიკის საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, მოამზადონ საკურსო და საკონფერენციო თემები.

## მასალები მომზადდა ასოციაცია „ზეკარის“ პროექტის ფარგლებში

შემდგენელი:

მანანა ბოჭორიშვილი

კონსულტანტი:

თამარ მოსიაშვილი

© ასოციაცია „ზეკარი“ 2017

ISBN 978-9941-0-9702-7

ასოციაცია „ზეკარი“

ტელ: 599 93 07 60

ელ. ფოსტა: zekari@gmail.com

www.zekari.org.ge

## სარჩევი

ბენჯამენ ბლუმი განათლების მიზნების ტაქსონომია . . . . .	5
ალბერტ ბანდურა სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია . . . . .	11
დიმიტრი უზნაძის თეორია და პედაგოგიკა . . . . .	17
კოლბერგის მორალური განვითარების თეორია . . . . .	24
აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია და პედაგოგიკა .	27
კარლ როჯერსი ჰუმანისტური ფსიქოლოგია და სწავლა გამოცდილებით .	32
ჯერომ ბრუნერი აღმოჩენებით სწავლის თეორია /მნიშვნელოვანი კონცეპტები/ . . . . .	37
დევიდ პერკინსი განათლების თეორია . . . . .	42
ბერას ფრედერიკ სკინერი ოპერანტული განპირობებულობის თეორია . .	51
ედვარდ ლი თორნდაიკი დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით . . .	59
ლევ ვიგოტსკი განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია . . . . .	61
ჟან პიაჟე ინტელექტის განვითარების თეორია . . . . .	66
ჯონ დიუი პროგრესული განათლება და სწავლა გამოცდილებით . . . .	74
ჰოვარდ გარდნერი მრავალმხრივი ინტელექტის თეორია . . . . .	76
საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო . . . . .	78
კლასის მართვის სტილი . . . . .	82
გაკვეთილის დროის მართვა და გაკვეთილის ეტაპები . . . . .	84
საკლასო ორგანიზაციის მოდელები . . . . .	87
ჯგუფური მუშაობა . . . . .	92
ჯგუფური მუშაობის მართვა . . . . .	96
ქცევის წესები . . . . .	99
ქცევის თვითმართვა . . . . .	102
მშობლების ჩართულობა . . . . .	104
ეფექტური კომუნიკაცია . . . . .	105
კონფლიქტების მართვა . . . . .	111
მოსწავლეთა მოტივაცია . . . . .	117
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება . . . . .	120
სწავლა-სწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმა . . . . .	123
ტერმინთა განმარტება . . . . .	151
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	155

## ბენჯამენ ბლუმი

(1913-1999)

### განათლების მიზნების ტაქსონომია

ბენჯამენ ბლუმი, დოქტორი განათლების დარგში, 1940 წლიდან მოღვაწეობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. 1948 წლიდან ბლუმი ხელმძღვანელობდა განათლების ფსიქოლოგიის კომიტეტს, რომლის მიზანი იყო სასწავლო ქცევების კატეგორიების იდენტიფიკაციის სისტემის შემუშავება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ბლუმმა მუშაობა სწავლის მიზნებისა და სწავლების შედეგების კლასიფიკაციის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც გამოდგებოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ობიექტური შეფასებისათვის. ეს სისტემა "ბლუმის ტაქსონომიის" სახელწოდებით არის ცნობილი და ჩამოყალიბებულია ბლუმის და მისის თანამოაზრეების ცნობილ სამტომეულ ნაშრომში: „განათლების მიზნების ტაქსონომია“ (1956; 1964; 1970)



#### რა არის ტაქსონომია და რას გულისხმობს ბლუმის ტაქსონომია?

ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების საფუძველზე ჯგუფების, კატეგორიების გამოყოფის სისტემა. ბლუმის ტაქსონომია გულისხმობს სწავლის მეთოდისა და შეფასების კლასიკურ სტრუქტურას: ცოდნას, განწყობას, ჩვევებს. ეს მოდელი სასწავლო მიზნების, სწავლებისა და სწავლების შედეგების გაზომვის ეფექტური საშუალებაა. ბლუმის ტაქსონომია იძლევა დეტალურ სტრუქტურას სწავლების დაგეგმვის, სასწავლო მეთოდებისა და ტრენინგის ეფექტურობის შეფასებისათვის. ბლუმის მიხედვით, განათლების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ – მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.

#### ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის რა სფეროებს აღწერს?

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

- **კოგნიტურს (შემეცნებითს):** ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება.
- **აფექტურს (ემოციურს):** გრძნობები, ემოციები, განწყობები.

- **ფსიქომოტორულს:** ფიზიკური უნარები და ჩვევები.

სამივე სფეროში კატეგორიები იერარქიულადაა განლაგებული სირთულის მიხედვით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ კატეგორიაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. ამგვარად, ყოველი სფეროს ფარგლებში გამოიყოფა განვითარების დონეები მარტივიდან რთულისკენ.

კეძოდ, ბლუმი თავისი ტაქსონომიის სფეროებს შემდეგნაირად აღწერს:

კოგნიტური	აფექტური	ფსიქომოტორული
ცოდნა	განწყობა	ჩვევები
1. ფაქტების გახსენება	1. მიღება (გაცნობიერება)	1. იმიტაცია
2. გაგება	2. რეაგირება	2. მანიპულაცია (მითითების მიხედვით)
3. გამოყენება	3. ღირებულების გააზრება	3. ზუსტი შესრულება (მი- ღწევა)
4. ანალიზი	4. პიროვნების ღირებულებათა სისტემის ორგანიზება	4. ჩვევების ინტეგრირება
5. სინთეზი	5. ღირებულებათა სისტემის გათავისება	5. ნატურალიზაცია (ავტო- მატიზაცია, ექსპერტად „ჩა- მოყალიბება“)
6. შეფასება	—	—

### რამდენ დონეს მოიცავს ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო?

ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო მოიცავს ექვს დონეს, რაც შეესაბამება აზროვნების, ინტელექტუალური მოქმედების განსხვავებულ დონეებს მარტივიდან რთულისკენ.

კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო

დონე	კატეგორია	ქცევის აღწერილობა	დასაოსტატებელი მოქმედების/შესაფასებელი შედეგის აღწერა	სიტყვები, რომლებიც უკეთ აღწერენ სფეროს
1	ცოდნა	ინფორმაციის ცნობა ან გახსენება	ფაქტის, ცნების, განმარტების, წესის, შინაარსის გახსენება, პროცედურის ან წესის მოტანა	დაალაგე, აღწერე, განსაზღვრე, გაიხსენე, შეარჩიე, დააკავშირე.

2	გაგება	აზრის გაგება, საკუთარი სიტყვებით ფაქტის გადმოცემა	მსჯელობის, ცნების ან კონცეფციის აზრის ახსნა და ინტერპეტაცია, სამოქმედო გზის ან პრობლემის გადანყვეტის დასახვა	ახსენი სეაჯამე, განსაჯე, მოიყვანე მაგალითი, ილუსტრაცია, დააჯგუფე (გააკეტი კლასიფიკაცია), შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე
3	გამოყენება	ცოდნის თეორიის პრაქტიკაში და რეალურ სიტუაციაში გამოყენება	თეორიის გამოყენება პრაქტიკული შედეგის მისაღებად, ამოცანის გადანყვეტა, მოქმედების განხორციელება	გამოიყენე, გადანყვიტე, განახორციელე, მოამზადე, შეცვალე, ააგე
4	ანალიზი	ელემენტების, სტრუქტურის, აგებულების, ორგანიზაციული პრინციპების, შინაგანი მიმართულებების ინტერპეტაცია	პროცესის ან ცნების ნაწილების გამორჩევა, ფუნქციების, მეთოდოლოგიის ან პროცესის ფუნქციების ანალიზი, ელემენტების მიმართების, მათი ფუნქციონირების შედეგების თვისებრივი ანალიზი;	გაანალიზე, შეადარე, გაზომე, შეამონმე, ჩაატარე ექსპერიმენტი, გამოსახე გრაფიკულად, ააგე დიაგრამა, შეაფასე.
5	სინთეზი	ახალი, უნიკალური სტრუქტურის, სისტემის მოდელის შექმნა, ახალი იდეის, ახალი მიდგომის ჩამოყალიბება	გეგმისა და პროცედურების შემუშავება, გადანყვეტის ალგორითმის შექმნა, იდეების საშუალებებისა და მეთოდების ანტიგერიება; ახალი მიდგომების შემუშავება.	შეიმუშავე გეგმა, შექმენი, ააგე, გადაამონმე, გარდაქმენი, ააწყვე, შეცვალე, შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამონმე.
6	შეფასება	მოდელის, კონცეფციის ეფექტურობის შეფასება მისი შედეგიანობის, გამოყენების თვალსაზრით, კრიტიკული ანალიზი	სტრატეგიული ვარიანტებისა და გეგმების, მათი შედეგიანობის შეფასება ხარჯთეფექტურობისა და პრაქტიკულობის თვალსაზრისით; გეგმის ან სტრატეგიის ეფექტურობის შეფასება, რისკების შეფასება.	შეაფასე, დაასაბუთე, გამოიკვლიე, მოიყვანე არგუმენტები.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ინფორმაციის შენახვა და გახსენება ინტელექტუალური აქტივობის ყველაზე დაბალი საფეხურია, რაც სწავლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იმისათვის, რომ მიღებული ინ-

ფორმაცია განზოგადდეს და შემდგომში ადეკვატურად იქნეს გამოყენებული, აუცილებელია მისი გაგება და სათანადო ანალიზი; ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი აუცილებელია სინთეზისა და შეფასების მოქმედებების, პროცესების განვითარება.

### რა მნიშვნელობა აქვს ბლუმის ტაქსონომიას გაკვეთილის დაგეგმვისას და როგორია დონეების აღწერა?

ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური სფეროს დონეები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული კონკრეტული გაკვეთილის დაგეგმვისას როგორც თემის ახსნის, ასევე – დავალებისა და შეფასებისათვის ტესტური კითხვების შემუშავების დროს. ბლუმის მიხედვით დონეების აღწერა:

**I – ცოდნის დონე:** კონკრეტული თემის ახსნისას მასწავლებელი განმარტავს ახალ წესებს, ცნებას, ან მიანვდის ახალ ფაქტებს მოსწავლეებს.

**II დონე – გაგება:** ბლუმის კონცეფციის თანახმად, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა აითვისონ კონკრეტული თემა, ცოდნა არ არის საკმარისი, მასწავლებელმა უნდა ახსნას ცნება, წესი ან ფაქტი, გაცნოს მათ შესაბამისი თვალსაზირობა და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით შეაჯამოს ახალი ინფორმაცია.

**III დონე – გამოყენება:** მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ის რეალური სიტუაციები, რომელთა დროს ისინი გამოიყენებენ გაკვეთილზე მიღებულ თეორიულ ცოდნას;

**IV დონე – ანალიზი:** მას შემდეგ, რაც მიწოდებულია ახალი ინფორმაცია, მასწავლებელმა კონკრეტულ თემაზე მსჯელობისას შეიძლება გამოყოს საკითხის სხვადასხვა მხარე და ერთმანეთს შეადაროს ისინი, ან პროცესი დაშალოს ელემენტებად, ან კიდევ – მოსწავლეებს ჩაატარებინოს ექსპერიმენტი. ასევე, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს მოიძიონ და შეადარონ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტი, შეხედულება, დააფიქსირონ მათ შორის განსხვავება, მსგავსება, გაანალიზონ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები.

**V დონე – სინთეზი:** მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს შესწავლილი ფაქტების, წესებისა თუ თეორიის საფუძველზე მოიფიქრონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზები, შეიმუშავონ ჰიპოთეზები და დასაბონ მათი შემონმების გზები.

**VI დონე – შეფასება:** ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს დისკუსიას, სადაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შესწავლილი თეორიის ან მიდგომის პრაქტიკულ და თეორიულ მხარეებს და სთხოვს მათ, მოიყვანონ არგუმენტები ამ თეორიის თუ მიდგომის შედეგიანობის, პრაქტიკული გამოყენების, წინააღმდეგობრივი ფაქტების შესაფასებლად.

## როგორია ბლუმის ტაქსონომიის მეორე და მესამე სფეროები?

ბლუმმა ტაქსონომიის მეორე, აფექტური სფეროს დონეები შეიმუშავა კრათვოლსა და მასიასთან ერთად (1964). ბლუმის მოდელის მიხედვით განწყობის ჩამოყალიბების სტრუქტურის, ადამიანის ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებისა და ემოციური დამოკიდებულებების ცოდნა მნიშვნელოვანია გაკვეთილის, ტრენინგის დაგეგმვის, ჩატარებისა და შეფასებისათვის.

ბლუმის ტაქსონომიის მესამე სფეროში (ფსიქომოტორული) გამოყოფილია ფიზიკური ჩვევების ჩამოყალიბების დონეები. ამ სფეროს დონეები ბლუმის იდეებზე დაყრდნობით აღწერა რ. დეივმა (1970)

დონე	კატეგორია	ქცევის აღწერილობა	დასაოსტატებელი მოქმედების/ შესაფასებელი შედეგის აღწერა	სიტყვები, რომლებიც უკეთ აღწერენ სფეროს
1	იმიტაცია	სხვისი მოქმედების მიბაძვა და გამეორება	მასწავლებლის მოქმედებაზე მიბაძვა და გამეორება	თვალი მიადევნე, გაიმეორე
2	მანიპულაცია	მითითების მიხედვით ან მესხიერებით მოქმედების აღდგენა	მოქმედების შესრულება წერილობითი ან ვერბალური მითითების მიხედვით	შეასრულე, განახორციელე, ააგე
3	სიზუსტე	ჩვევის დამოუკიდებლად განხორციელება	მოქმედების შესრულება მითითების და დახმარების გარეშე; სხვისთვის მოქმედების ჩვენება	აჩვენე, დაასრულე, შეამოწმე, ზუსტად შეასრულე
4	ჩვევების კომბინირება	ახალი არასტანდარტული მიზნის მისაღწევად ჩვევის ინტეგრირება	სხვადასხვა მოქმედების დაკავშირება ახალი მოთხოვნების შესაბამისი ახალი მეთოდის შესამუშავებლად	შეიმუშავე, შეაჯერე, გადაწყვიტე, გააერთიანე, შეიტანე ცვლილება, ივარჯიშე
5	ნატურალიზაცია	ავტომატიზება, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე საჭიროებისამებრ მოქმედების განხორციელება	მიზნის, სტრატეგიისა და მიდგომის განსაზღვრა სტრატეგიული საჭიროების მიხედვით	გააკეთე, დააზუსტე, შექმენი.

## რა მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნული საფეხურების მიხედვით სწავლებას?

ზემოაღნიშნული საფეხურების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ჩვევის სწავლებისა და ავტომატიზაციისათვის.

## განვიხილოთ მაგალითი კოგნიტური უნარების განვითარების მიხედვით?

ეს ეხება არა მხოლოდ მოტორულ ჩვევებს, არამედ ისეთი კოგნიტური უნარების განვითარებასაც, რომლებიც ჩვევად ყალიბდება და ავტომატიზდება, კერძოდ, წერა-კითხვას. მაგალითისთვის, შეიძლება განვიხილოთ ველოსიპედის ტარების ჩვევის ათვისების საფეხურები:

**იმიტაცია:** ბავშვი უყურებს სხვის მოქმედებას და ცდილობს, გაიმეოროს ის — ველოსიპედზე დაჯდომა, საჭის სწორად დაჭერა, პედლების ტრიალი;

**მანიპულაცია:** ბავშვი იხსენებს, როგორ უნდა დაჯდეს ველოსიპედზე, როგორ უნდა მოჰკიდოს ხელები საჭეს, მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ველოსიპედის მართვას. შემდეგ მასწავლებელი სიტყვიერი მითითებით ეხმარება: “საჭე სწორად გეჭიროს, ფეხი ცოტა განზე განიე და ა.შ.”

**სიზუსტე:** ბავშვი უკვე დამოუკიდებლად, თუმცა მოუქნელად ატარებს ველოსიპედს, ხშირად ვარდება და ცდილობს, გაავარჯიშოს ნასწავლი მოძრაობები.

**ჩვევების კომბინაცია:** ბავშვი ცდილობს ისწავლოს აღმართზე და დაღმართზე სიარული, როდესაც ხელების, ფეხების და ტანის კორპუსის შეთანხმებული მოძრაობები სხვაგვარ კოორდინაციას საჭიროებს, ვიდრე სწორ გზაზე მოძრაობა;

**ნატურალიზაცია:** ბავშვი ველოსიპედს ატარებს ავტომატურად, ისე, რომ არ ფიქრობს საკუთარი სხეულის მოძრაობებზე და პარალელურად სხვა მოქმედებების განხორციელებაც კი შეუძლია, მაგ., შეუძლია ხელები დაკავებული ჰქონდეს და ისე ატაროს ველოსიპედი.

## რა მიზნით იყენებენ ბლუმის ტაქსონომიას განათლების სისტემაში?

ბლუმის ტაქსონომიას წარმატებით იყენებენ განათლების სისტემაში სასწავლო გეგმების შექმნის, სასწავლო პროგრამების შემუშავების და მათი შედეგების შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვისა და ტესტური დავალებების შედგენისას. ამავ დროს, ბლუმის ტაქსონომიას იყენებენ ორგანიზაციებში თანამშრომლების ტრენინგის დაგეგმვის, ტრენინგის პროგრამის შემუშავებისა და ტრენინგის შედეგების შეფასებაში.

## ალბერტ ბანდურა

### სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

ალბერტ ბანდურა დაიბადა 1925 წელს, კანადაში. ალბერტ ბანდურა სტენფორდის დ. ჯორჯის სახელობის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების კათედრის პროფესორი და ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე იყო. ბანდურა სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის ავტორია.



#### რატომ უწოდა ბანდურამ თავის თეორიას სოციალურ-კოგნიტური?

ბანდურამ თავის თეორიას სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია უწოდა, რადგან, მისივე განმარტებით, „სოციალური“ ხაზს უსვამს ადამიანის შემეცნებისა და ქცევის სოციალურ წარმომავლობას, ხოლო „კოგნიტური“ – ადამიანის ემოციაზე, მოტივაციასა და ქმედებებზე შემეცნებით პროცესების ზემოქმედებას.

#### რა არის ბანდურას თეორიის ძირითადი თემა და რაში მდგომარეობს ახალი მიდგომა რაც გამოარჩევს ბანდურას თეორიას დასწავლის სხვა თეორიებისგან?

ბანდურას თეორიის ძირითადი თემა არის დაკვირვების გზით დასწავლა. მის თეორიაში ხაზგასმულია, რომ ადამიანმა შეიძლება შეიძინოს ახალი გამოცდილება, ახალი ქცევა, არა მხოლოდ უშუალოდ ამ ქცევის განხორციელების გზით, არამედ სხვა ადამიანების (ე. წ. მოდელების) ქცევაზე დაკვირვებითა და მიბაძვით. ეს პრინციპულად ახალი მიდგომა გამოარჩევს ბანდურას თეორიას დასწავლის სხვა თეორიებისგან.

#### ბანდურას მიხედვით როდისაა დასწავლა შესაძლებელი?

ბანდურა მიიჩნევს, რომ დასწავლა შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ადამიანი პირდაპირ არ იმეორებს „მოდელის“ ქცევას. თავისი პოზიციის გასამყარებლად მას შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „წარმოიდგინეთ, რომ ავტომობილით მიდიხართ გზაზე და შეამჩნიეთ, რომ თქვენს წინ მიმავალი ავტომობილი ჩავარდა პატარა ორმოში და დაზიანდა. ასეთ სიტუაციაში ადამიანთა უმრავლესობა გაითვალისწინებს წინა მანქანის შემთხვევას და ავტომობილს

ისე ნაიყვანს, რომ ორმოს თავი აარიდოს. მოცემული შემთხვევა სოციალური დასწავლის ტიპური მაგალითია, თუმცა, როგორც ხედავთ, აქ **დასწავლა მოხდა არა იმიტაციის (გამეორების, მიბადვის), არამედ სხვისი გამოცდილების გაზიარების გზით.** ეს ადასტურებს, რომ სოციალური დასწავლის უნარი არ არის უბრალოდ მიბადვის უნარი, სოციალური დასწავლა ბევრად უფრო კომპლექსური და ფართოა, ვიდრე ამას ფიქრობდა ფსიქოლოგთა უმეტესობა”.

**რამი მდგომარეობდა ბანდურას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსპერიმენტი, რითაც მან დაასკვნა, რომ დასწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც ყოველთვის არ არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე**

კიდევ ერთი პოზიცია, რითაც ბანდურა განსხვავდება თავისი დროის კოლეგებისგან, იმაში მდგომარეობს, რომ ბანდურას თეორიის თანახმად, დასწავლა დაკვირვების მეშვეობით (ანუ სოციალური დასწავლა) არ საჭიროებს არც გარე რეაქციას და არც ე. წ. განმამტკიცებელს (ნახალისებას, ჯილდოს და ა. შ.). მისი აზრით, **დასწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც ყოველთვის არ არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე.** ეს დასკვნა ეფუძნება ბანდურას მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტთა მთელ ციკლს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსპერიმენტი ასეთი იყო:

„დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის ბავშვები სამ ჯგუფად გაანაწილეს ცალ-ცალკე ოთახებში. სხვადასხვა ჯგუფის წევრებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. თითოეულ ჯგუფს აჩვენეს პატარა ფილმი, რომელშიც ადამიანი (შემდგომში მას ვუწოდებთ „მოდელს“) სცემს დიდ თოჯინას. ფილმის პირველი ნაწილი სამივე ჯგუფისთვის იდენტური იყო, ხოლო დასასრული განსხვავებული. პირველი ჯგუფისთვის ფილმი დასრულდა იმით, რომ „მოდელი“ დაჯილდოვდა თავისი აგრესიული ქმედებისთვის (დადებიითი განმტკიცება). მეორე ჯგუფს აჩვენეს ფილმი, სადაც „მოდელი“ დაისაჯა აგრესიული ქმედებისთვის (ნეგატიური განმტკიცება), ხოლო მესამე ჯგუფისთვის განკუთვნილ ფილმში „მოდელი“ ქცევას არ მოჰყოლია არანაირი რეაქცია, იგი არც დაისაჯა და არც დაჯილდოვდა. ექსპერიმენტის მეორე ნაწილში სამივე ჯგუფს მისცეს ზუსტად ისეთი თოჯინა, რომელიც ნაჩვენები იყო ფილმში. როგორც მოსალოდნელი იყო, ბავშვებმა გაიმეორეს „მოდელის“ ქცევა, გამოავლინეს თოჯინის მიმართ აგრესიულობა. ექსპერიმენტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დადგენილიყო იქნებოდა თუ არა განსხვავება რეაგირების ფორმაში ან ინტენსიობაში იმის მიხედვით, თუ რომელი ფილმი ნახეს ბავშვებმა. ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზებამ ცხადყო, რომ პირველი ჯგუფი, სადაც ფილმში „მოდელი“ აგრესიული ქცევისთვის ნახალისებული იყო, განსაკუთრებული სისატიკით ექცეოდა თოჯინას და აგრესიის მაღალ დონეს იჩენდა დანარჩენ ორ ჯგუფთან შედარებით. ყველაზე ნაკლები აგრესიულობა გამოავლინა მეორე ჯგუფმა, მესამე ჯგუფის მაჩვენებლები კი მერყეობდა

პირველსა და მეორეს შორის. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, იმის მუხედევად, რომ არც ერთი ჯგუფის არც ერთ ნევრი არც დაისაჯა და არც ნახალისდა, მათ გათავისებული ჰქონდათ „მოდელის“ ქცევა და ის რეაქცია (შედეგი), რომელიც მოჰყვა ამ ქცევას თითოეულ ფილმში“.

ამდენად, ბანდურას აზრით, სოციალური დასწავლა მუდმივი პროცესია, მიმდინარეობს ყველა გარემოში და არ საჭიროებს არც ქცევის წინა პირობას და არც ქცევის შემდგომ განმტკიცებას, ნახალისებას, დასჯას ან სხვა გარეგან რეაგირებას.

### **ბანდურას მიხედვით რომელი პროცესები ახდენს ზეგავლენას დაკვირვებით დასწავლაზე?**

ბანდურა აღწერს ოთხ პროცესს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დაკვირვებით დასწავლაზე:

ყურადღების პროცესები

1. მნემური პროცესები
2. ქცევის ფორმირების პროცესები
3. მოტივაციური პროცესები

### **რაში მდგომარეობს თითოეული პროცესის არსი?**

#### **I. ყურადღების პროცესები**

იმისათვის, რომ „მოდელისგან“ რაიმე ისწავლო, მას აუცილებლად უნდა მიაქციო ყურადღება, უნდა დაინახო ის. თუ ოთხი წლის ბავშვი დაინახავს, რომ მის თანატოლს თამაშის დროს ძალღმა უკბინა, ის შემდგომში თავადაც მოერიდება ძალღს. მაგრამ თუ ამ დროს მისი ყურადღება მიჰყრობილი იყო მეორე თანატოლისაკენ, რომელმაც დანით ხელი გაიჭრა, მაშინ ის მოერიდება არა ძალღს, არამედ დანის ხელში აღებას.

#### **II. მნემური პროცესები**

იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია მომავალში გამოვიყენოთ, აუცილებელია მისი დამახსოვრება. მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვა ხატოვანი ან ვერბალური სიმბოლოების სახით ხდება. ბანდურა თვლის, რომ რაიმე მოვლენის მეხსიერებაში ასახვის დროს ვერბალური და ხატოვანი სიმბოლოები თანაბრად მონაწილეობს. შეუძლებელია, სიტყვის გახსენებამ არ გამოიწვიოს შესაბამის ხატის წარმოდგენა და პირიქით, სურათის შეხედვამ – მისი შესატყვისი სიტყვები არ გაახსენოს ადამიანს.

### III. ქცევის ფორმირების პროცესები

ადამიანი შეიძლება ყურადღებით აკვირდებოდეს მაიმუნის ხიდან ხეზე ხტუნვას, ზუსტად დაიმახსოვროს მისი მოძრაობები, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ შეძლოს ამ ქცევის დასწავლა და განმეორება, ვინაიდან ადამიანის ფიზიკური მონაცემები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. შესაბამისად, დასწავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ფიზიკურად შეეძლოს ქცევის განხორციელება.

### IV. მოტივაციური პროცესები


მართალია, ბანდურას მიერ განმტკიცება (ანუ ქცევის შედეგად მიღებული რეაგირება) არ არის გაგებული, როგორც ქცევის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი (როგორც ეს წარმოედგინა ბევრ მეცნიერს), იგი მას მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ყურადღებას უთმობს თავის თეორიაში. ბანდურას თეორიაში განმტკიცება ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ჯერ ერთი, მის საფუძველზე დამკვირვებელს (ანუ მას, ვინც სწავლობს) უჩნდება მოლოდინი, რომ ნახალისებული ქცევის გამეორების შემთხვევაში მასაც დააჯილდოებენ და მეორე – მოტივაციური პროცესების საფუძველზე აღიძვრება ნასწავლის გამოყენების მოთხოვნილება.

#### რაში მდგომარეობს ბანდურას კონცეფცია და რა სახელითაა იგი ცნობილი?

ბანდურას კონცეფცია ურთიერთდეტერმინიზმის სახელითაა ცნობილი. ის გულისხმობს ადამიანის, გარემოსა და ადამიანის ქცევის თანაბარ ურთიერთ-ზემოქმედებას. ადამიანს შეუძლია, გარკვეული ქცევით ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. თავის მხრივ, გარემოც ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მისი ქცევის ცვლილებას.

#### როგორ გამოისახება ბანდურას კონცეფცია, სქემატურად??

სქემატურად ბანდურას კონცეფცია ასე გამოისახება:



## ბანდურას თეორიის მიხედვით, როგორია ადამიანის ქცევის რეგულირების მექანიზმი და რა როლს თამაშობენ სტანდარტები და სიტუაციები?

ბანდურა თვლის, რომ ადამიანის ქცევა თვითრეგულირებადია. სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებისა და საკუთარი გამოცდილების შედეგად, ადამიანს უყალიბდება ქცევის სტანდარტები, რომლებიც წარმოადგენს თვითრეგულაციისა და სხვა ადამიანების ქცევის შეფასების ძირითად საფუძველს. თუკი სხვა ადამიანის ქცევა აღემატება საკუთარი თავისთვის დასახული ქცევის სტანდარტებს, ქცევა ფასდება დადებითად, ხოლო თუ ის სტანდარტზე ბევრად უფრო ნაკლებია ან შეუსაბამოა, მაშინ უარყოფითად. ანალოგიური ვითარება საკუთარი ქცევების შეფასების თვალსაზრისითაც. ქცევა, რომელიც ადამიანის მიერ შეფასებულია, როგორც სტანდარტის შესატყვისი, უფრო თავდაჯერებულს ხდის მას და პირიქით, ქცევამ, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის მორალურ პრინციპებს, სტანდარტებს, შეიძლება გამოიწვიოს უპატივცემულობა საკუთარი თავის მიმართ.

## ბანდურას მიხედვით რა მექანიზმების გამოყენებით ახერხებს ადამიანი თავი აარიდოს უსიამოვნო განცდას?

ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა სიტუაციური ბუნებისაა, გარკვეული მექანიზმების გამოყენებით ადამიანი ადვილად ახერხებს აარიდოს თავი ამ უსიამოვნო განცდას. ბანდურა ასახელებს შვიდ ასეთ მექანიზმს:

1. **მორალური გამართლება** (იმიტომ მოვიპარე, რომ ჩემს შვილს შიოდა);
2. **წარმოდგენების შეცვლა** (თუ სიტუაციას თამაშის, ხუმრობის სახე აქვს, მაშინ საზოგადოებაში აგრესიის გამოვლენა მიუღებელ ქცევად არ ჩაითვლება);
3. **მომგებიანი შედარება** (მე ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მან უარესი ჩაიღინა, ასე რომ, ჩემი ქცევა ამის ფონზე სრულიად უწყინარია);
4. **პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება** (იმიტომ გავაკეთე, რომ ასე მიბრძანეს, დამავალეს და ა. შ.);
5. **პასუხისმგებლობის განაწილება** (გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო და არა მე, მე დავემორჩილე);
6. **შედეგების იგნორირება ან დამახინჯება** (მე მხოლოდ ფეხი დავუდე, ის დაეცა, მაგრამ არაფერი არ უტყენია, წამოხტა და გაიქცა);
7. **დეჰუმანიზაცია** (თუ ადამიანს განიხილავ ადამიანური თვისებების არმქონედ, ანუ უღირსად, მაშინ მის მიმართ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა უფრო მარტივი ხდება);

8. დანაშაულის სხვაზე მინერა (მართალია, დავარტყი, მაგრამ მისი ბრალი იყო, თვითონ გამომინვია, მე სულაც არ ვაპირებდი მის ცემას).

### ქცევის თვითრეგულაციაში რა როლს თამაშობს მოთხოვნების დონე?

ქცევის თვითრეგულაციაში, სტანდარტებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომთხოვნელობის დონე. ადამიანი, რომელსაც მომთხოვნელობის მაღალი დონე აქვს, უფრო თავდაჯერებული და მიზანსწრაფულია. ბანდურა მიიჩნევს, რომ აუცილებელია, მომთხოვნელობის დონე შეესაბამებოდეს ქცევის რეალურ შედეგს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი განიცდის იმედგაცრუებას და შეიძლება, მიატოვოს ყველანაირი საქმიანობა.

### ქცევის განმტკიცების პროცესში რა როლს თამაშობს თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება?

ადვილი შესაძლებელია, ქცევის სტანდარტები და ადამიანის შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. თუ სტანდარტი უფრო მაღალია, ადამიანს, შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს დეპრესია, არასრულფასოვნების განცდა ან ქრონიკული გაუბედაობა. ბანდურა თვლის, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის დადებითად ფასდება არა გარეშე პირის, არამედ თავად ამ ადამიანის მიერ. ე. ი. თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან განმამტკიცებელზე უფრო ძლიერია.

## უზნაძის თეორია და პედაგოგიკა

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიური ცნების ზუსტ განმარტებას. ასეთი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საფუძველი დაედო ერთიანი და აქტიური პიროვნების როგორც აღზრდის ობიექტის იდეას. იდეას, რომელიც შემდეგ განწყობის თეორიაში გადაიზარდა. პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ. ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომში “ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი”, შეიძლება ითქვას, გადაჭრილი იყო პედაგოგიკის ძირითადი პრობლემები.



**უზნაძის თეორიის მიხედვით, რა მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად?**

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და „განწყობის თეორიის“ ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს.

**როგორ განმარტავს ქცევას უზნაძე?**

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

## ქცევის რამდენ კატეგორიას გამოყოფს უზნაძე და როგორ აღწერს მათ?

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: ექსტროგენურსა და ინტროგენურს.

**ექსტროგენურია ქცევა**, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არ აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად აქტივობის, მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარ არის იძულებული, გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს, უზნაძე ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, ის ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე **ინტროგენურ ქცევას** უწოდებს.

## დასახელები ექსტროგენური და ინტროგენური ქცევის ფორმები

უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით

### ექსტროგენური ქცევის ფორმებია

- მოხმარება
- მომსახურება
- შრომა
- საქმე

### ინტროგენური ქცევის ფორმებია

- ესთეტიკური ტკბობა
- ხელოვნება, შემოქმედება
- თამაში
- სპორტი

## ქცევასთან მიმართებით როგორ განმარტავს თამაშს უზნაძე?

თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ფორმები, გარდა თამაშისა, განსაკუთრებით – ექსტეროგენური, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისთვის, არამედ სასკოლო (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც.

## რა უდევს თამაშს საფუძვლად?

თამაშს როგორც ქცევას საფუძვლად უდევს ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღებაა.

## ქცევის როგორი ფორმაა სწავლა?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლა, როგორც ქცევის ფორმა. უზნაძე მიიჩნევს, რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია, ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა სწავლა. თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტეროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. იმისთვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის ვგულისხმობთ გარკვეულ პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არავითარ სხვა ეფექტს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთების განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად ამოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად დაწერაში. ამიტომაც, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა ვასწავლოთ. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არათუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასდროს გაუგონია.

**რატომ ითვლება სწავლა ქცევის სრულიად თავისებური ფორმად, რომელიც არ შეიძლება გავავივივოთ თამაშთან, შრომასთან თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან?**

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს ექსტეროგენური ქცევის არც ერთი ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. უზნაძე ამას სწავლის გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შექმნა, რასაც ამ დროს ბავშვი იღებს, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისთვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ტენდენციაა, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც ფუნქციონალური ტენდენციაა. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვანვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე. ი. სწავლა როგორც ქცევა გარეგან იმპულსზე იგება.

როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმნიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი – მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ მას გარედან არ მივანოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, მისი ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

**უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს „აღზრდის ტრაგედია“?**

ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას ეფუძნება.

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ დაარქვა.

უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი,

თუმც კი მიაჩნია, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობაა, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევაო, – წერდა დ. უზნაძე.

### უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს “აღზრდის ტრაგედიის” გადალახვის სტრატეგია?

“აღზრდის ტრაგედიის” გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს “ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა”. პედაგოგიური პროცესის ძირითადი პირობა სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო წვდომაა, მისი გრძნობებისადმი, “სულიერი მღელვარებისადმი” თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, “უმტკივნეულად შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას”.

### უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა?

უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიანპიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. “სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული”.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის: რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად.

### დავაკონკრეტოთ...

თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა. განწყობავე განსაზღვრავს ადამიანის გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას ახალი ინფორმაციისადმი, წინასწარ ამზადებს გარკვეული ქცევისადმი, შესატყვისი ძალებისა და შესაძლებლობების მობილიზაციას ახდენს.

გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

### ახლა კი ერთი მაგალითი განვიხილოთ...

ერთ-ერთ სამაგალითო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: როდესაც ადამიანი პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად ადგება სიტყვა “ხლებ”; როდესაც იგი გერმანელთან დაინყებს საუბარს, მაშინ მას შესაფერი გერმანული სიტყვა “ბროტ” აგონდება. რატომ? რა უდევს საფუძვლად ამ გარემოებას? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, გერმანელთან საუბრის დროს — გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველ კერძო შემთხვევაში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს”. ასეთი წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ქცევას, არამედ აღქმის შინაარსსაც. მაგალითად, ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად მოეჩვენოს. ეს წინასწარი მზაობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს: წინასწარ შექმნილი დადებითი დამოკიდებულება დადებითად შეაფასებინებს რომელიმე მოვლენას.

### რატომ უნდა იცოდეს ეს ყველაფერი მასწავლებელმა, რით დაეხმარება მას ამის ცოდნა გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში?

მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. **მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიანოდოს.** სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

### როგორ გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში?

პედაგოგმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე +წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო

## მასწავლებელმა როგორ განახორციელოს თითოეული ნაბიჯი?

### I. შევექმნათ მოსწავლეს განწყობა

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

**გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.**

### II. მოვარგოთ მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე +წინსვლა/

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს.

## როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

“იგი, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მონაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის; მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მონაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მონაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს” /უზნაძე/.

**გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება დაფუძნებულია იმ კიბეზე, სადაც ათვისებული და აუთვისებელი მასალა ქვედა და ზედა საფეხურებია!**

### III. შევექმნათ მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო

საკლასო ოთახში შექმნით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მის ინტერესებსა და სურვილებზეა დაფუძნებული.

## კოლბერგის მორალური განვითარების თეორია

კოლბერგის მორალური განვითარების თეორია - ამერიკელი ფსიქოლოგის, ლოურენს კოლბერგის (კოპლბერგ, 1927-1987) თეორია ეხება იმას, თუ როგორ ხდება ადამიანის მორალური განვითარება. ეს უკანასკნელი ეხება პიროვნების უნარს, აღიქვას და გაიგოს სხვა ადამიანების განსხვავებული პერსპექტივები. როლური უნარ-ჩვევების განვითარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორალური განვითარების ერთ-ერთი ადრეული საფეხური.



### რა ასაკიდან და როგორ იწყება მორალური განვითარება?

მორალური განვითარება იწყება 12 წლიდან, როდესაც მოზარდისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს „საკუთარი თავის იდენტიურობის“ ფორმირება. ბავშვი სვამს კითხვებს: „ვინ ვარ მე?“ „რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში?“ იგი იწყებს საკუთარი სოციალური კოგნიციის გაგებას, ანუ ცდილობს გაიგოს, თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები.

### კოლბერგი, მორალური განვითარების რამდენ დონეს გამოყოფს?

კოლბერგი გამოყოფს მორალური განვითარების შემდეგ სამ დონეს:

- პრე-კონვენციური,
- კონვენციური,
- პოსტ-კონვენციური.

### რამდენი საფეხურისაგან შედგება პირველი დონე, პრე-კონვენციური?

**1 საფეხური:** უსიტყვო მორჩილება (5-6 წლის ასაკი, ბალის პერიოდი)

უსიტყვო მორჩილება (5-6 წლის ასაკი, ბალის პერიოდი) — ამ საფეხურზე ბავშვები მორალურობას განიხილავენ, როგორც მათ გარეთ, მათგან დამუკიდებლად არსებულ მოვლენას. ისინი ფიქრობენ, რომ გარკვეული ძალაუფლების მქონე ადამიანები ამკვიდრებენ ქცევის წესებს, რომელსაც ისინი უნდა დაემორჩილონ. ამგვარად, ამ საფეხურისთვის დამახასიათებელია წესების მორჩილება, რათა თავიდან აიცილონ დასჯა (კარგი ან ცუდი საქციელი განი-

საზღვრება იმით, მოჰყვება თუ არა მას ფიზიკური შედეგები); ან დაიმსახურონ შექება.

**II საფეხური:** სამართლიანობა/ინდივიდუალობა და გაცვლა (დანყებითი კლასები) სამართლიანობა/ინდივიდუალობა და გაცვლა (დანყებითი კლასები) — აქ ძირითადია პიროვნული ჯილდოს მიღების ორიენტაცია; ამ საფეხურზე ბავშვები აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ. ისინი ფიქრობენ, როგორც განცალკევებული ინდივიდები და ორიენტირებულები არიან პიროვნულ ჯილდოზე. მათ მსჯელობაში არ ჩანს იდენტიფიკაცია ოჯახისა და საზოგადოების ღირებულებებთან. ამგვარად, ამ საფეხურზე პირადი მოთხოვნილება განსაზღვრავს, იმას, თუ რა არის სწორი და რა - არასწორი.

### რამდენი საფეხურისაგან შედგება მეორე დონე: კონვენციური?

**III საფეხური:** პიროვნებათაშორისი კონფორმულობა (შუა და მაღალი კლასები, “თინეიჯერობის” სანყისი ეტაპი);

პიროვნებათაშორისი კონფორმულობა (საშუალო და მაღალი კლასები, “თინეიჯერობის” სანყისი ეტაპი) - ორიენტაცია “კარგი გოგო/კარგი ბიჭი” (ქცევას განაპირობებს სხვების მოწონება და სხვებისთვის სიამოვნების მინიჭება);

**IV საფეხური:** სისტემის მიმართ პასუხისმგებლობა (მაღალი კლასები და ‘თინეიჯერობის’ გვიანი ეტაპი)

სისტემის მიმართ პასუხისმგებლობა (მაღალი კლასები და ‘თინეიჯერობის’ გვიანი ეტაპი) - ორიენტაცია “კანონი და წესრიგი” (წესების დაცვა, ავტორიტეტის პატივისცემა, სოციალური წესრიგის შენარჩუნება);

### რამდენი საფეხურისაგან შედგება მესამე დონე: პოსტ-კონვენციური?

**V საფეხური:** პრინციპული სინდისი (მოზრდილი)

სოციალური კონტრაქტის ორიენტაცია (კარგი განისაზღვრება ადამიანის უფლებების სოციალურად შეთანხმებული სტანდარტებით. მაგ. კონსტიტუცია. ამ საფეხურზე ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველა საზოგადოებას აქვს თავისი სოციალურად შეთანხმებული სტანდარტები);

**VI საფეხური:** უნივერსალური პრინციპი

უნივერსალური ეთიკური პრინციპი განისაზღვრება სამართლიანობის, ადამიანის ღირსების და თანასწორობის აბსტრაქტული ცნებების ინდივიდუალური გაცნობიერების საფუძველზე; ადამიანები ფიქრობენ, რომ არსებობს უნივერსალური ეთიკა, რომელსაც მთლიანი საზოგადოება უნდა ეთანხმებოდეს;

მოზარდების უმრავლესობა იმყოფება მორალურობის განვითარების მესამე, პიროვნებათაშორისი კონფორმულობის საფეხუზე: თუ სხვებს კარგი წარმოდგენა ექნებათ ჩემზე, შესაბამისად, მეც კარგი წარმოდგენა მექნება საკუთარ თავზე. მორალურობის განვითარების თვალსაზრისით, გადამწყვეტია, რომ მოზარდს ამ ასაკში ვასწავლოთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

**მორალური განვითარების თეორიის მიხედვით მოზარდისაგან რა შემთხვევაშია - აგრესია, ვანდალიზმი ან ქურდობა ნაკლებად მოსალოდნელი?**

ბავშვთა შეხედულებები და მორალური პრინციპები მათი ქცევის განმსაზღვრელია. მაგალითად, თუ მოსწავლეები პატივს სცემენ სხვების უსაფრთხოებას და საკუთრებას, მათგან აგრესია, ვანდალიზმი ან ქურდობა ნაკლებადაა მოსალოდნელი.

**როგორ უნდა განვსაზღვროთ, მორალური განვითარების რა დონეზე და სტადიაზე იმყოფება ადამიანი?**

ყურადღება უნდა მიაქციოთ, როგორ გადაწყვეტს იგი მორალურ დილემას; ყურადღება უნდა მიაქციოთ მსჯელობას/არგუმენტაციას, რატომ მიიღო ადამიანმა ესა თუ ის კონკრეტული გადაწყვეტილება.

**რა არის მორალური დილემა?**

მორალური დილემა არის სიტუაცია, რომელიც ადამიანისაგან მორალურ გადაწყვეტილებას მოითხოვს და ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოყვება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. ადამიანმა კი არჩევანი უნდა გააკეთოს ადამიანმა.

## აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის

### თეორია და პედაგოგიკა

მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ ადამიანის ქცევის და მოტივაციის ასახსნელად შექმნა - მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი და მოტივაციის იერარქიის თეორია.

მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანის პიროვნება ნარმოადგენს მისი თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას. მასლოუს აზრით - თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია ნარმოადგენს არამხოლოდ ადამიანურ უნარს, არამედ ადამიანურ მოთხოვნილებას. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მოთხოვნილებების იერარქიის მწვერვალზე მოათავსა.



#### მასლოუს მიხედვით, რა განსაზღვრავს ქცევას?

მასლოუს თეორიის მიხედვით ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ მასლოუ განასხვავებს თანდაყოლილ (ბიოლოგიურ) და შეძენილ (სოციალურ და პიროვნულ) მოთხოვნილებებს.


#### როგორია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი?

მასლოუ აღნიშნავდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ ხუთი ძირითადი სახის მოთხოვნილება.

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანი მოთხოვნილებებს ამ იერარქიაში მოცემული თანმიმდევრობით იკმაყოფილებს:

მასლოუ თვლის — ადამიანს გადარჩენისათვის ჯერ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ესაჭიროება, ანუ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, რომელიც მოიცავს ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული (მაგ. საკვები, წყალი, ყანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო). ამის შემდეგ უჩნდება მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ესაა სტაბილურობის და უსაფრთხოების შეგრძნების მოთხოვნილება. როცა დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილება, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება ესაა მოთხოვნილება გიყვარდეს და უყვარდე; მოთხოვნილება იმისა, რომ ეკუთვნო-

დე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება იმისა, რომ თავი აარიდო მარტობას და გარიყვას. შემდეგი არის **დაფასების მოთხოვნილება** მოთხოვნილება იმისა, რომ მოგწონდეს საკუთარი თავი (გქონდეს დადებითი თვითშეფასება); სხვა ადამიანების მიერ აღიარების, პატივისცემის და მოწონების მოთხოვნილება; წარმატების, კომპეტენტურობის და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. შემდეგი არის **თვითრეალიზაციის მოთხოვნილება** ანუ საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზაციის მოთხოვნილება.



ყოველი საფეხური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება. ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები გაუჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისათვის საჭირო მოთხოვნილებები.

თვით-აქტუალიზაციის დონე სხვა დონეებისგან განსხვავებით დანაკლისის შევსებაზე კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციაზე.

**რამდენად შესაძლებელია ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, როდესაც დაკმაყოფილებული არაა ქვედა საფეხურის მოთხოვნილება?**

მიუხედავად მასლოუს მოდელის იერარქიულობისა, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება ისე, რომ არ იყოს დაკმაყოფილებული ქვედა საფეხურის მოთხოვნილება.

## შეიძლება თუ არა რომ გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად?

ადამიანის ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა – კარგად სწავლა – შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის ინტერესი, ზოგისთვის კი აღიარების მოთხოვნილება.

## რა ლოგიკური კავშირი არსებობს მოტივაციასა და მასლოუს იერარქიულ მოდელს შორის?

მოტივაციის ფსიქოლოგიაში განასხვავებენ გარეგან და შინაგან მოტივაციას. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტუმულები (გარეგანი მოტივაცია) ქცევას აღძრავს პირველი ორ – ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების მოთხოვნილებების – დონეზე, დანარჩენ სამ დონეზე კი ადამიანის ქცევას შინაგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად.

## მასლოუს მიხედვით რაზეა დამოკიდებული სწავლება და რა შეიძლება იყოს სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი?


ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია. ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზეც. დაწყებით კლასებში მოსწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების და შემდეგ მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მოზარდებისთვის წამყვანი უკვე თვით-პატივისცემის მოთხოვნილება ხდება. დაწყებით კლასებში ბავშვის ეფექტური სწავლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილურობა, წესრიგი და ა. შ. ამავე დროს მნიშვნელოვანია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა. თუ მოსწავლე თავს იზოლირებულად ან გარიყულად გრძნობს, ვერ ახერხებს იმის ათვისებასაც კი, რაც შეუძლია. ამ დონეზე ბავშვისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ ის ჯგუფის სრულფასოვანი წევრია. ამის საფუძველზე ყალიბდება თვით-პატივისცემის მოთხოვნილება, მიღწევაზე ორიენტაცია, ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და სტატუსზე ზრუნვა.

## მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა რის საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს?

1. მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაადგინონ იერარქიის რომელ სა-

- ფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვრონ, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.
2. მოსწავლეები რაც უფრო მეტად იკმაყოფილებენ სამყაროს შეცნობის და გაგების მოთხოვნილებას, მათ კიდევ უფრო მეტი ცოდნის შექმნის სურვილი უჩნდებათ. ამგვარად, თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა ადამიანისთვის დიდი მოტივაციის წყაროს წარმოადგენს: **მონაფეები თვითრეალიზაციისკენ იმიტომ ისწრაფიან, რომ ეს მათ სიამოვნებას ანიჭებს და მათი ცოდნის შექმნის და ზრდის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.**
  3. მოსწავლეები, რომლებმაც შეძლეს თვითრეალიზაციის მიღწევა, შემდეგი თვისებებით ხასიათდებიან:
  4. უფრო სპონტანურები, გულთბიანი, გულგაშლილები და დამოუკიდებლები არიან; გამოირჩევიან შემოქმედებითი უნარით და იუმორის გრძობით; მოსწონთ და უფრო კეთილად არიან განწყობილნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვა ადამიანების მიმართ; მათ შედარებით ძლიერი და დემოკრატიული ურთიერთობები ახასიათებთ. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მოთხოვნილებების იერარქიის მწვერვალზე მოათავსა. მისი აზრით, ამ მნიშვნელოვანი მოთხოვნილების მიღწევა მხოლოდ ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი. **მასლოუ აღნიშნავს, რომ თვითრეალიზაცია ძალიან რთული ამოცანაა. მისი ვარაუდით, მას ზრდასრული ადამიანების მხოლოდ ერთი პროცენტი აღწევს.** ნაკლებად სავარაუდოა, მოსწავლეები დიდი ინტერესით მოეკიდონ გაკვეთილს და სწავლას, თუ მათი ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნა; მოთხოვნილებები, როგორც არის ნორმალური კვება, უსაფრთხო საკლასო გარემო და მასწავლებლის და თანაკლასელების კეთილგანგანწყობილი დამოკიდებულება. ნათელია, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან შიათ ან ფიზიკური საფრთხის წინაშე დგანან, არასაკმარისი ფსიქოლოგიური ენერჯია ექნებათ სწავლისთვის.
  5. **მოსწავლეებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სიყვარულის და ფასების მოთხოვნილება** - მოსწავლეებს, რომლებიც არ გრძნობენ მათ გარშემო ადამიანების სიყვარულს და პატივისცემას და რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი უნარით და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები არიან, არ ექნებათ თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა; მათ არ ექნებათ მოტივაცია, შეიძინონ ცოდნა, შეიცნონ სამყარო, იყვნენ შემოქმედებითები (კრეატიულები) და ახალი იდეების მიმართ გახსნილნი. მოზარდის თვითშეფასება-თვითფექტურობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ბევრი საგულისხმო ფაქტორი

## მე თვითშეფასება თვითფექტურობა



მოზარდის წარმატებაში ერთ-ერთი ფაქტორი თვითშეფასებაა - როდესაც მოსწავლე ვერ უმკლავდება სასწავლო პროცესს მისი თვითშეფასება და თვითპატივისცემა ქვეითდება, რაც იწვევს აგრესიის მომატებას და აძლიერებს დევიანტური ქცევის ალბათობას.

**მოსწავლეები**, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი სიყვარულის ღირსნი არიან, ისეთ გადანყვეტილებებს იღებენ, რომლებიც ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული: ისე მოქმედებენ, როგორც მათ გარშემო ადამიანთა უმრავლესობა; გამოცდებისთვის მომზადების დროს არ არიან დაინტერესებულნი ახალი ცნებების და იდეების შესწავლით; ისეთ თემებს წერენ, რომლებიც არ გამოიჩევა ორიგინალურობით და ა.შ.

**მასწავლებელს**, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს, რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობას და პატივისცემას იჩენს, ძალუძს, გაუღვიძოს მოსწავლეებს სწავლის სურვილი. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წართმართვა, აუცილებელია, სჯეროდეთ, რომ მასწავლებელი მათ სამართლიანად მოექცევა, არ დასცინებს და არ დასჯის უნებლიე შეცდომებისთვის სწავლა მნიშვნელოვანი ხდება.

## კარლ როჯერსი (1902-1987)

### ჰუმანისტური ფსიქოლოგია და სწავლა გამოცდილებით

კარლ როჯერსი (1902-1987) ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთერთი ფუძემდებელი. შეიმუშავა გამოცდილებით სწავლების ეფექტური მიდგომა



#### რა არის როჯერსის თეორიის ძირითადი ცნებები?

როჯერსის თეორიის ძირითადი ცნებებია: „მე-კონცეფცია“, „ფენომენოლოგია“ და „თვით-აქტუალიზაციის ტენდენცია“.

#### როჯერსის აზრით რაზეა დამოკიდებული ადამიანის ქცევა?

როჯერსი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ქცევა გარეგან სტიმულზე (გარემო რეალობა), უფრო მეტად კი სუბიექტურ გამოცდილებაზეა (სუბიექტურ რეალობა) დამოკიდებული. ორგანიზმს, გარემოსთან ურთიერთქმედების საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, თანდათანობით უყალიბდება მე-ს ცნობიერება, მეკონცეფცია, ანუ საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა.

#### რა არის მე-კონცეფცია?

მე-კონცეფცია ადამიანის გრძნობებისა და შეხედულებების ერთობლიობაა საკუთარ თავზე, საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და თვისებებზე, სხვა ადამიანებსა და მათ

დამოკიდებულებებზე. მე-ს ცნობიერების ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მის საფუძველზე აფასებს პიროვნება საკუთარ თავს, გარემოს, სხვა ადამიანების მისდამი დამოკიდებულებას და ა. შ.

### **რა მნიშვნელობას ანიჭებს როჯერსი ორგანიზმის აქტუალურ განცდას, მე-კონცეფციასა და თვით-აქტუალურ შორის ურთიერთმიმართებას?**

მე-ს ცნობიერების ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მის საფუძველზე აფასებს პიროვნება საკუთარ თავს, გარემოს, სხვა ადამიანების მისდამი დამოკიდებულებას და ა. შ. როჯერსი მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთმიმართებას ორგანიზმის აქტუალურ განცდას, მე-კონცეფციასა და თვით-აქტუალურ შორის.

როდესაც ცნობიერებაში ასახული განცდები, ანუ მე-ს შესახებ წარმოდგენები რეალურად ასახავს ორგანიზმის მდგომარეობას (განცდები, შთაბეჭდილებები), პიროვნება კარგადაა ადაპტირებული და სრულად ფუნქციონირებს. ასეთი ადამიანის აზროვნება რეალისტურია, ის გრძნობებსა და განცდებს შიშისა და შფოთვის გარეშე იღებს.

### **რა ხდება მაშინ, როცა წინააღმდეგობაა მე-კონცეფციასა და ორგანიზმის განცდებს შორის?**

თუ წინააღმდეგობაა მე-კონცეფციასა და ორგანიზმის განცდებს შორის, ასეთ შემთხვევაში პიროვნება უჩნდება შფოთვა და შიში, მისი ქცევა თავდაცვითი ხასიათისაა, ხოლო აზროვნება – შეზღუდული და რიგიდული.

### **რა არის თვითაქტუალიზაციის ტენდენცია?**

თვით-აქტუალიზაციის ტენდენცია ადამიანის მე-ს და ორგანიზმის თანდაყოლილი უნარია. ის გულისმობს ადამიანის განვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. პიროვნული ზრდა და განვითარება წინააღმდეგობების გადალახვის, პრობლემის გადაჭრის გამოცდილების შედეგია.

### **რის შედეგად ყალიბდება თვითაქტუალიზაციის ტენდენცია და რა უყალიბებს ადამიანს თვით-პატივისცემისა და ღირსების გრძნობას?**

მართალია, თვით-აქტუალიზაცია ადამიანის თანდაყოლილი უნარია, მაგრამ როჯერსის მიხედვით, ის აღზრდის შედეგად ყალიბდება. უფროსების ბავშვისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს მის თვითაქტუალურ შორის, საკუთარ თავზე და თვით-აქტუალიზაციას. კერძოდ, როჯერსი თვლის, რომ “უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება” თვით-აქტუალიზაციის აუცილებელი პირობაა. ასეთი დამოკიდებულება ადამიანს თვით-პატივისცემისა და ღირსების გრძნობას უყალიბებს.

## როგორ უყალიბდება ბავშვის უნარების განვითარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის მოთხოვნილება?

ბავშვის უნარების განვითარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის მოთხოვნილება უახლოეს სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში უყალიბდება.

## რა ახდენს გავლენას მე-კონცეფციის ჩამოყალიბებასა და პიროვნების თვითშეფასებაზე?

ქცევაზე უფროსების შეფასებები და რეაგირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მე-კონცეფციის ჩამოყალიბებასა და პიროვნების თვითშეფასებაზე. სწორედ უფროსის მხრიდან უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება, გულწრფელობა, მიმღებლობა და გაგებაა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც კონგრუენტული პიროვნების ფორმირებასა და მისი თვით-აქტუალიზაციის (განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზების) მოთხოვნილების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

## რატომ ანიჭებს როჯერსი ემპათიას ადამიანურ ურთიერთობებში ძალიან დიდ მნიშვნელობას?

როჯერსი მიიჩნევს, რომ სამყარო თითოეული ადამიანისთვის ფენომენალური და პირადულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გარემოზე რეაგირებს საკუთარი ინდივიდუალური აღქმისა და შეგრძნებების საფუძველზე. მისი გარემოსთან ურთიერთობის გამოცდილება იმდენად უნიკალურია, რომ შეუძლებელია, მის განცდებს ბოლომდე ჩანვდეს მეორე ადამიანი. სწორედ ამიტომ, როჯერსი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანურ ურთიერთობებში ემპათიის გამოვლენას.

## რამდენი სახის სწავლას გამოყოფს როჯერსი?

როჯერსი სწავლების ჰუმანისტური მოდელის მიმდევარია.

ის გამოყოფს ორი სახის სწავლას: **კოგნიტურს**, რომელიც მოკლებულია მნიშვნელობას, რადგან უპიროვნოა და **გამოცდილებაზე დაფუძნებულს**-მიზნობრივს, მნიშვნელოვანს, პიროვნულს. პირველი სახისაა ისეთი ცოდნის ათვისება, როგორიცაა მაგ. ლექსიკონის გამოყენების, გამრავლების ტაბულის შესწავლა. მეორეა ისეთი ცოდნის შეძენა, როგორიცაა მაგ. ძრავების შესწავლა მანქანის შეკეთების მიზნით. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ გამოცდილებით სწავლება მოსწავლის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს აკმაყოფილებს.

## როგორის მიხედვით რა მახასიათებლები აქვს გამოცდილებით სწავლებას?

გამოცდილებით სწავლების მახასიათებლებია: პიროვნული ჩართულობა, მოსწავლის ინიციატივა, სწავლის შედეგების თვითშეფასება. შესაბამისად, მასწავლებელი ინფორმაციის გადამცემი კი არ არის, არამედ სწავლის ფასილიტატორი, ხელის შემწყობია. მასწავლებელი მოსწავლეს უქმნის ისეთ გარემოს, რომელიც კომფორტულია და საფრთხეს არ უქმნის მის მე-ს, მის თვით-აღქმას და კარგი პირობაა თვით-აქტუალიზაციისთვის. მოსწავლე მონადინებულია, გაიგოს ახალი, განვითარდეს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს, რადგან მას პატივის სცემენ, აფასებენ, გულწრფელად მხარს უჭერენ, უპირობო დადებითი დამოკიდებულება აქვთ მისდამი. ამ სიტუაციაში მოსწავლეს არა აქვს ექსპერიმენტირების, შეცდომის დაშვების შიში და ადვილად შეძლებს ქცევის თვითმართვის ჩვევების დაუფლებას.

## რა არის გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპები?

გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპებია:

1. სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისთვის, თუ ის მის პიროვნულ ინტერესებს შეესაბამება.
2. სწავლების პროცესი მიუღებელი და საშიშია მოსწავლისათვის, როდესაც მის მე-კონცეფციას საფრთხე ექმნება (რთული მასალა, ახალი ტიპის დავალებები, ახალი მოთხოვნები). ამ შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლის შიშისა და შფოთვის მინიმუმამდე დაყვანა.
3. სწავლა სწრაფი და პროდუქტულია, თუ ის საშიში არ არის თვით-აღქმისა და მე-სთვის.
4. სწავლაში მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ინიციატივას ხანგრძლივი და მყარი ეფექტი აქვს.

გამოცდილებით სწავლება ეფექტურია, თუ მასწავლებელი არის გეზის მიმცემი, ხელშემწყობი. ასეთ მასწავლებელს ფასილიტატორ მასწავლებელსაც უწოდებენ ხოლმე.

## როგორია მასწავლებლისა და მოსწავლის როლი გამოცდილებით სწავლების დროს?

მასწავლებელი:

- მოქნილია თავის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებში;
- უსმენს მოსწავლეს და შეუძლია მათი განცდების გაგება;

- საგნის სწავლებასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებებს და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას;
- ღიაა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მისაღებად, საკუთარი თავისა და ქცევის ღრმად გასააზრებლად.

### მოსწავლეები:

- პასუხისმგებლობას იღებენ დასწავლის პროცესზე და სწავლობენ დამოუკიდებლად სწავლას;
- სწავლების პროცესში მონაწილეობენ, აყალიბებენ ჰიპოთეზებს, ატარებენ ცდებს, შეიმუშავენ დასკვნებს და.ა.შ;
- ეჩვევიან საკუთარი მიღწევების, სწავლის შედეგების შეფასებას, მიზნების დასახვასა და ისეთი სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენებას, რომლებიც დაეხმარება მათ პრობლემის გადაჭრაში და ახალი მასალის უკეთ გაგებაში.

## ჯერომ ბრუნერი

### აღმოჩენებით სწავლის თეორია

### /მნიშვნელოვანი კონცეპტები/

ჯერომ სეიმურ ბრუნერი — ამერიკელი ფსიქოლოგი, კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1952-1972 წლებში იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, 1972-1980 წლებში კი — ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი განვითარებისა და სწავლის თეორია კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება.



#### რას სწავლობს ბრუნერის თეორია?

ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია კოგნიტურ თეორიებს მიეკუთვნება. კოგნიტური ფსიქოლოგია იკვლევს, როგორ იღებს მოსწავლე ინფორმაციას გარემოდან, როგორ ახდენს ამ ინფორმაციის ორგანიზებასა და ინტერპრეტაციას, როგორ იყენებს ცოდნას. კოგნიტური თეორიების მიზანი შემეცნებითი პროცესების (გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დახსომება) სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერაა.

#### ბრუნერის მიხედვით, რას გულისხმობს და როგორი პროცესის სწავლა?

ბრუნერის მიხედვით, სწავლა გულისხმობს ბავშვის მიერ ინფორმაციის შერჩევას, ჰიპოთეზების შექმნას და ამ გზით ახალი მასალის ცოდნასთან ინტეგრირებას. სწავლა უწყვეტი პროცესია და ბავშვი განვითარების სამ საფეხურს გაივლის:

**პრაქტიკული** — ამ საფეხურზე ბავშვი კონკრეტულ გამოცდილებას იღებს გარემოს შესახებ (ობიექტებით მანიპულაცია);

**ხატოვანი** — ამ საფეხურზე ბავშვს შეუძლია არა მხოლოდ ობიექტით, არამედ ობიექტის თვალსაჩინო ხატით მანიპულირება;

**სიმბოლური** — ბავშვს უკვე შეუძლია ლოგიკისა და სიმბოლური სისტემების გამოყენება. ჩვევებისა და ცოდნის ათვისება უკეთ ხდება, თუ ბავშვი გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების, ექსპერიმენტირების პროცესში აღმოაჩენს რაიმე მიმართებას, ფენომენს თუ ცნებას.

ბრუნერის მიხედვით, **ცოდნაც** აქტიური სოციალური პროცესია და არა პროდუქტი. სწავლის დროს ბავშვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის კონსტრუირებას ახდენს.

### ბრუნერის თეორიის მიხედვით, რა გვადლევს გარე სამყაროს კლასიფიცირების საშუალებას და რა მოიაზრება ტერმინში “კატეგორია”?


გარემოს შეცნობისას ჩვენ გამოვყოფთ საერთო ელემენტებს (აბსტრაქტირება) როგორც მოვლენებიდან, ასევე ჩვენი გამოცდილებიდან. ამ აბსტრაქციების საფუძველზე შევიმუშავებთ წესებს, რომლებიც გარე სამყაროს კლასიფიცირების საშუალებას გვადლევს. ამ პროცესში ჩვენ აღმოვაჩინებთ და თავადაც ვქმნით ცნებათა შორის უამრავ ურთიერთკავშირს. ბრუნერს „ცნების“ ნაცვლად შემოაქვს ტერმინი – კატეგორია, რომელსაც ის იყენებს მოვლენების ან ობიექტების მონათესავე ჯგუფების აღწერის დროს. ამ მოსაზრებით კატეგორია შეიძლება გავიგოთ როგორც ცნება (**კონცეპტი**) და როგორც აღქმის ობიექტი (**პერცეპტი**). ბრუნერი კატეგორიას უწოდებს აგრეთვე ობიექტების ერთი კლასისთვის მიკუთვნების წესს.

### ბრუნერის აზრით რა განსაზღვრავს ცნებათა შორის დამოკიდებულებებს?

ბრუნერის აზრით, ცნებათა შორის დამოკიდებულებებს კოდირების სისტემა განსაზღვრავს. კოდირების სისტემის მეშვეობით ხდება არსებული განზოგადებული ცნებების იერარქიული მოწესრიგება. ამით ჩვენი ხანგრძლივი მეხსიერება (ჩვენი შედარებით მუდმივი ცოდნის, უნარების, შთაბეჭდილებების და ა. შ. ყულაბა) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კატეგორიების სტრუქტურირება კოდირების სისტემის საფუძველზე.

**რა მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესში მოსწავლისათვის ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი გონებრივი წარმოდგენების ფორმირებაში კოდირების სისტემას?**

ყველა სასკოლო საგანს, მასში შემავალი თითოეული თემით, მსგავსი სტრუქტურა აქვს. საგნის სტრუქტურა, ბრუნერის აზრით, იმ სფეროს ფუნდამენტურ ურთიერთკავშირებსა და იდეებს ასახავს, რომელსაც ეს საგანი მიეკუთვნება. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ მოსწავლემ საგანი ნამდვილად კარგად შეისწავლოს და გაიაზროს, მან აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი კოდირების სისტემა – საკუთარი გონებრივი წარმოდგენები ამ მნიშვნელოვან იდეებსა და დამოკიდებულებებზე.



კოდირების სისტემის გრაფიკული ილუსტრაცია ასეთია:

### ბრუნერის მიხედვით, რა არის ეფექტური, მოსწავლის მიერ შექმნილი კოდირების სისტემა თუ მასწავლებლის მიერ შექმნილი?

ბრუნერი თვლის, რომ მოსწავლე თავად ქმნის საკუთარ ვერსიას რეალობის შესახებ. სკოლების დანიშნულება კი უნდა იყოს ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაუადვილებენ მოსწავლეებს დამოკიდებულებების აღმოჩენას. უმჯობესია, კოდირების სისტემა თავად შექმნას მოსწავლემ, ვიდრე დასრულებული სახით მიიღოს ის მასწავლებლისგან. აღმოჩენებით სწავლა დასწავლის ისეთი ფორმაა, როდესაც მოსწავლეებს მასალა დაუსრულებელი სახით მიეწოდებათ და მათ ამ მასალის ორგანიზება მოეთხოვებათ. ეს მოსწავლეებს აიძულებს, მონახონ ის ურთიერთკავშირები, რომლებიც ამ მასალის ელემენტებს შორის არის.

### ბრუნერის თეორიაში როგორ განიხილება “აღმოჩენა”?

ბრუნერის თეორიაში აღმოჩენა კატეგორიის ფორმირებაა, ან უფრო ხშირად კოდირების სისტემის ფორმირება, რაც ხშირად ობიექტებს ან მოვლენებს შორის მიმართების (მსგავსი და განსხვავებული) ტერმინებში გამოისახება.

აღმოჩენებით სწავლა მასწავლებლის მხრიდან ბევრად უფრო ნაკლებ მონაწილეობას და ხელმძღვანელობას მოითხოვს, ვიდრე სწავლების სხვა მეთოდები; თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი აღარ აძლევს მოსწავლეს მითითებებს მას შემდეგ, რაც სანყისი ამოცანა დაუსახა. ამასთან, მითითებები უნდა იყოს ზომიერი, გარკვეული ინტერვალებით, რათა არ შეზღუდოს მოსწავლის დამოუკიდებლობა, ანდა მოსწავლე არ აღმოჩნდეს დაუძლეველი პრობლემის წინაშე.

### რა არის აღმოჩენებით სწავლების მიდგომის უპირატესობა?

აღმოჩენებით სწავლება აიოლებს ინფორმაციის გადატანასა და დამახსოვრებას, ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარს და ზრდის მოტივაციას. ძალიან ხშირად აღმოჩენები კლასში ისევე მიმდინარეობს, როგორც ეს მეცნიერული კვლევის დროს ხდება – მოსწავლეები განზოგადებული დასკვნების ძიებაში სისტემურად დგამენ ლოგიკურ ნაბიჯებს. მასწავლებლის, როგორც ამ პროცესის წარმმართველის, დასწავლის ხელშემწყობის როლი სწორედ იმაშია, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, შეიმუშაონ ჰიპოთეზები, იმსჯელონ, გააკეთონ დასკვნები.

### ბრუნერის მიხედვით, რა საფეხურების გავლაა საჭირო საკლასო ოთახში აღმოჩენებით სწავლების დროს?

ბრუნერი მოკლედ აღწერს აღმოჩენებით სწავლების საფეხურებს:

- ამოცანის ან კითხვის ფორმულირება და ახსნა;
- მაგალითების შერჩევა, შესატყვისი დაკვირვებების წარმოება;
- ჰიპოთეზების (დაკვირვებებზე დაფუძნებული ინტელექტუალური მიგნებები) წამოჭრა;
- ჰიპოთეზების დამტკიცების ან უარყოფის მიზნით ექსპერიმენტების, ან რაიმე სხვა დაკვირვებების შემუშავება და ჩატარება;
- ახალი ინფორმაციის გამოყენება, გაფართოება, განზოგადება ან „მისი საზღვრებიდან გამოსვლა“.

### აღმოჩენებით სწავლების რა ხელშემწყობ ან ხელისშემშლელ ფაქტორებს გამოყოფს ბრუნერი?

ბრუნერი გამოყოფს აღმოჩენებით სწავლების ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი ფაქტორების ოთხ ჯგუფს:



**განწყობა** – მოსწავლის განწყობის შესაქმნელად მასწავლებელი მას აძლევს გეზს. გეზის მიცემის პროცესი შეიძლება იყოს „ზედაპირული“, როცა მოსწავლემ უნდა ისწავლოს, დაიმახსოვროს ინფორმაციის ელემენტები, და „ჩაღრმავებული“, როცა მოსწავლეებს მოეთხოვებათ ინფორმაციის ელემენტებს შორის დამოკიდებულებების ძიება. სწავლებისას მთავარია ფაქტებს, მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებების, სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი გაგება.

**სწავლისადმი მზაობა** – მოსწავლე დაინტერესდება ახალი ინფორმაციით და არ დაფრთხობს მისი სირთულე, თუ ახალი მასალა წინა გამოცდილებას და უკვე ათვისებულ მასალას ეყრდნობა. ბრუნერს შემოაქვს ე. წ. „სპირალური კურიკულუმი“-ცნება, რომლის მიხედვითაც, სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს.

**სწავლების მრავალფეროვნება** – ეს ცვლადი მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩენებით დასწავლის გასაადვილებლად. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას იღებს განსხვავებულ პირობებში, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას. სწორედ ამიტომ ბრუნერი იძლევა რჩევას, რომ ერთიდაიგივე საგანი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდეს, მაგრამ განსხვავებული სიზუსტისა და აბსტრაქციონის ხარისხით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება მოსწავლეების ინტერესები, უნარები და საბაზო ცოდნა. „სპირალური კურიკულუმი“ უზრუნველყოფს სწავლებისადმი მზაობასა და მის მრავალფეროვნებას.

**კონკრეტული შინაარსების ფლობა** – ბრუნერის აზრით, აღმოჩენებს უფრო ხშირად ის ადამიანი აკეთებს, ვინც საამისოდ კარგადაა მომზადებული. თუ მოსწავლემ არ იცის ინფორმაციის საგანთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები, ის ვერ დააკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს ერთმანეთთან და ვერც განაზოგადებს მას.

### **ბრუნერის აზრით რა არის ეფექტური სწავლებისათვის ყველაზე ადეკვატური?**

ბრუნერი თვლის, რომ ეფექტური სწავლებისათვის ყველაზე ადეკვატურია ე. წ. „სპირალური კურიკულუმი“- სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს.

## დევიდ პერკინსი განათლების თეორია

ამერიკელი მეცნიერი, განათლების სპეციალისტი და კოგნიტიური მეცნიერების წარმომადგენელი. დევიდ პერკინსს 1970 წელს სადოქტორო ხარისხი მიენიჭა მათემატიკისა და ხელოვნური ინტელექტის სპეციალობით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში.

ამჟამად ის ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორია.



### რა არის კოგნიტივიზმი?

**კოგნიტივიზმი** – ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც წარმოიშვა მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში. შეისწავლის, თუ როგორ ხდება ცოდნის მიღება, შენახვა და გამოყენება შემეცნებითი პროცესების ფსიქოლოგიური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე.

**ძირითადი დებულება**- ადამიანის ფსიქიკის შესასწავლად ქცევაზე დაკვირვება საკმარისი არ არის, საჭიროა ადამიანის გონებრივი პროცესების შესწავლაც. ადამიანის სწავლის პროცესი, ცოდნის დაგროვება და გამოყენება მის მიერ ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. შესაბამისად, ინდივიდის შემეცნებითი პროცესების (აღქმის, მეხსიერების, აზროვნების) შესწავლა შესაძლებელია კონკრეტული დავალების შესრულების დროს, ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გამოყენების გონებრივი მექანიზმების გარკვევის საფუძველზე.

### რომელი თეორიის ავტორია პერკინსი და ამ თეორიის მიხედვით რა არის მასწავლებლის მთავარი ამოცანა?

**დევიდ პერკინსი თეორია ერთის ავტორია.** მისი მიდგომები კარგადაა აღწერილი ნიგნშის “სწავლება გაგებისათვის” ავტორია. ამ თეორიის მიხედვით, სწავლა ჩაღრმავებული აზროვნების, გაგების შედეგია.

მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება, რაც გულისხმობს მიღებული ცოდნის მოქნილ და აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლის ძირითადი სასწავლო მიზანია კლასში აზროვნების კულტურის დამკვიდრება.

## რა არის პერკინსის თეორიის ცენტრალური ცნებები?

პერკინსის თეორიის ცენტრალური ცნებებია: ა) „გაგება“ და ბ) „გენერაციული“ ანუ პროდუქტული ცოდნა.

## რას გულისხმობს პერკინსის თეორიის მიხედვით ცნება „გაგება“?

პერკინსის აზრით, ცოდნა და უნარები თავისთავად არ განაპირობებს გაგებას. ადამიანმა შეიძლება დააგროვოს ცოდნა და მიღებული ინფორმაციის ღრმა გააზრების გარეშეც განივითაროს უნარები. გაგებაში პერკინსი მხოლოდ შინაარსის გაგებას არ გულისხმობს. ის თვლის, რომ გაგებაში „მოქმედების პერსპექტივაც“ იგულისხმება. კერძოდ, მოახერხებს თუ არა ადამიანი მისთვის ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გახსენებასა და გამოყენებას. რაიმეს გაგება ნიშნავს არა მხოლოდ თემის შინაარსის გააზრებას, არამედ ამ თემასთან დაკავშირებით მაღალი დონის სააზროვნო პროცესების განხორციელებასაც, როგორცაა ახსნა, მაგალითების მოყვანა, განზოგადება, ანალოგიის მიხედვით დასკვნის გამოტანა, ცნებების სხვა კონტექსტში გამოყენება და ა.შ. პერკინსის წერს: ამრიგად, გაგება ისეთ პროცესებს მოიცავს, რომლებიც მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეს და მათ „გაგების მოქმედებებს“ უწოდებს. კონკრეტული საკითხის გაგება ნიშნავს ამ „გაგების მოქმედებების“ განხორციელებას.

**მაგალითად:** კონკრეტული საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა, კატეგორიების გამოყოფა, კითხვების დასმა, ამ კითხვებზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, წინააღმდეგობრივი ფაქტებისა და დებულებების გამოყოფა, კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა არსებული ინფორმაციის საუფძველზე და ა. შ. პერკინსი კრიტიკულად აფასებს სასკოლო სისტემას და თვლის, რომ სასკოლო აქტივობების უმრავლესობა არ მოიცავს „გაგების მოქმედებებს“. ისინი, ძირითადად, ცოდნის დაგროვებისა და ჩვევების განვითარების საშუალებებია. ეს ორივე მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მათი სასარგებლო გამოყენებისთვის ახალ სიტუაციებში.

## რას გულისხმობს პერკინსის თეორიის მეორე ცენტრალური ცნება „გენერაციული“ ანუ პროდუქტული ცოდნა?

პროდუქტული ცოდნა სამი ძირითადი მოქმედების შედეგია:

1. ცოდნის შენახვა ხანგრძლივ მეხსიერებაში;
2. მიღებული ცოდნის გაგება;
3. ცოდნის აქტიური გამოყენება სკოლის გარეთ.

პერკინსი მიიჩნევს, რომ ეს სამი აქტივობა განათლების სისტემის ძირითადი მიზანი უნდა იყოს.

სწავლების სტრატეგია, პერკინსის თეორიის მიხედვით, არის ყურადღების გამახვილება არა სასწავლო საგნის შინაარსზე, არამედ მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის ღრმა გააზრებაზე, მის კავშირზე მოსწავლის გამოცდილებასთან და სხვა სასწავლო საგნებში მიღებულ ცოდნასთან.

### პერკინსის მიხედვით რომელია უპირატესი სწავლების მეთოდები?

1. საკითხის გარშემო კავშირებისა და მიმართებების დამყარება, რასაც პერკინსი "დაკავშირებას" უწოდებს და

2. პრობლემური სიტუაციის შექმნა, როდესაც მოსწავლეს მზა ცოდნა კი არა აქვს, არამედ პრობლემური სიტუაციის წვდომის პროცესში იძენს ამ ცოდნას. მას პერკინსი "გზის მიყოლას" უწოდებს.

ამ მეთოდით შექმნილი ცოდნა უფრო მოქნილი და უკეთ ორგანიზებულია მოსწავლის მეხსიერებაში. მომავალში მოსწავლე ადვილად შეძლებს მის გამოყენებას მისთვის უცნობ სიტუაციაში.

### როგორ შეიძლება ვასწავლოთ გაგება, ანუ როგორ მივცეთ მოსწავლეებს პროდუქტიული ცოდნა?

პერკინსმა გამოყო ექვსი კომპონენტი, რომლებიც აუცილებელია გაგების წარმატებული სწავლებისათვის.

**სწავლება, როგორც აზროვნებაზე ფოკუსირებული ხანგრძლივი პროცესი.** მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი სასწავლო სიტუაცია, სადაც მოსწავლეები საკითხზე იფიქრებენ და კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან მას სხვადასხვა სიტუაციაში.

**მიმდინარე შეფასების აუცილებლობა.** მოსწავლეებს სჭირდებათ უკუკავშირი და კრიტიკრიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ, თუ როგორ არიან დაუფლებულნი გაგების მოქმედებებს, რა აქვთ კიდევ გასაკეთებელი იმისათვის, რომ კარგად გაიგონ საკითხი.

**განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება.** მასალის მიწოდებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი სირთულე ბავშვის განვითარების დონესთან მიმართებაში. გაგების მოქმედებების განხორციელება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებულია და, შესაბამისად, განსხვავებული სწავლების მეთოდებს მოითხოვს.

**სწავლის უზრუნველყოფა ინფორმაციას ისე წარმოდგენით, რაც ხელს შეუწყობს გაგების პროცესების აღძვრას.** ინფორმაციის სტრუქტურირებისა და

წარმოდგენის წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიღებული ინფორმაციის გაგებაზე. კერძოდ, დიაგრამები, სქემები ხელს უწყობს ცნებებისა თუ საკითხის ღრმა გაგებას.

**მოსწავლეთათვის სასწავლო საგნის გაცნობა.** შესასწავლი საგნის საკითხების გაგება შეუძლებელია მეცნიერების ამ დარგის შესახებ ზოგადი წარმოდგენის გარეშე. ცნებისა და პრინციპის გაგება აუცილებლად გულისხმობს იმას, თუ რა ადგილი უკავია მას შესასწავლ დისციპლინაში. კონკრეტული საგნის მასწავლებელი ვალდებულია, გააცნოს მოსწავლეებს ამ სასწავლო დისციპლინის სტრუქტურა და ლოგიკა.

**სწავლება ტრანსფერისთვის (გადატანისთვის).** მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ერთ კონტექსტში ათვისებული პრინციპებისა და შესწავლილი ფაქტების სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგ. ის, რაც ათვისებს მათემატიკაში, ვერ გადააქვთ საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთ საგანში ათვისებული ცოდნის სხვა კონტექსტში, სხვა დისციპლინაში გამოყენება, მათ უნდა ისწავლონ კავშირების დამყარება — “დაკავშირება”. ეს კი გაგების აუცილებელი საფუძველია.

### პერკინსის აზრით რაში მდგომარეობს განათლების მთავარი მიზნები?

- მიღებული ცოდნის შენარჩუნება
- გაგება-გააზრება
- ცოდნის აქტიური გამოყენება

### როგორია პერკინსის ოთხი ძირითადი კითხვა, რომელსაც მან პანდორას კითხვები უწოდა?

- რისი სწავლა ღირს? რისი სწავლაა მნიშვნელოვანი, ცოდნის შექმნით რაში ვხდებით უკეთესები?
- რატომ არის რთული ამის სწავლა
- როგორ ავარიდოთ თავი ზედაპირული ცოდნის მიღებას?
- რა არის პრობლემური?
- ყველაზე კარგად როგორ შეიძლება რომ ეს ვისწავლოთ?
- მიწოდებული მასალის როლი და მოსწავლის როლი.
- როგორ მიდის სწავლის პროცესი?

- რამდენად შეუძლია მოსწავლეს არამარტო მასწავლებლისგან, არამედ თანატოლებისგან მიღებული შეფასებით და რეაგირებით (კომენტარები, რჩევები) გააკონტროლოს და გააუმჯობესოს სწავლების პროცესი.

### პერკინსის მიხედვით რა არის საჭირო რომ მოსწავლეებმა კარგად ისწავლონ?

პერკინსი მიიჩნევს, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად ისწავლონ, საჭიროა:

- მივანოდოთ ინფორმაცია ნათლად და გასაგებად
- გავაკეთებინოთ სავარჯიშოები, რომლებიც მათ ამ ინფორმაციის კარგად გააზრების საშუალებას მისცემს.
- შევაფასოთ კომენტარებით.
- ვიზრუნოთ ბავშვის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე

### სწავლების რა მეთოდებს განიხილავს პერკინსი?

პერკინსი განიხილავს ადღერის მიერ შემოთავაზებული სწავლების სამ სხვადასხვა მეთოდს:

დიდაქტიკური სწავლება	წერთნა	სოკრატული სწავლება
<p>მოსწავლე გვაძლევს პასუხს კითხვებზე: რა? სად? რატომ?</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მიზნის განსაზღვრა მოსწავლეებისათვის (რაში გამოიყენონ შესწავლის ობიექტი)</li> <li>2. მინიშნება პროგრესის შესახებ (აღინიშნება მოსწავლეთა მიგნებები)</li> <li>3. სხვადასხვა მაგალითის მოყვანა. მაგალითებით ახალი მასალების გათავისება.</li> <li>4. დემონსტრაცია. შესწავლილი მასალის რეპრეზენტაცია. (მაგალითად, ფილმით)</li> <li>5. ახალი მასალის გაკავშირება ძველ და უკვე კარგად ნაცნობ მასალასთან.</li> <li>6. ახალი მასალის ლეგიტიმაცია. მოსწავლეს ვარწმუნებთ მასალის შესწავლის სარგებლიანობაში.</li> </ol>	<p>ინფორმაციის მინოდების შემდეგ მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს და აძლევს მიმართულებას.</p>	<p>ასეთი სწავლების დროს, მასწავლებლებს არ აქვთ მზა პასუხები. მასწავლებელი სვამს კითხვებს:</p> <p>რას ფიქრობთ ამ საკითხზე? როგორია თქვენი პოზიცია?</p> <p>მასწავლებელი ფიქრობს თვითონ მიიყვანოს ბავშვი პრობლემის გადაწყვეტამდე.</p>

## მარია მონტესორი (1870-1952)

### მონტესორის სკოლა

მარია მონტესორი, იტალიელი ჰუმანისტი, პედაგოგი, პირველი ექიმი ქალი მე-19 საუკუნის იტალიაში, ცნობილია, როგორც ახალი პედაგოგიური მეთოდის ავტორი.

1898 წ.-დან მონტესორი გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების სკოლის დირექტორი იყო. ამ პერიოდში დაიწყო მან თავისი თეორიის პრაქტიკაში დანერგვა და სწავლების მეთოდების შემუშავება, რომელიც დღეს ცნობილია „მონტესორის თეორიის“ სახელით.



#### რით გახდა პოპულარული მონტესორის თეორია?

ამ პერიოდის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე 8 წლის მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები წერა-კითხვაში და საშუალოზე მაღალი ქულებიც მიიღეს. მაშინ “მონტესორის სასწავლო” მთელი იტალია ალაპარაკდა. 1907 წელს მონტესორიმ რომში დააარსა სკოლა “ბავშვების სახლი” ყველა ტიპის ბავშვისათვის. მონტესორის სამჯერ მიანიჭეს ნობელის პრემია პედაგოგიკაში განსაკუთრებული წვლილისა და მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვის გამო. დღეს მონტესორის სკოლა და მისი მეთოდი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული.

**მონტესორი აღნიშნავდა -სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის “სპონტანურ თვითგანვითარებას”. რა მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის “სპონტანურ თვითგანვითარებაში” ე.წ. სენზიტიურ პერიოდებს?**

მონტესორის მიაჩნდა, რომ სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის “სპონტანურ თვითგანვითარებას”. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ ბავშვის ფსიქიკური განვითარების ე.წ. სენზიტიურ პერიოდებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ უნარის ჩამოყალიბებისათვის. მაგ.: მეტყველების განვითარების სენზიტიური პერიოდია 1-3 წელი, როდესაც ბავშვი იწყებს ცალკეული სიტყვების წარმოთქმას, შემდეგ კი სიტყვების ფრაზაში გაერთიანებას. 3-დან 6 წლამდე ასაკი კი განსაკუთრებული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს ბავშვი სწავლობს დამოუკიდებლობას და შეიცნობს მის გარშემო არსებულ სამყაროს.

## მონტესორის აზრით, რატომ არის აუცილებელი პედაგოგისათვის ბავშვის ბუნებრივი განვითარების სენზიტიური პერიოდების თავისებურებათა ცოდნა?

მონტესორის მიხედვით, პედაგოგმა უნდა იცოდეს ბავშვის ბუნებრივი განვითარების სენზიტიური პერიოდების თავისებურებანი. ეს აუცილებელია სწავლისათვის ბავშვის მოტივირებისა და მისი განვითარების სტიმულირებისათვის.

## ვისთვისაა განკუთვნილი მონტესორის სასწავლო პროგრამა “ბავშვების სახლი”

მონტესორის სასწავლო პროგრამა “ბავშვების სახლი” განკუთვნილია 3-დან 6 წლამდე ბავშვების ადრეული განვითარების სტიმულირებისათვის.

## რა მნიშვნელობას ანიჭებდა მონტესორი გარემოს?

სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ საკლასო სივრცეში იმყოფებიან, რომლის მოწყობასაც მონტესორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი შეხედულებით, თავისთავად არ არსებობს ზარმაცი, ინტერესების არმქონე, მიუღებელი და გამომწვევი ქცევის მქონე ბავშვი. ეს პრობლემები ჩნდება მაშინ, როცა გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.

## რას გულისხმობს მონტესორის სწავლების მეთოდი?

მონტესორის სწავლების მეთოდი გულისხმობს:

**ბავშვზე დაკვირვებას** წინასწარ მოწყობილ გარემოში; წინასწარ მოწყობილ სასწავლო გარემოში იგულისხმება სასწავლო ოთახი, რომლის სივრცის რეორგანიზაცია ადვილად შესაძლებელი სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, მონესრიგებულადაა განლაგებული მრავალფეროვანი სამუშაო მასალები სხვადასხვა სირთულის დავალებების შესასრულებლად.

**დაკვირვების საფუძველზე ბავშვისათვის სასწავლო გეგმის შემუშავებას** განვითარების სენზიტიური პერიოდის გათვალისწინებით.

**სწავლებაში შეგრძნების ყველა არხის გამოყენებას:** მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება, კინესთეტიკური შეგრძნებები.

**ბავშვისათვის მისაწვდომი სწავლების ტემპის შერჩევასა და პორტფოლიოს გამოყენებას** მიღწევების შეფასებისათვის.

**სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ერთ კლასში სწავლებას** მაგ. 3-6 წლის, 7-9 წლის და ა.შ.

## რა არის მონტესორის სწავლების პრინციპები?

სწავლების პრინციპია ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების გაგება, მისი განვითარების სტიმულირება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა – ბავშვის ცნობისმოყვარეობის, ინტერესისა და დამოუკიდებლობის ნახალისება.

ბავშვებს ბუნებრივი სწრაფვა აქვთ ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი. მასწავლებლის დანიშნულებაა ისეთი საკლასო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და ნახალისებს ბავშვის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას და სწავლას ხალისიანს გახდის.

მონტესორის სწავლების პრინციპებია:

1. მოსწავლის დამოუკიდებლობა და ინიციატივა
2. პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სწავლება.
3. სენსორული სწავლება
4. მოძრაობის თავისუფლება

## როგორია მონტესორის სწავლების პრინციპების არსი?

**მოსწავლის დამოუკიდებლობა და ინიციატივა.** მონტესორის პროგრამა ისეა აგებული, რომ ცენტრალურია მოსწავლის ინტერესი და პოტენციური შესაძლებლობა. სასწავლო გეგმის მიხედვით წინასწარ მომზადებული სხვადასხვა სირთულის დავალებებიდან და განსხვავებული მასალებიდან მოსწავლე თვითონ, თავისი ინიციატივით ირჩევს დავალებას. დავალებები ისეა აგებული, რომ აუცილებლად ახლავს თან ვიზუალური ან სიტყვიერი მინიშნებები, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, თვითონ შეამონმოს გადაწყვეტის სისწორე, იპოვოს შეცდომა და გაასწოროს. ამას მონტესორი თვითმაკორეგირებელ მასალებს უწოდებს. მასწავლებლის როლი კლასში არის არა მზა ცოდნის გადაცემა, არამედ ბავშვების წარმართვა, მათი ინტერესების სტიმულირება და დახმარება დავალების შესრულების პროცესში.

**პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სწავლება.** სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტის გზის პოვნას ან სხვა მასალის გამოყენებას პრობლემის გადასაწყვეტად.

**სენსორული სწავლება** გულისხმობს სასწავლო პროცესში ისეთი მასალების გამოყენებას, რომლებსაც სჭირდება მოსწავლის მხრიდან არა მხოლოდ მხედველობითი და სმენითი შეგრძნებებისა და აღქმის გამოყენება, არამედ შეხების, კუნთების და მყესების, ყნოსვის შეგრძნებებისაც. დავალებები ისეა აწყობილი, რომ საჭიროებს სხვადასხვა შეგრძნების მონაწილეობას, ხოლო მა-

სალები განსხვავებული ფერის, ფორმის, სიდიდისა და ფაქტურისაა. შეგრძნებების ერთდროული მონაწილეობა პრობლემის გადანყვეტისას მნიშვნელოვანია გარემოს შესამეცნებლად, განსაკუთრებით 3-დან 6 წლამდე ასაკში.

**მოძრაობის თავისუფლება.** მონტესორის კლასის სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა დავალების არჩევისას, დავალებისათვის საჭირო მასალების შესარჩევად, ჯგუფური აქტივობებისათვის. კლასში ადვილად გადასაადგილებელი მაგიდები და სკამებია, კედლებთან კი მაგიდები და დაბალი, ღია კარადებია, სადაც აწყვია ყველა საჭირო მასალა. კლასი ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებისათვის შესაძლებელია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა. 3-6 წლის ბავშვებისათვის საკლასო სივრცე უფრო ღიაა და ძირითადი აქტივობები ხალიჩაზე ხორციელდება.

## ბერას ფრედერიკ სკინერი (1904 -1990)

### ოპერანტული განპირობებულობის თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი ბერას ფრედერიკ სკინერი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, 1945-1948 წლებში იყო ინდიანას უნვერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა ჰარვარდში. მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკაში ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სკინერმა ყველა დროის ფსიქოლოგთა შორის მერვე, ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.



#### რაში მდგომარეობს ქცევათმეცნიერების ძირითადი დებულება?

**ქცევათმეცნიერება** აღმოცენდა აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში. ქცევათმეცნიერების ძირითადი დებულების მიხედვით, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ინდივიდის ფსიქიკის ის გამოვლინებები, რაც დაკვირვებადი და გაზომვადია. ამიტომ შეიძლება ობიექტურად და მეცნიერულად შევისწავლოთ და გაგვომოთ მხოლოდ რა ზემოქმედებს (**სტიმული**) ინდივიდზე გარედან (**სტიმული**) და ინდივიდის რეაქცია სტიმულზე (**ქცევა**).

#### რატომ ითვლება, რომ სკინერი „რადიკალური ბიჰევიორიზმის“ მიმდევარი და განმავითარებელია?

სკინერი „რადიკალური ბიჰევიორიზმის“ მიმდევარი და განმავითარებელი იყო. ამ მეცნიერული მიდგომის მიხედვით, ფსიქიკური პროცესების მეცნიერული ახსნა და ზუსტი ინტერპრეტაცია შეუძლებელია, ვინაიდან ისინი ადამიანის „შიგნით“ მიმდინარეობს და ხანდახან თვითონ ადამიანსაც არ ძალუძს ბოლომდე გააცნობიეროს მათი არსი. მეცნიერებისათვის შესაძლებელია ისეთი ფენომენის ახსნა, რაზეც დაკვირვება და რისი შემონიშნებაც შესაძლებელია. ასეთად სკინერს ქცევა მიაჩნია. შესაბამისად, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ორგანიზმის ქცევა და ამ ქცევის შედეგები. თუ ბიჰევიორისტული დასწავლის ზოგიერთი თეორეტიკოსი ადამიანის ან ცხოველის ქცევის ასახსნელად ხშირად იყენებს ტერმინებს, როგორცაა „მოთხოვნილება“, „მოტივაცია“, ანუ ისეთ ფენომენებს, რომლებზეც პირდაპირ დაკვირვება შეუძლებელია, ის არ არის მნიშვნელოვანი „რადიკალური ბიჰევიორიზმისთვის“.

## რას ასახავს ტერმინი “ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი”?

ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი სკინერის ტერმინია და ასახავს ქცევასთან დაკავშირებული სამი ცვლადის ანალიზს. ეს ცვლადებია:

1. ორგანიზმის ქცევა;
2. პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ქცევა;
3. ქცევის შედეგები (მეორდება თუ არა ქცევა თანმხვედრი გარემოებების შემთხვევაში).

## როგორ ხდება “ქცევის ექსპერიმენტული ანალიზის” გამოყენებით ქცევის ახსნა?

ქცევის ახსნა სამი ცვლადის (ორგანიზმის ქცევა, პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ქცევა და ქცევის შედეგები) ანალიზის საფუძველზე ხდება. ბავშვის პრობლემურ ქცევას ყოველთვის რაღაც მიზეზი აქვს, რაც მოცემულ მომენტში არ ჩანს. ამიტომ აუცილებელია იმაზე დაკვირვება და აღწერა, თუ რა უსწრებს წინ პრობლემურ ქცევას, თვითონ ამ ქცევის აღწერა (როგორი ინტენსივობისაა და რას აკეთებს ბავშვი) და რა მოსდევს შედეგად ამ პრობლემურ ქცევას. სკინერი, ისევე როგორც სხვა ბიჰევიორისტები, თვლის, რომ ქცევის პირობების, თვით ქცევისა და მისი შედეგების აღწერა უნდა იყოს დეტალური, ზუსტი, ობიექტური, ყოველგვარი სუბიექტური შეფასების გარეშე.

## ქცევის რამდენ ტიპს გამოყოფს სკინერი?

სკინერი ქცევის ორ ტიპს გამოყოფს:

**რესპონდენტულს** – რეაქცია სპეციფიკურ სტიმულზე (მაგ. ცემინება, თვალბის ხამხამი, შიმშილი და სხვ.)

**ოპერანტულს** – სტიმულის გარეშე ორგანიზმის მიერ სპონტანურად შესრულებული გარკვეული ქცევა (მაგ. წერილის წერა, მანქანის ტარება, წიგნის კითხვა და სხვ.)

ოპერანტული ქცევა საპასუხო რეაქცია არ არის, ის შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანის მიერ და ემორჩილება ოპერანტული განპირობებულობის კანონებს.

## რა არის ოპერანტული განპირობებულობა?

ოპერანტული განპირობებულობა ეს არის დასწავლის ტიპი, როცა რომელიმე რეაქციის გაჩენის ალბათობა იზრდება, თუკი მას მოსდევს განმამტკიცებელი

ლი (მაგ. თუ მოსწავლე ყურადღებით უსმენს მასწავლებელს და მასწავლებელი მის ასეთ ქცევას ღიმილით ან შექცებით აღნიშნავს, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მოსწავლე მომავალშიც ასეთივე ყურადღებიანი იქნება).

### რა არის განმამტკიცებელი?

განმამტკიცებელი შედეგია, შემდგომი მოვლენაა, რაც პასუხად მაშინვე მოყვება ინდივიდის მოქმედებას, ქცევას.

### როგორ მოქმედებს განმამტკიცებელი ქცევაზე?

განმამტკიცებელი აძლიერებს ქცევის აღმოცენების ალბათობას.

### რა სახის განმამტკიცებელი სტიმულები არსებობს?

არსებობს დადებითი და უარყოფითი განმამტკიცებლები.

## აღწერეთ დადებითი და უარყოფითი განმამტკიცებლები

განმამტკიცებელი სტიმული შეიძლება იყოს:

**დადებითი განმამტკიცებელი** – დაჯილდოება (მაგ. ყოველთვის, როცა მასწავლებელი აქებს მოსწავლეს, უწერს მას მაღალ შეფასებას ან ეუბნება მშობელს, რა ნიჭიერია მისი შვილი, ის იყენებს პოზიტიურ განმამტკიცებელს);

**უარყოფითი განმამტკიცებელი** – შვება (უსიამოვნო სტიმულის გაქრობა ქცევის გამოსწორებისთანავე, მაგ. ყურის აწევა; როგორც კი არასასურველი ქცევა გამოსწორდება, ყურზე ხელს უშვებენ);

ორივე შემთხვევაში განმამტკიცებელი ზრდის მომავალში სასურველი ქცევის აღმოცენების ალბათობას.

### რა არის დასჯა?

დასჯა ისეთი ქმედებაა, რომელიც ამცირებს მომავალში ქცევის აღმოცენების ალბათობას.

## დადებითი და უარყოფითი დასჯის მაგალითები

დადებითი დასჯა —სასჯელი	უარყოფითი დასჯა -ჯარიმა
თანამედროვე სკოლებში ნაკლებად გამოიყენება მაგ. მოსწავლე ცუდი ქცევისთვის ისჯება საკლასო ოთახის დალაგებით	უფრო ხშირია უარყოფითი დასჯის (ჯარიმა) გამოყენების მაგალითები (მაგ. იმის გამო, რომ პატარა დას აწვალე, ტელევიზორს გამოგიერთავ და დღეს შენს საყვარელ ფილმს ვერ ნახავ!).

### რატომ ერევათ ერთმანეთში უარყოფითი განმტკიცება და დადებითი დასჯა და როგორ გავარჩიოთ ისინი?

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ერთმანეთში ერევათ უარყოფითი განმტკიცება და დადებითი დასჯა, იმიტომ, რომ ორივე შეიცავს უსიამოვნო, ე. წ. ავერსიულ სტიმულს. თუმცა მათი გარჩევა ადვილია ქცევაზე თითოეულის ზეგავლენის მეშვეობით, რადგან ეს ზეგავლენა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სკინერის მიხედვით ოპერანტული სწავლის დროს მომავალში ქცევის განმეორების ალბათობას ზრდის განმტკიცება (თავისი ორი ფორმით), ხოლო ამ ქცევის განმეორების ალბათობას ამცირებს დასჯა (თავისი ორი ფორმით).

### თავად სკინერს დასჯის საწინააღმდეგოდ რა არგუმენტები მოჰყავს?

თავად სკინერს დასჯის საწინააღმდეგოდ მრავალი არგუმენტი მოჰყავს.

ის თვლის, რომ დროთა განმავლობაში დასჯა არაეფექტური ხდება, ის მხოლოდ ახშობს არასასურველ ქცევას; როცა დასჯის შიში გაივლის, ქცევის ინტენსივობა უბრუნდება პირვანდელ დონეს, ანუ ეფექტი დროებითია.

მნიშვნელოვან არგუმენტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დასჯა მიუთითებს მხოლოდ იმაზე, თუ რა არ უნდა გააკეთო, და არა იმაზე, რისი გაკეთება იქნებოდა მისაღები და კარგი.

აგრეთვე, დასჯა ამართლებს სხვა ადამიანისთვის ტკივილის მიყენებას (ბავშვს, რომელიც დედამ მიტყიპა, ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეუძლია, რომ არსებობს სიტუაციები, როცა ტკივილის მიყენება დაშვებულია) და იწვევს აგრესიას დამსჯელის ან სხვების მიმართ.

### სკინერის აზრით აქვს თუ არა დასჯას ალტერნატივა?

სკინერის აზრით, დასჯას აქვს შემდეგი ალტერნატივა:

1. სიტუაციის ცვლილება,
2. იგნორირება
3. განმამტკიცებლის მიგნება და გამორიცხვა.

## სკინერის მიხედვით დასჯა უფრო ეფექტურია თუ ალტერნატიული გზების გამოყენება?

დასჯაზე უფრო ეფექტურია ალტერნატიული გზების გამოყენება. მაგალითად:

1. **სიტუაციის ცვლილება** არასასურველი ქცევის თავიდან აცილების მიზნით (წინასწარ მოვაცილოთ ძვირფასი ლარნაკი ბავშვისთვის ხელმისაწვდომი ადგილიდან),
2. **უბრალოდ იგნორირება**, რაც კარგ შედეგს იძლევა არასასურველი, პრობლემური ქცევის შემთხვევაში; მაგ., როდესაც ბავშვი ბრაზობს და ტირის, რადგან შოკოლადს სადილამდე არ აძლევენ, ეფექტურია იგნორირება. ამ დროს უფროსი არ აქცევს ყურადღებას ბავშვის მოთხოვნებსა და ტირილს, თითქოს არც ესმის მისი; სკინერის მიხედვით, ამ სტრატეგიის რამდენჯერმე გამოორება აქრობს ქცევას, რადგან არ მტკიცდება და ბავშვი ხვდება, რომ ამ გზით ის სასურველს ვერ მიიღებს).
3. **განმამტკიცებლის მიგნება და გამორიცხვა** - გაკვეთილზე, როდესაც ბავშვმა იცის, რომ მისი გამოკითხვის ჯერია, შეიძლება ისე მოიქცეს, რომ მასწავლებელმა კლასიდან გაუშვას. მან თავისი ქცევით მიზანს მიაღწია და თავიდან აიცილა დავალების შესრულება. თუ მასწავლებელი გაანალიზებს ბავშვის ქცევას და აღმოაჩენს, რომ მის "ამრევ" ქცევას წინ უსწრებს საკითხავი დავალების შესრულება, მაშინ ის მიხვდება პრობლემური ქცევის მიზეზს და კლასიდან გარეთ გაშვებით აღარ განამტკიცებს მის სურვილს.

## სკინერის აზრით, ადამიანის ქცევის შესასწავლად რამდენად აუცილებელია რთული თეორიების ჩამოყალიბება?

სკინერის აზრით, ადამიანის ქცევის შესასწავლად აუცილებელი არაა რთული თეორიების ჩამოყალიბება. ის ძირითად ამოცანად მიიჩნევს სტიმულისა და რეაქციის ტიპებს შორის ურთიერთზემოქმედების საფუძვლების შესწავლას. ეს გულისხმობს მასტიმულირებელ მოვლენასა და გაზომვად ქცევას შორის ფუნქციონალურ ანალიზს.

## სკინერის თეორიის მიხედვით რის საშუალებას იძლევა ფუნქციონალური ანალიზი?

ის თვლიდა, რომ ფუნქციონალური ანალიზი საშუალებას იძლევა, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ორგანიზმზე, როგორც ქცევით სისტემაზე, ანუ იმაზე, თუ რაზე რეაგირებს ან არ რეაგირებს ინდივიდი, რა პირობებში მიმდინარეობს ქცევა და რა შედეგი აქვს მას.

## როგორი იყო სკინერის მოსაზრება განათლების სისტემაში საკუთარი თეორიის გამოყენების შესახებ?

სკინერი დაინტერესებული იყო განათლების სისტემაში საკუთარი თეორიის გამოყენებით. ის თვლიდა, რომ დასწავლა ეფექტურია, როცა:

1. ასათვისებელი მასალის მიწოდება ხდება თანდათანობით;
2. მოსწავლეები იღებენ დაუყოვნებელ უკუკავშირს, რამდენად სწორად დაისწავლეს მიწოდებული მასალა;
3. დასწავლა მიმდინარეობს მოსწავლეთათვის მისაღებ ტემპში.

ამ მიდგომის მიხედვით, მასწავლებელი ინფორმაციის, ცოდნის გადამცემია. ის ქმნის ცოდნის გადაცემისათვის საჭირო პირობებს, არჩევს მასალას. მოსწავლეები კი ამ ცოდნას ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებენ.

## რაში მდგომარეობს ბიჰევიორიზმის (ქცევათმეცნიერების) გავლენა სასწავლო გეგმასა და სწავლებაზე?

ბიჰევიორიზმმა რამდენიმე მიმართულებით მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტექნოლოგიებზე. კერძოდ:

### ქცევითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა სასწავლო გეგმაში.

ბიჰევიორიზმის გავლენით სასწავლო გეგმაში 40-იანი წლებიდან დაიწყო სასწავლო მიზნების სპეციფიკური ფორმულირების პრინციპების დანერგვა. **სასწავლო მიზნები და სწავლების შედეგები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მათზე დაკვირვება და რაოდენობრივი შეფასება.** მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსთვის აშშ მასწავლებლების უმრავლესობა იყენებდა სასწავლო მიზნებისა და სწავლების შედეგების ფორმულირების წესებს. ქცევის მიზნებისა და შედეგების სპეციფიკური განსაზღვრის მოთხოვნამ განავითარა ბიძგი გავარჯიშებით დასწავლა. კერძოდ, მორისონმა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სკოლაში შეიტანა ე. წ. **“დაოსტატების ფორმულა”**: **წინატესტირება, სწავლება, შემდგომი ტესტირება, ადაპტაციისა და დახმარების პროცედურა საჭიროების მიხედვით, სწავლება და შემდგომი ტესტირება.** მორისონის გეგმა გულისხმობს, რომ კლასში ყველა მოსწავლემ უნდა აითვისოს გაკვეთილზე გათვალისწინებული მასალა.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლები	მე-20 საუკუნის 40-იანი წლები	მე-20 საუკუნის 60-იანი წლები
ქცევის მიზნებისა და შედეგების სპეციფიკური განსაზღვრის მოთხოვნამ მისცა ბიძგი გავარჯიშებით დასწავლის მიდგომას.	ბიჭვეიორიზმის გავლენით სასწავლო გეგმაში დაიწყეს სასწავლო მიზნების სპეციფიკური ფორმულირების პრინციპების დანერგვა.	აშშ მასწავლებლების უმრავლესობა იყენებდა სასწავლო მიზნებისა და სწავლების შედეგების ფორმულირების წესებს.

### რაში მდგომარეობს სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა?

აშშ განათლების სისტემაში ეს იდეა დაინერგა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და დაკავშირებულია კელერის გეგმასთან. ამ გეგმის მიხედვით, **სწავლება უნდა განხორციელდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე**. ამ ტიპის სასწავლო გეგმის სპეციფიკაა სწავლის ინდივიდუალური ტემპის გათვალისწინება, დაოსტატების ტექნიკის გამოყენება, სასწავლო მოტივაციის გაძლიერება, მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი ათვისებისათვის საჭირო ეტაპების გამოყოფა, ყოველი ნაწილის ათვისების შეფასება. ამ გეგმის საფუძველზე მე-20 საუკუნის 70-იანი წლებში პიტსბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა სწავლების ინდივიდუალური გეგმა და ფლანაგანის სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა დახმარება და დამატებითი სწავლება კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით.

### რა მნიშვნელობა აქვს კომპიუტერის დახმარებით სწავლებას?

კომპიუტერის დახმარებით სწავლება აშშ-ში გავრცელდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან და ძირითადად მიმართული იყო ჩვევების გავარჯიშებაზე და მექანიკურ დასწავლაზე. სწავლების პრინციპი ბიჭვეიორისტულ მიდგომაზე იყო დაფუძნებული: მიზნის განსაზღვრა, დავალების ნაწილებად დაყოფა, ყოველ ნაწილზე მუშაობა კონკრეტული ალგორითმის საფუძველზე და შედეგის შეფასება. დღეს კომპიუტერის გამოყენება სასწავლო პროცესში მრავალმხრივია არა მხოლოდ სასწავლო კომპიუტერული პროგრამების სახით, არამედ სასწავლო პროცესში დავალების შესრულების დროს კომპიუტერის გამოყენების სახითაც.

### რა უპირატესობა აქვს სწავლებისადმი სისტემურ მიდგომას?

სწავლებისადმი სისტემური მიდგომა მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლებში ჩამოყალიბდა და კომპიუტერული მეტაფორა დაედო საფუძველად. შესაბამისად, სწავლების სისტემის დიზაინი გულისხმობს მოსწავლის საჭიროებების შეფასებას, გრძელვადიანი მიზნების დადგენას, მათ საფუძველზე მოკლევადიანი

მიზნების ჩამოყალიბებას, შეფასების სტრატეგიის განსაზღვრას, სწავლების მეთოდის შემუშავებას, მასალების შერჩევას, მიმდინარე და შემავჯამებელ შეფასებას.

### **რა არის თეორიის ძლიერი მხარე?**

ბიჰევიორისტული მიდგომის გამოყენება ეფექტურია ჩვევების ასათვისებლად, მასალის შინაარსის დასასწავლად, ქცევის მართვისთვის, სასურველი ქცევის მისაღწევად და ქცევის შესაცვლელად.

### **როგორია სწავლების მეთოდოლოგია:**

დავალების ანალიზი და კომპონენტების გამოყოფა.

მოსწავლეთა მისაღები ქცევების განსაზღვრა და მათი განმტკიცება.

სწავლების მეთოდიკა დამყარებულია ხშირ ასოციაციურ კავშირებზე, შესრულებასა და მისაღწევ მიზანს შორის მკაფიო უკუკავშირზე.

### **რა ტიპის დავალებები უნდა მივცეთ მოსწავლეებს:**

დავალება დაიყოს იყოფა მცირე კომპონენტებად და მათ ასათვისებლად საჭირო ეტაპებად, შემდეგ კი მოხდეს გამთლიანება.

დავალებები უნდა იძლეოდეს საშუალებას გამოვიყენოთ დახმარების ხარისხები: ფიზიკური დახმარება, ერთობლივად კეთება, სიტყვიერი, მითითებით დახმარება და დამოუკიდებელი შესრულება. დავალებების მიწოდება ხდება მარტივიდან რთულისკენ და მოსწავლე ოსტატდება კონკრეტული დავალების დამოუკიდებლად შესრულებაში.

## ედვარდ ლი თორნდაიკი

(1874-1949)

### დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით

1899 წელს თორნდაიკი გახდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიურ კოლეჯის ფსიქოლოგიის ლექტორი. 1912 წელს ის აირჩიეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად. თორნდაიკის მიერ კოლუმბიის უნივერსიტეტში გატარებული 50 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო. მისი ბობლიოგრაფია ითვლის 507 დასახელებას და ამასთან, მრავალი ამ წიგნებიდან საკმაოდ სკელტანიანია.



თორნდაიკმა შექმნა ექსპერიმენტული მიდგომა, რომელსაც დაარქვა კონექციონიზმი. ის წერდა, რომ თუ მას დასჭირდებოდა ადამიანის ცნობიერების განალიზება, ის მოძებნიდა “კავშირს A - სიტუაციას, სიტუაციის ელემენტებსა და სიტუაციის შემადგენებსა და B - რეაქციებს, რეაგირებისათვის მზაობას, სტიმულებს, შეფერხებას, რეაქციის მიმართულებას შორის. ამ ყველაფრის გავალისწინების შემთხვევაში, საუბარია იმაზე, თუ რას ფიქრობს და აკეთებს ადამიანი, რა გააღიზიანებს და რა გაახარებს მას ნებისმიერ წარმოდგენილ სიტუაციაში, მე მეჩვენება, რომ არაფერი არ დარჩება გვერდზე... დასწავლა — ესაა კავშირი, გონება — ესაა ადამიანის კავშირების სისტემა” (თორნდაიკე. 1931. 122).

### დასწავლის რა ფორმას მიმოიხილოს ედვარდ თორნდაიკი?

ესაა დასწავლის ფორმა: „დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით“. მოცემული სტილის დასწავლა შემდეგნაირად მიმდინარეობს: ახალ და უცხო სიტუაციაში ადამიანი სხვადასხვა ქცევას მიმართავს მანამ, სანამ მისი ქცევა სასურველ შედეგს არ მოიტანს. ამის შემდეგ ხდება წარმატებული ქცევის გამეორება, რასაც დასწავლა განაპირობებს. მაგ.: წარმოიდგინეთ, რომ მოსწავლეს ახლად დაწყებული აქვს მუშაობა კომპიუტერთან. ის ბეჭდავს დოკუმენტს, მაგრამ ზუსტად არ ახსოვს, თუ როგორ უნდა განახორციელოს ტექსტის ცენტრირების ოპერაცია. ის მიმართავს სხვადასხვა ქცევას (აჭერს სხვადასხვა ლილაკს) მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევს. ამის შემდეგ, როდესაც ის მიუჯდება კომპიუტერს სამუშაოდ, უფრო იოლად განახორციელებს სასურველ ქცევას.

## როგორ შეიძლება ჩამოვყალიბოთ თორნდაიკის დასწავლის კანონები?

**ეფექტის კანონი:** მოხდება იმ ქცევის გამეორება, დასწავლა, რომელსაც თან ახლავს “კმაყოფილების განცდა” და პირიქით, არ მოხდება იმ ქცევის გამეორება, რომელსაც თან არ ახლავს “კმაყოფილების განცდა”.

**მზაობის კანონი:** ნებისმიერი ქმედების დასწავლა-არდასწავლა მზაობაზეა დამოკიდებული. მზაობაში იგულისხმება ადამიანის განვითარების დონე და მოტივაცია. მაგ.: სტუდენტი კომპიუტერის გამოყენებით დავალების შესრულების დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, თუ მან უკვე გარკვეულ დონეზე იცის კომპიუტერთან მუშაობა.

**მრავალი რეაქციის კანონი:** როდესაც ადამიანი გადაწყდება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არა აქვს მზა ქცევა, ის მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას მანამ, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო რეზულტატი არ მოჰყვება. განწყობის ანუ დამოკიდებულების კანონის თანახმად ჩვენ მივმართავთ გარკვეულ ქცევას ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით. მოცემული კანონი აღიარებს კულტურის და გამოცდილების ზეგავლენას. ჩვენი დამოკიდებულებები კულტურის ზეგავლენას განიცდის. მაგ.: ზოგიერთი კულტურისათვის აგრესიული ქცევა უფრო დამახასიათებელია, ამიტომ მოცემულ კულტურაში მოსალოდნელია ასეთი ქცევის დასწავლა და განმტკიცება.

**დომინანტური ელემენტების კანონის** თანახმად, პრობლემურ სიტუაციაში ორგანიზმი რეაგირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან (დომინანტურ) ელემენტებზე. მოსწავლე სწორი გადაწყვეტილების ძიებისას პირველ რიგში თვალში-საცემ დეტალებს აფიქსირებს.

**ანალოგიური რეაქციის კანონი** გულისხმობს, რომ, როცა ჩვენ ვხვდებით ახალ სიტუაციაში, პირველ რიგში მივმართავთ იმ ქცევას, რომელსაც მივმართავდით მსგავს სიტუაციაში. ჩვენ რეაქცია გადაგვაქვს ერთი სიტუაციიდან მეორეში, რაც აუცილებელია ადაპტაციისათვის.

## ლევ ვიგოტსკი (1896-1934)

### განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია

ლევ ვიგოტსკი, რუსი ფსიქოლოგი, მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი. მისი დაფუძნებულია დეფექტოლოგიის ინსტიტუტი მოსკოვში. იგოტსკის ეკუთვნის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების კულტურულ-ისტორიული თეორია, ასევე, თავის ტვინში ფსიქიკური ფუნქციების სისტემური ლოკალიზაციის თეორია. მანვე ჩამოაყალიბა ბავშვის განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია. იგოტსკიმ მისცა დასაბამი მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ექსპერიმენტულ კვლევას განვითარების ქრილში.



#### რატომ უწოდებენ ვიგოტსკის თეორიას სოციალურ-კულტურული განვითარების თეორიას?

რადგან ბავშვი კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ გარემოში იზადება, მის ფსიქიკურ განვითარებას განსაზღვრავს სოციალური ურთიერთობები და კულტურული მონაპოვარი, მაგ. დამწერლობა, რიცხვითი სისტემა და სხვ. შესაბამისად, ბავშვის აზროვნებისა და ზოგადად, შემეცნებითი (კოგნიტური) სფეროს განვითარებაც კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ხდება, ბავშვისათვის მნიშვნელოვანი უფროსის (ავტორიტეტის) საშუალებით. ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის სოციალური ურთიერთობები წამყვან როლს ასრულებს. ვიგოტსკი თავის თეორიაში ბავშვის განვითარებაში ყოველ ფსიქიკურ ფუნქციას ორ დონეზე განიხილავს:

**პირველია** სოციალურ-ინტერფსიქოლოგიური დონე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვის ფსიქიკა სხვებთან სოციალურ ურთიერთობებში ყალიბდება;

**მეორეა** ინდივიდუალური დონე — ინტრაფსიქოლოგიური, ანუ ამ ეტაპზე ბავშვის გარემოსთან ურთიერთობით მიღებული გამოცდილება შიდა პლანზე გადადის, რაშიც წამყვან როლს მეტყველება ასრულებს.

#### რას ეფუძნება ვიგოტსკის თეორია?

ვიგოტსკის თეორია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. განვითარება სოციალურ-კულტურულ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს;
2. ბავშვი ცოდნას აგებს და არა პასიურად ითვისებს;
3. სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას;
4. ფსიქიკურ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მეტყველებას უკავია.

### როგორია პიაჟეს და ვიგოტსკის თეორიული მიდგომები სწავლის და განვითარების ურთიერთმიმართებაზე?

- **პიაჟეს მიაჩნდა**, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვებს ჯერ გარკვეული კოგნიტური სტრუქტურები, ანუ სქემები უნდა ჩამოუყალიბდეთ, რათა მათ შეძლონ სამყაროს შესწავლა და შემეცნება.
- **ვიგოტსკის თეორია** კი ვარაუდობს, რომ სწავლა წინ უძღვის და ხელს უწყობს კოგნიტურ განვითარებას. ბავშვი სწავლობს საზოგადოებაში არსებულ სიმბოლოთა მნიშვნელობებს სხვა ადამიანების მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
- **როგორ განმარტავს ვიგოტსკი თვითრეგულირების უნარს?**

განვითარება მოიცავს ბავშვის მიერ სიმბოლოთა მნიშვნელობების ისე გათავისებას, რომ მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება და პრობლემების გადაჭრა. ამ უნარს თვითრეგულირების უნარი ეწოდება.

### რა საფეხურები უნდა გაიაროს ბავშვმა თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი რომ განუვითარდეს?

იმისათვის, რომ ბავშვს თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი განუვითარდეს, მან

**პირველ რიგში**, უნდა შეიცნოს, რომ მოქმედებებს და ბგერებს კონკრეტული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჩვილი ბავშვი სწავლობს, რომ როცა იგი საგნისაკენ ხელს გაიწვინებს, მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ პროცესს აღიქვამენ, როგორც იმის ნიშანს/სიმბოლოს, რომ ბავშვს ეს საგანი უნდა. ენის დაუფლების პროცესში ბავშვები ხვდებიან, რომ კონკრეტული ბგერები და ბგერათა ერთობლიობები გარკვეულ მნიშვნელობებს უკავშირდება.

**მეორე ნაბიჯი**, თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, არის პრაქტიკა. მაგალითად, ჩვილი ბავშვი ჟესტებს/ხელის მოძრაობებს იყენებს იმისათვის, რომ გარშემო მყოფთა ყურადღება მიიპყროს. სკოლამდელი ასაკის ბავშვი ესაუბრება სხვა ადამიანებს და ენას ნელ-ნელა ეუფლება.

**ბოლო საფეხურზე** ბავშვი იყენებს სიმბოლოებს, ინყებს დამოუკიდებლად აზროვნებას და პრობლემების გადაჭრას. ამ ეტაპზე ბავშვს უკვე გათავისებულ აქვს სიმბოლოთა სისტემა და გააჩნია თვითრეგულირების უნარი.

### ვიგოტსკის აზრით, სოციალური კომუნიკაცია რა როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში?

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შექმნას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. პიაჟე ვარაუდობდა, რომ ბავშვები დამოუკიდებლად შეიმეცნებენ სამყაროს, ხოლო ვიგოტსკი ამტკიცებდა, რომ სულაც არ არის აუცილებელი ან საჭირო, რომ ბავშვებმა მათ კულტურაში არსებული ცოდნა თვითონვე ხელახლა მოისაზრონ და აღმოაჩინონ. ცოდნა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა საზოგადოებაში და ბავშვმა ის სოციალური კომუნიკაციების საშუალებით უნდა გაითავისოს.

### რატომ ითვლება “მოქმედება” მნიშვნელოვან ცნებად სოციო—კულტურულ თეორიაში?

აღსანიშნავია, რომ ბავშვები აქტიურ როლს თამაშობენ სოციალურ კომუნიკაციაში. შესაბამისად, **მოქმედება** მნიშვნელოვანი ცნებაა სოციო—კულტურულ თეორიაში. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული რამე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ასეთი საქმიანობის დროს ბავშვები აქტიურად შედიან დიალოგში მათ გარშემო მყოფ ადამიანებთან. დიალოგის საშუალებით ხდება იდეების გაცვლა და ბავშვის განვითარებაც წინ იწევს.

### რა მოიაზრება ტერმინში - განვითარების უახლოესი ზონა?

**განვითარების უახლოესი ზონა** გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო კომპეტენტური თანატოლების დახმარებით.

## როგორ განმარტავს ვიგოტსკი ბავშვის განვითარების ამჟამინდელ/არსებულ და პოტენციურ განვითარების დონეებს?

ვიგოტსკი განასხვავებს ბავშვის განვითარების ამჟამინდელ/არსებულ და პოტენციურ განვითარების დონეებს.

**ბავშვის განვითარების არსებული დონე** გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეუძლია.

**ბავშვის განვითარების პოტენციური დონე** კი გულისხმობს იმ ამოცანათა/მოქმედებათა ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს შეუძლია უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით.

**განვითარების უახლოესი ზონა არის** - მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა (ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს) და პოტენციური განვითარების დონეს (ამოცანების სხვების დახმარებით გადაჭრის უნარს) შორის.

**ვიგოტსკის აზრით რა არის და რას მოიცავს ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა?**

**ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა** მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებს აღმოცენებას და განვითარებას. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; ბავშვი გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.

დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად

დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე შეუძლია

დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულება ბავშვს მხოლოდ სხვების დახმარებით და მხარდაჭერით შეუძლია

## ვიგოტსკის აზრით ამოცანათა სირთულის ზრდს რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლის განვითარებისას?

იმისათვის, რომ განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში ვასწავლოთ, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ კოგნიტური განვითარების რა დონეზე იმყოფებიან მოსწავლეები: უნდა შევაფასოთ, დავალებების/ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების როგორი უნარი აქვთ და რისი გაკეთება შეუძლიათ სხვების დახმარებით.

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ბავშვები ძალიან ცოტას სწავლობენ ისეთი დავალებების შესრულებით, რომელთა თავის გართმევა მათ უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ. ბავშვები, ძირითადად, ვითარდებიან მაშინ, როცა ისინი ცდილობენ რთული დავალებების შესრულებას სხვა ადამიანების დახმარებით და მითითებით, ანუ როცა მოსინჯავენ ისეთ ამოცანებს, რომლებიც მათი განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში ჯდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოგნიტურ განვითარებას ხელს უწყობს ცხოვრების სირთულეების გადალახვა და არა იოლი მიღწევები.

### **ვიგოტსკის აზრით რამდენად მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა რთული დავალებების ინტენსიურად მიწოდებისას?**

თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ როცა ბავშვებს რთული დავალებების შესრულება ერთმანეთის მიყოლებით, მთელი დღის განმავლობაში უწევთ, ეს უარყოფითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე და თვითდაჯერებულობაზე. ეს შედეგი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ბავშვები ხშირ წარუმატებლობას და იმედგაცრუებას განიცდიან.

მაშინ, როცა რთული დავალებები მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, ის დავალებები, რომელთა შესრულება ბავშვს არ ძალუძს სხვა ადამიანების დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად, აბსოლუტურად უსარგებლოა. განვითარების უახლოესი ზონა განსაზღვრავს ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობების ზედა ზღვარს, ანუ იმას, თუ რისი შესწავლა შეუძლია ბავშვს მისი კოგნიტური განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე.

## ჟან პიაჟე (1896-1980)

### ინტელექტის განვითარების თეორია

შვეიცარიელი ფსიქოლოგი, ინტელექტის განვითარების თეორიის ავტორი. 1929 წლიდან იყო ჟენევის უნივერსიტეტში პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი.

• პიაჟემ შექმნა ბავშვის აზროვნების განვითარების ექსპერიმენტული კვლევის სკოლა და შექმნა ინტელექტის განვითარების თეორია.



#### როგორ ჩაეყარე საფუძველი პიაჟეს თეორიას?

პიაჟემ შექმნა ბავშვის აზროვნების განვითარების ექსპერიმენტული კვლევის სკოლა. მან რამდენიმე წელი იმუშავა ცნობილი ფსიქოლოგის, ალფრედ ბინეს ლაბორატორიაში. სწორედ ამ ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟე პირველად დაინტერესდა ადამიანის ინტელექტის და მისი განვითარების საკითხების შესწავლით. ბინეს ლაბორატორიის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო სტანდარტული ტესტების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ინტელექტის განვითარების დონის დადგენა. ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩაეყარა საფუძველი პიაჟეს თეორიას.

#### რა კვლევები დაედო საფუძვლად პიაჟეს თეორიას?

კვლევებმა აჩვენა, რომ ერთი ასაკის ბავშვები ტესტებზე მუშაობის დროს ხშირად უშვებდნენ ერთსა და იმავე ტიპის შეცდომებს და ამ შეცდომის არსით, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სხვა ასაკის ბავშვებისაგან. ამ დაკვირვებამ უბიძგა პიაჟეს იმ ფაქტორების კვლევისაკენ, რომლებსაც გავლენა აქვთ აზროვნების პროცესზე. მისი კვლევის შედეგები ასახულია "კოგნიტური განვითარების თეორიაში", რომელიც თავის დროზე ექსპერტების მიერ

შეფასებული იყო უნიკალურ და რევოლუციურ ნაბიჯად ფსიქოლოგიის განვითარებაში.

### პიაჟეს თეორიაში რა ადგილი უკავია კოგნიტურ სქემებს?

პიაჟეს თეორიაში ძირითადი ადგილი უკავია ე. წ. **კოგნიტური სქემების** ცნებას. კოგნიტური სქემა წარმოადგენს ერთგვარ ჩარჩოს, რომელშიც მოცემულია ამა თუ იმ ქცევის განხორციელების მონახაზი, შესაძლებლობა. ასე მაგალითად, ახალშობილ ბავშვს განვითარებული აქვს ტაცების, წოვის ინსტინქტი (რეფლექსური ქცევები). ამ ქცევების განხორციელების შესაძლებლობას პიაჟე უწოდებს სქემას. პიაჟეს თეორიის თანახმად, ადამიანს დაბადებიდან აქვს მოცემული მარტივი სქემები, რომელთა საშუალებითაც მას ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს მარტივი ქმედებები, ქცევები.

ასაკთან ერთად კი სქემები რთულდება, როგორც სტრუქტურულად (მყარდება ახალი კავშირები, იქმნება ახალი, რთული სქემები), ისე შინაარსობრივად (ყალიბდება რთული ქცევების განხორციელების შესაძლებლობა). პიაჟე ყოველთვის ხაზს უსვამდა ბიოლოგიური განვითარების მნიშვნელობას კოგნიტური სქემების განვითარებაში. იგი შეუძლებლად მიიჩნევდა კოგნიტური სქემების განვითარებას შესაბამისი ბიოლოგიური აპარატის (ტვინი, სმენა, მხედველობა და ა. შ.) განვითარების გარეშე.

### კოგნიტური სქემების განვითარების ახსნაში რა როლს თამაშობს ასიმილაცია და აკომოდაცია?

პიაჟეს აზრით, კოგნიტური სქემების განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ფიზიკური/ბიოლოგიური მონიჭეულობა/განვითარება. ამ პროცესის ასახსნელად მას შემოაქვს ორი მნიშვნელოვანი ცნება - **ასიმილაცია და აკომოდაცია**.

**ასიმილაცია** გულისხმობს ადამიანის გამოცდილებაში უკვე არსებული ინფორმაციის (სქემის) ფარგლებში გარემოსთან ურთიერთობის პროცესს. ადამიანს დაბადებიდან აქვს გარკვეული სქემები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მის ინტერაქციას (ურთიერთქმედებას) გარემოსთან. გარემოსთან ურთიერთქმედების დროს ადამიანი ადარებს გარემოდან მიღებულ ინფორმაციას მის გამოცდილებაში არსებულ სქემებს და ახდენს ამ ახალი ინფორმაციის ასიმილაციას (ათვისებას) ამ სქემების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, აძლევს მას შესაძლებლობას განახორციელოს საპასუხო ქმედება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

## რა დროს ერთვება აზროვნების პროცესში აკომოდაცია, რის შესაძლებლობას იძლევა ის?

ასიმილაცია არის ერთგვარი პრიზმა, ფილტრი, რომელიც ყალიბდება არსებული გამოცდილების საფუძველზე და რომელშიც ტარდება ყველაფერი ის, რაც ხდება ადამიანის ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია, რაკი ასიმილაციის პროცესი მთლიანად ეფუძნება ადამიანის გამოცდილებას და ამ გამოცდილების საფუძველზე უკვე ჩამოყალიბებულ სქემებს, მხოლოდ ამ პროცესით ძნელი, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ინფორმაციის მიღება და გაგება, რომელიც ვერ ექცევა უკვე არსებული გამოცდილების ფარგლებში, ანუ სრულიად ახალია თავისი შინაარსით და ფორმით. სწორედ ასეთ შემთხვევაში ერთვება აკომოდაციის პროცესი, რომელიც იძლევა არსებული გამოცდილების/სქემების გართულების, მათი მოდიფიცირების, გამდიდრების შესაძლებლობას ახალი ინფორმაციით.

## რატომ ითვლება აკომოდაციის პროცესი გადამწყვეტ კომპონენტად და რა კავშირი აქვს დასწავლასთან ასიმილაციას და აკომოდაციას?

პიაჟეს აზრით, სწორედ აკომოდაციის პროცესი არის გადამწყვეტი კომპონენტი ინტელექტუალური განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებში, როდესაც გარემოში ბევრი სიახლეა, რომელიც არ შეესაბამება უკვე არსებულ კოგნიტურ სქემებს. ორივე პროცესი აუცილებელია განვითარებისთვის, თუმცა სხვადასხვა ასაკში ასიმილაციას და აკომოდაციას განსხვავებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროცესები უფრო ურთიერთშემავსებელია, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი. ახალ გარემო პირობებთან შეხების დროს ადეკვატური რეაგირებისათვის ირთვება ორივე პროცესი. ასიმილაციის საშუალებით ხდება იმ ინფორმაციის "გათავისება", არსებულ სქემებსა და გამოცდილებაზე მორგება. აკომოდაციის პროცესის შედეგად კი ხდება არსებული სქემების გამდიდრება, გამრავალფეროვნება და გართულება, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასზე მოქმედ სტიმულზე, არამედ მსგავს სიტუაციათა მთელ სპექტრზე. პიაჟეს თეორიის მიხედვით, დასწავლა ამ ორი პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს.

## რას მიიჩნევს პიაჟე განვითარების მამოძრავებელ ძალად?

განვითარების მამოძრავებელ ძალად (სტიმულად) პიაჟე ორგანიზმის წონასწორობისაკენ (ადაპტაციისაკენ) სწრაფვას მიიჩნევს. მისი აზრით, ადამიანს თანდაყოლილად მოჰყვება გარემოსთან კომფორტული, ჰარმონიული ურთიერთმიმართების ჩამოყალიბების სურვილი, სწრაფვა, რომლის მიღწევასაც

იგი გარემოსადმი ადაპტაციის გზით (ასიმილაციის და აკომოდაციის პროცესებით) ახერხებს.

### რა მნიშვნელობა აქვს წონასწორობისკენ, ადაპტაციისკენ სწრაფვას გათავისების /ინტერიორიზაციის/ პროცესში?

ადაპტაციისაკენ სწრაფვა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერიორიზაციის (გათავისების) პროცესს. ეს ტერმინი გულისხმობს ადაპტაციის პროცესში გამდიდრებული და გამრავალფეროვნებული კოგნიტური სქემების საფუძველზე უშუალოდ მოქმედი გარემო ფაქტორებისადმი დამოკიდებულების ხარისხის შემცირებას. კერძოდ კი, თუ ადრეულ ასაკში ბავშვის სქემები (შესაბამისად ქცევებიც) ძალიან კონკრეტულია და მიბმულია კონკრეტულ გარემო ფაქტორებთან (ამ ფაქტორების ზემოქმედებასთან), ასაკთან ერთად გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულება მცირდება გამოცდილებაში არსებული კოგნიტური სქემების საშუალებით. ინტერიორიზაციის განვითარების პროცესში ბავშვის ქმედებებიც სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება გარემო ფაქტორებისაგან და ხშირად უფრო შინაგან სახეს იძენენ, ვიდრე გარე გამოხატული რეაქციების ფორმას. ასეთ შინაგან რეაქციებს პიაჟემ ოპერაციები უწოდა, რომლებიც თავისი არსით აზროვნების პროცესს შეესაბამება.

### რაში მდგომარეობს ოპერაციების "შექცევადობის" თვისება?

თავის თეორიაში პიაჟე მიუთითებს ოპერაციების ე.წ. "შექცევადობის" თვისებაზე.

**მარტივი ოპერაციის ნიმუში:  $5 + 3 = 8$**

**ოპერაციის შექცევადობის ნიმუში:  $8 - 5 = 3$  ან  $8 - 3 = 5$**

### რა ადგილი უკავია პიაჟეს თეორიაში კოგნიტური განვითარების ეტაპების იდეას?

პიაჟეს თეორიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოგნიტური განვითარების ეტაპების იდეას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ბინეს ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟემ აღმოაჩინა, რომ ინტელექტის ტესტებზე მუშაობის პროცესში, ერთი და იგივე ასაკის ბავშვები ხშირად ერთსა და იმავე, ან ძალიან მსგავს შეცდომებს უშვებენ, რომლებიც თავისი შინაარსით და ფორმით სრულიად განსხვავდებიან სხვა ასაკის ბავშვების შეცდომებისაგან. სწორედ ეს დაკვირვება დაედო საფუძველად მის თეორიას, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი განვითარების პროცესში გადის კოგნიტური განვითარე-

ბის ერთსა და იმავე საფეხურებს. მაგრამ ამ საფეხურების გავლის ტემპი და ფორმა ინდივიდუალურად განსხვავებულია.

### განვითარების რამდენ საფეხურს გამოყოფს პიაჟე?

პიაჟე გამოყოფს განვითარების ოთხ საფეხურს:

1. სენსო-მოტორული სტადია
2. ოპერაციამდელი სტადია
3. კონკრეტული ოპერაციების სტადია
4. ფორმალური ოპერაციების სტადია

### რა ასაკს მოიცავს და როგორია სენსო-მოტორული სტადია?

**სენსო-მოტორული სტადია** (დაბადებიდან 2 წლამდე), როცა ბავშვი გარემოსთან ურთიერთობას იწყებს თანდაყოლილი რეფლექსების მეშვეობით. შემდგომში ბავშვი უკვე შეძენილი გამოცდილებით, საკუთარი შეგრძნებებისა და მოტორული მოქმედებების საფუძველზე ცდილობს გარემოსთან ასიმილაციას და ასევე გარემოს მოთხოვნების მიხედვით ახდენს თავისი შეგრძნებების, აღქმის და მოტორული ქმედებების კოორდინირებასა და აკომოდაციას. ამ სტადიაზე ბავშვის მიერ გარემოს შემეცნებაში წამყვანია არა მეტყველება, არამედ მისი სენსორული და მოტორული გამოცდილება. მაგ., ბავშვისთვის ამ საფეხურზე ბურთი არის ის, რაც მრგვალია, მოძრავი, მოხტუნავე, რომელსაც შეიძლება ხელი ან ფეხი დაარტყა და შეუცვალო მდებარეობა. მას აქვს სპეციფიკური ფაქტურა, განსხვავებული სირბილე და სხვადასხვა ფერისაა. ბავშვი აქტიურად ითვისებს გარემოს და შეიმეცნებს ობიექტებს თავისი შეგრძნებების, მოძრაობებისა და აღქმის კოორდინირების საფუძველზე.

ყოველივე ეს კი მის მეხსიერებაში ინახება “სქემის” სახით. შემდგომში ბავშვს აღარ სჭირდება, ბურთს მოჰკიდოს ხელი იმისათვის, რომ გაიგოს მისი თვისებები. ერთი შეხედვითაც კი მან უკვე იცის, რომ ბურთი მრგვალია, გლუვი და დახტის. ეს მის მეხსიერებაში შენახული “სქემის” შედეგია, რომელშიც წარმოდგენილია ობიექტის თვისებები, მასთან დაკავშირებული მანიპულაციები.

### რა ასაკს მოიცავს და როგორია ოპერაციამდელი სტადია?

**ოპერაციამდელი სტადია** (2-დან 7 წლამდე). ამ სტადიაზე უკვე ყალიბდება

მეტყველება. ბავშვი თავის გარშემო სამყაროს მხოლოდ სენსორული და მოტორული მოქმედებებით კი არ შეიმეცნებს, არამედ სიტყვის საშუალებითაც. ამ ეტაპიდან ვითარდება სიმბოლური ფუნქცია: სიტყვა თავისთავად მოქმედება ან ობიექტი არ არის, ის მისი აღმნიშვნელია.

ეს სტადია მოიცავს ორ პერიოდს: პირველი პერიოდი გრძელდება 2-დან 4 წლამდე, როდესაც ბავშვს შეუძლია საგნების დაჯგუფება მათი რაიმე ნიშნით. ამავე დროს ეს მოქმედებები ჯერ კიდევ შეუქცევადია და ოპერაციისგან შორსაა. მაგ. ბავშვს შეუძლია სიდიდის და ფერის მიხედვით დააჯგუფოს ობიექტები, მაგრამ მხოლოდ ერთი ნიშნით – ან სიდიდის, ან ფერის მიხედვით. მაგალითისთვის, ამ ასაკის ბავშვის ლოგიკა ასეთია: „ძროხა არის დიდი ოთხფეხა ცხოველი, რომელსაც აქვს რქები. თუ ცხოველი დიდია, ოთხი ფეხი აქვს და რქები, ე. ი. ის ძროხაა.“

მეორე პერიოდი 4-დან 7 წლამდე გრძელდება და მისთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება. ბავშვისათვის ობიექტების დაჯგუფება შესაძლებელია უკვე რამდენიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით; სინამდვილის განზოგადებაც თვალსაჩინო ხატებს ეყრდნობა და გარეგან, საგნობრივ მოქმედებებზეა დამოკიდებული. ლოგიკის წესები აქ ჯერ კიდევ არ მოქმედებს.

მომდევნო სტადიისგან განსხვავებით, ამ ასაკის ბავშვის აზროვნებას ჯერ კიდევ არა აქვს „რაოდენობის შენახვის“ უნარი. მაგ., თუ ბავშვის თვალწინ წყალს განიერიდან უფრო ვიწრო ჭურჭელში გადავასხამთ, ის აუცილებლად იტყვის, რომ ვიწრო ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია, იმიტომ, რომ განიერთან შედარებით წყლის დონე იქ უფრო მაღალია. თუმცა ეს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა და მან იცის, რომ წყლის რაოდენობა არ შეცვლილა. ამ შემთხვევაში მის დასკვნას თვალსაჩინო ხატი განსაზღვრავს.

აღნიშნულ სტადიას იმიტომაც ჰქვია ოპერაციამდელი სტადია, რომ ბავშვის საგნობრივ მოქმედებებს, თუნდაც სააზროვნო მოქმედებებს პრობლემურ სიტუაციაში ჯერ კიდევ არა აქვს ნამდვილი ოპერაციის ხასიათი. ის შეუქცევადია და იზოლირებული.

### **რა ასაკს მოიცავს და როგორია კონკრეტული ოპერაციების სტადია?**

**კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-დან 11-12 წლამდე);** ამ სტადიაზე ბავშვი ნამდვილ ოპერაციებს იყენებს სიტუაციური ამოცანის გადანწყვეტისას. მის აზროვნებაში უკვე ფორმირებულია როგორც შენახვის, ასევე სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირების უნარები. მას ასევე შეუძლია რიცხვებით ოპერირება და საგანთა დალაგება ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით, ასევე მოვლენების განსხვავებული პრინციპით დაჯგუფება, თუმცა ამ ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია აბსტრაქტული ამოცანების გადაჭრა. ოპერაციები ამ ეტაპზე უფრო კონკრეტული ხასიათისაა და უფრო თვალსაჩინო-მოქმედებითი საფუძველი აქვს. ამ ეტაპზე ბავშვები ადვილად ართმევენ თავს ქვემოთ მოყვანილ ამოცანას.

პირობა: „ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ ცხრილს, ეცადეთ, ამოიცნოთ, რა პრინციპით არის განლაგებული მასში რიცხვები და ანბანის ასოები და

შეავსეთ ცარიელი უჯრები“ კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვებს, როგორც წესი, არ უჭირთ მოცემული (ანუ მათ თვალსწინ, თვალსაჩინოდ არსებული) ინფორმაციის გაანალიზება და კანონზომიერების ამოკითხვა. შესაბამისად, ამ სტადიაზე ბავშვების უმეტესობა უნდა მიხვდეს, რომ ცხრილის ქვედა რიგში მოცემული რომელი რიცხვები ასახავს ზედა რიგში მოცემულ ასოთა რიგითობას ანბანში, რაც შესაძლებლობას მისცემს მარტივად შეავსონ დარჩენილი ორი ცარიელი უჯრა.

### რა ასაკს მოიცავს და როგორია ფორმალური ოპერაციების სტადია?

**ფორმალური ოპერაციების სტადია** (11-12-დან 14-15 წლამდე), როცა ბავშვებს შეუძლიათ, გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები და მათი სააზროვნო პროცესები უკვე აღარ არის მიჯაჭვული თვალსაჩინო მასალაზე. მაგ. ასეთი ლოგიკური ამოცანის გადაჭრა: –,ნინოს უფრო ღია ფერის თმა აქვს, ვიდრე მარის, ნინოს უფრო მუქი ფერის თმა აქვს, ვიდრე ეკას. ამ სამი გოგონადან რომელს აქვს უფრო მუქი ფერის თმა?“– ამ ასაკის ბავშვისთვის უკვე აღარ წარმოადგენს სირთულეს. ბავშვისათვის ამ სტადიაზე უკვე დაძლევადია ფორმალური ლოგიკური ოპერაციები, რაც აღარ მოითხოვს თვალსაჩინო საყრდენს.

### რა როლს თამაშობს სოციალური ფაქტორები ბავშვის ინტელექტუალური განვითარებაზე?

ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე საუბრის დროს ჰიაჟე ხაზს უსვამს სოციალური ფაქტორების როლსაც. სოციალური გარემო ინდივიდზე ზეგავლენას ახდენს მისი განვითარების დონის შესაბამისად; აქედან გამომდინარე, ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. შესაბამისად, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესები განსხვავებული სირთულის შეიძლება აღმოჩნდეს.

### რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ასაკის შესაბამისი შემეცნებითი დონის დადგენას სწავლებისას?

ჰიაჟე მიიჩნევს, რომ აუცილებელია მოსწავლის ასაკის შესაბამისი (შემეცნებითი) სტრუქტურის დონის დადგენა, ანუ იმ შემეცნებითი პროცესების დონის განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება გარემოდან შემოსული ინფორმაციის ასიმილაციისა და საკუთარი გამოცდილების აკომოდაციისათვის; საჭიროა ნაბიჯნაბიჯ მის განვითარებაზე ზრუნვა.

## რა არის საჭირო იმისათვის, რომ მივალნიოთ ოპტიმალურ დასწავლას?

იმისათვის, რომ მივალნიოთ ოპტიმალურ დასწავლას, აუცილებელია, მიწოდებულმა ინფორმაციამ განიცადოს ასიმილაცია მოსწავლის კოგნიტურ სტრუქტურაში და, ამასთან, ის იმდენად უნდა განსხვავდებოდეს არსებული გამოცდილებისაგან, ინფორმაციისაგან, რომ გამოიწვიოს სისტემის რეორგანიზაცია.

თუ ინფორმაცია ვერ განიცდის ასიმილაციას, ის გაუგებარი იქნება; თუ ის მთლიანად გასაგებია, მაშინ არანაირი დასწავლა აღარ არის საჭირო. თუკი არსებული ცოდნა ასიმილაციისთვის საკმარისი არ არის, ჩაერთვება აკომოდაცია, ანუ ახალი ცოდნის ათვისების პროცესი. პიაჟე თვლის, რომ გადასამუშავებელი ინფორმაცია ზომიერად ბიძგის მიმცემი უნდა იყოს, რათა სტიმული მისცეს გონებრივ განვითარებას.

## რატომ ითვლება, რომ პიაჟე კონსტრუქტივისტი იყო?

ჟ. პიაჟე კონსტრუქტივისტი იყო. თვლიდა, რომ სუბიექტი აქტიურად შეიმეცნებს გარემოს – ცვლის მას (ასიმილაცია) და საკუთარ გამოცდილებას (აკომოდაცია), ანუ სუბიექტი პასიურად კი არ ითვისებს ცოდნას, არამედ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში აგებს მას.

კონსტრუქტივიზმი – შემეცნების თეორია, რომლის მიხედვით, ინდივიდი თვითონ ახდენს ცოდნის “კონსტრუირებას” გარემოსთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე, რის შედეგადაც მისი გამოცდილება იცვლება. ამ თეორიის მიხედვით, სწავლა აქტიური პროცესია, ბავშვი თვითონ იძიებს პრობლემას, მასწავლებელი კი მოსწავლის დამხმარეა. გამოყოფენ კოგნიტურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი პიაჟეა და სოციალურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი ვიგოტსკია. პირველი ყურადღებას აქცევს იმას, თუ შემეცნების რა მექანიზმით, რა პროცესებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება და გამოცდილებასთან დაკავშირება, მეორე კი აქცენტს აკეთებს სწავლის სოციალურ ხასიათსა და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაზე ცოდნის აგებისას.

## ჯონ დიუი (1859-1952) პროგრესული განათლება და სწავლა გამოცდილებით

ჯონ დიუი – ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების რეფორმატორი. დიუი ამერიკული პრაგმატიზმის წარმომადგენელი და ინსტრუმენტალიზმის ფუძემდებელია. ის არის ავტორი ცნობილი ნაშრომისა “დემოკრატია და განათლება” (1916). დიუი თვლიდა, რომ კარგი განათლება არის ის, რაც ეხმარება ადამიანს საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად ჩამოყალიბებაში. დიუის არ შეუქმნია სწავლების თეორია, მაგრამ მისმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების მიზნისა და პრინციპების თანამედროვე მიდგომებზე.



### რა არის პრაგმატიზმი?

მე-19 საუკუნის II ნახევრის ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ეფუძნება ჩ. პირსის ”პრაგმატულ მაქსიზმს”. მის მიხედვით, თეორია და იდეა ჭეშმარიტია, თუ ის პრაქტიკულია და შედეგიანი.

### რა არის ინსტრუმენტალიზმი?

ინსტრუმენტალიზმი, იგივე ექსპერიმენტალიზმი – ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის ძირითადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: მეცნიერული ცნებისა და თეორიის ღირებულება განისაზღვრება არა მათი ჭეშმარიტება-მცდარობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტური და სასარგებლოა სინამდვილის ახსნისა და წინასწარმეტყველებისათვის. ობიექტი და იდეა ღირებულია, თუ შესაძლებელია მათი მოქმედების ინსტრუმენტად გამოყენება.

### დიუს მიხედვით რას უნდა ეფუძნებოდეს განათლების პრინციპები?

დიუს მიხედვით, განათლების პრინციპები გამოცდილების თეორიას უნდა ეყრდნობოდეს. მისი გამოცდილების თეორიაში ორი ცენტრალური ცნებაა:

**1. უწყვეტობა**, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დაბადებიდან გამოცდილების მიღების საშუალებით სწავლობს, რაც გავლენას ახდენს მის შემდგომ

ქცევაზე. უწყვეტობა გულისხმობს წინა გამოცდილებით ადამიანის შემდგომი გამოცდილებისა და ცოდნის განპირობებულობას.

**2. ინტერაქცია** აღწერს და ხსნის იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს წარსული გამოცდილება აწმყო სიტუაციაზე ახალი გამოცდილების შესამუშავებლად. დიუის ჰიპოთეზის მიხედვით, ჩვენი აწმყო გამოცდილება წარსული, შენახული გამოცდილების ფუნქციაა, რომელიც ზემოქმედებს მიმდინარე სიტუაციაზე და ახალი გამოცდილების საფუძველი ხდება.

### სწავლების პროცესში რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა გამოცდილების ახალ მასალასთან დაკავშირებას?

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წარსული გამოცდილების ცოდნა და მისი დაკავშირება ახალ მასალასთან. ამ გზით მასწავლებელი აზრიანს და მოსწავლისათვის მნიშვნელოვანს ხდის ახალ ინფორმაციას და ამით ხელს უწყობს მის ეფექტურ დასწავლას.

### დიუის მიხედვით განვმარტოთ - ცოდნა სწავლა, სწავლება?

დიუის შეხედულებით:

**ცოდნა** - ობიექტის იმ კავშირების გაცნობიერებაა, რაც მისი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს კონკრეტულ სიტუაციაში.

**სწავლა** - აქტიური პროცესია, რაც აუცილებლად პრაქტიკულ მოქმედებებს მოიცავს, რადგან სუბიექტი სწავლობს თავისი მოქმედებების საშუალებით.

**სწავლება** - აქტიური პროცესია, რომლის დროსაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში.

### რაში მდგომარეობს განათლების მიზანი დიუის შეხედულების მიხედვით?

დიუის შეხედულების მიხედვით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ პიროვნების ცოდნისა და უნარების ინტეგრირება მისი მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით. დიუი თვლის, რომ სწავლება პრაქტიკული ელემენტის გარეშე არაეფექტურია, ამიტომ “სწავლა კეთებით” სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპი უნდა იყოს. დიუის მიხედვით, სწავლება ეფექტურია, თუ ძირითადი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას და არა მასალის, ფაქტების დამახსოვრებას.

## ჰოვარდ გარდნერი

### მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

ჰოვარდ გარდნერის მიხედვით (Howard Gardner, 1983) არსებობს 8 სახის განსხვავებული ინტელექტი; ყველა ადამიანი ფლობს რვა-ვე სახის ინტელექტს, თუმცა განსხვავებული ხარისხით; როგორც წესი, ადამიანს ერთი სახის დომინანტური (ყველაზე განვითარებული) ინტელექტი აქვს.



#### რა მოაზრება ინტელექტში?

ინტელექტი მოიაზრებოდა როგორც ადამიანის უნარი, გადაეჭრა ახალი ამოცანა ან შეექმნა პროდუქტი, რომელიც მოცემული კულტურისათვის ღირებული იქნებოდა. დღეისათვის ინტელექტის შესახებ წარმოდგენა შეიცვალა; ინტელექტი განიხილება არა როგორც უნარი, რომლის „გაზომვა“ შეიძლება, არამედ პოტენციალი, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს იმის მიხედვით თუ რა არის მოცემულ კულტურაში მიწნეული ღირებულად, რა შესაძლებლობები ეძლევა ადამიანს და როგორი გარემო აქვს. მეტიც, დღეისათვის საუბრობენ არა ერთი სახის ფიქსირებულ ინტელექტზე, რომელიც ადამიანს აქვს ან არა აქვს, არამედ მრავალმხრივ ინტელექტზე, რომელიც სხვადასხვა სფეროში ვლინდება.

#### რა სახისაა ინტელექტის ტიპები?

**ლინგვისტური ინტელექტი** აქვს კარგად განვითარებული სიტყვათა მარაგი, ადვილად იმახსოვრებს სახელებს, თარიღებს, ახალ სიტყვებს, მოსწონს წერა და კითხვა, ლიტერატურა, უყვარს სიტყვებით თამაში.

**ლოგიკური და მათემატიკური ინტელექტი** ადვილად ხედავს ტენდენციას, კარგად აქვს განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება, შეუძლია კატეგორიებსა და იდეებს შორის მიმართების დამყარება, ადვილად ანგარიშობს, ხმარობს კომპიუტერს, უყვარს თავსატეხების, ლოგიკური ამოცანების ამოხსნა.

**სივრცითი ინტელექტი** ადვილად იმახსოვრებს საგნების სივრცეში განლაგებას, შეუძლია ზუსტად აღიდგინოს გამოსახულება და მისი სივრცითი მდებარეობა, უყვარს ხატვა, დიზაინი, შენება, კარგად ერკვევა რუკებსა და დიაგრამებში.

**მუსიკალური ინტელექტი** ადვილად იმახსოვრებს მელოდიას, აქვს კარგად განვითარებული რიტმის შეგრძნება, ხშირად მღერის, მგრძნობიარეა ბგერებისა და ხმების მიმართ.

**კინესთეტიკური ინტელექტი** ადვილად სწავლობს სხეულის შეგრძნებებით, სიმულაციით, როლური თამაშებით, უჭირს დიდხანს ერთ ადგილზე გაუნძრევლად ჯდომა, ეხერხება სპორტული თამაშები, ცეკვა, წარმოდგენები, აქვს კარგი კოორდინაცია, ადვილად ურთიერთობს ადამიანებთან, ესმის და გამოხატავს დამოკიდებულებას უესტებით, მიმიკებით.

**ინტერპერსონალური ინტელექტი** კარგად ესმის ადამიანების, ადვილად სწავლობს სხვებთან ურთიერთობის პროცესში, ეხერხება ორგანიზება და ხელმძღვანელობა, კარგად ესმის სხვა ადამიანების ემოცია, შეუძლია მოსმენა; შეუძლია ადამიანებს შორის მედიაცია, უყვარს სოციალური თამაშები.

**ინტრაპერსონალური ინტელექტი** უყვარს მარტო მუშაობა, არის დამოუკიდებელი, აქვს ძლიერი ნებისყოფა, კარგად განვითარებული ინტუიცია, საკუთარ თავში დარწმუნებულია, კარგად იცის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.

**ნატურალისტური ინტელექტი** კარგად ერკვევა სამყაროში — ფლორასა და ფაუნაში, ეხერხება მოსავლის მოყვანა, კონსერვაცია.

### რით განსხვავდება ინტელექტის თეორია სხვა თეორიებისაგან?

**მრავალმხრივი ინტელექტის თეორია** ტრადიციული თეორიებისაგან განსხვავებით მრავალფეროვანია; ის ადამიანის შესაძლებლობების ფართო სპექტრს ასახავს, დანყებული ლინგვისტური უნარებიდან დამთავრებული ნატურალისტური ინტელექტით. ტრადიციული სწავლება ძირითადად ლინგვისტურ და ლოგიკურ უნარებს სცნობდა, და შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც მეტად ლოგიკურები და ზუსტები იყვნენ მეტად ინტელექტუალურად ითვლებოდნენ. სამაგიეროდ, თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა ბავშვების ინტელექტი მუსიკის, ხელოვნების, დიზაინის და ა.შ. განხრით.

### რა მნიშვნელობა აქვს ინტელექტის თეორიას განათლების სფეროში?

დღეისათვის განათლების სფეროში **მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას** დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ თეორიის მიხედვით, სწავლების პროცესში მასწავლებელი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ განსხვავებს; მან იმდაგვარად უნდა წარმართოს სწავლების პროცესი, რომ სამუშაოება მისცეს მოსწავლეს, ერთი მხრივ, წარმატებით გამოიყენოს დომინანტური ინტელექტის ტიპი და, მეორე მხრივ, განავითაროს „სუსტი“ ტიპის ინტელექტი.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, სწავლების სულ მცირე 8 განსხვავებულ სტილს გულისხმობს; სწავლების პროცესში ვერბალური ინფორმაციის, ციფრების, სურათებისა და მუსიკის გამოყენება, თვითრეფლექსია, ფიზიკური ვარჯიშების, ინტერპერსონალური ურთიერთობების და ნატურალისტური გამოცდილების გამოყენებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა რვავე სტილი გაკვეთილზე უნდა გამოიყენოს, არამედ შეარჩიოს სასწავლო მიზნებთან ყველაზე შესატყვისი რამოდენიმე მათგანი.

## საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო

### რას ემსახურება საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო?

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ემსახურება სასწავლო ამოცანების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკლასო საქმიანობაში მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას.

### საკლასო ოთახის სივრცის განაწილების რა მიდგომები არსებობს?

საკლასო ოთახის სივრცის განაწილების ორი მთავარი მიდგომა არსებობს. ერთი მიდგომა საკლასო ოთახს განიხილავს, როგორც ადგილს, სადაც მოსწავლე, კლასის მონყობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად, ინდივიდუალურ სამუშაოს ასრულებს, ხოლო მეორე მიდგომა საკლასო ოთახს ანაწევრებს სხვადასხვა სასწავლო დანიშნულების ზონებად.

### როგორია ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებულ საკლასო ოთახი?

ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებულ, დაუნაწევრებელ საკლასო ოთახში მოსწავლეს აქვს საკუთარი ადგილი და მას შეუძლია დავალების დიდი წილი განახორციელოს ადგილიდან გაუსვლელად. ასეთ „ტრადიციულ“ დაგეგმვას იყენებენ მაშინაც, როდესაც მასწავლებელი საერთო საკლასო სწავლებას მიმართავს.

(აქ ნახატი კარგი იქნება)

### რა ზონებს გამოყოფენ საკლასო ოთახის დანაწევრებისას?

შემოსასვლელი ზონა, საგამოფენო ზონა, ბიბლიოთეკის ზონა, სათავსო ზონა, ტექნოლოგიური ზონა, სამუშაო ზონა,

დანაწევრებული საკლასო ოთახის ნახატი კარგი იქნება

### რას ემსახურება შემოსასვლელი ზონა?

შემოსასვლელი ზონა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გადაერთოს ერთი გარემოდან მეორეზე. ასეთი გარდაქმნის, სპეციფიკური გარემოსთვის შემზადების კარგი მაგალითია ფიზიკური კულტურის დარბაზი, კერძოდ, გასახდელი, სადაც მოსწავლეები იცვლიან ტანსაცმელს და ვარჯიშისათვის ემზადებიან.

### რას ემსახურება საგამოფენო ზონა?

საგამოფენო ზონა ემსახურება სასწავლო მასალის ვიზუალურ განმტკიცებას. თუმცა სივრცის გამოყენებას მასწავლებელი ყურადღებით უნდა მოეკიდოს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს თითოეული მასალის დანიშნულება, შეარჩიოს მისი საგამოფენო ზონაში ადგილი, გამოფენის დრო და ხანგრძლივობა. დიდხანს გამოფენილი მასალა კარგავს აქტუალობას და მოსწავლისთვის უინტერესო ხდება.

### რას ემსახურება ბიბლიოთეკის ზონა?

ბიბლიოთეკის ზონა არის ადგილი, სადაც განთავსებულია სახელმძღვანელოები, წიგნები, ჟურნალები, ვიზუალური, აუდიო თუ ვიდეო მასალა. ბიბლიოთეკის ზონა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად შეძლოს სასურველი მასალის მოძიება საკლასო ოთახიდან გაუსვლელად.

### რას ემსახურება სათავსო ზონა?

სათავსო ზონაში მასწავლებელი ინახავს სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალას მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სათავსო ზონის დალაგებაში, ეს მათ გამოუმუშავებს პასუხისმგებლობასა და კლასში შენარჩუნდება წესრიგი.

### რას ემსახურება სამუშაო ზონა?

სამუშაო ზონა გათვალისწინებულია ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფში მუშაობისათვის. ეს წერის, ხატვისა და რაიმეს აწყობისთვის საჭირო მყუდრო და მოხერხებული ადგილია. სამუშაო ზონა იქმნება საკლასო ოთახის ავეჯის (მერხები, სკამები), საგამოფენო და სათავსო ზონების ელემენტებისაგან.

### რას ემსახურება ტექნოლოგიური ზონა?

ტექნოლოგიური ზონა საინტერესოა მოსწავლისთვის. მოსწავლე ფიქრობს, რომ სკოლა საკმარისად თანამედროვე და ტექნოლოგიებით მდიდარი ადგილია. ტექნოლოგიურ ზონაში შეიძლება მოხვდეს ყველაფერი - კალკულატორი, ვიდეოგამაძიებელი, კომპიუტერი, პროექტორი და სხვა. მასწავლებლებს ხშირად ეშინიათ, რაიმე არ დაუზიანდეს მონაცემილობას, ან, უბრალოდ, არ იციან მისი მოხმარება. კარგია, თუ მოსწავლეებს ვთხოვთ, მასწავლებლის დამხმარეს ფუნქცია შეასრულონ.

## რა ეხმარება კლასის ფიზიკური გარემოს ეფექტურ გამოყენებაში მასწავლებელს?

კლასის ფიზიკური გარემოს ეფექტურ გამოყენებაში მასწავლებელს ეხმარება ჯგუფების მართვის სხვადასხვა ტექნიკა და სწავლების ინტერაქტიული ტექნოლოგიების ფლობა.

## როგორ განისაზღვრება კლასში მასწავლებლის ადგილი?

კლასში მასწავლებლის ადგილი განისაზღვრება ფიზიკური გარემოს თავისებურებითა და მის მიერ მოსწავლეებთან ურთიერთობის შერჩეული სტილით. საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობით, კონკრეტული საკლასო საქმიანობიდან გამომდინარე, მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, კლასში დაიკავოს მისთვის მოსახერხებელი ადგილი.

## რა არის პირადი ველი?

პირადი ველი არის ის მანძილი ჩვენსა და სხვა ადამიანს შორის, რომელიც ჩვენთვის კომფორტული და უსაფრთხოების მომგვრელია. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პირადი ველის ზომით. დიდი პირადი ველის მქონე ადამიანებისათვის საჭიროა, რომ სხვები მისგან ერთ მეტრზე მეტი მანძილით იყვნენ დაშორებულნი.

## რას იწვევს პირადი ველის დარღვევა?

სხვა ადამიანის ზედმეტი სიახლოვე პირადი ველის დარღვევაა. პირადი ველის დარღვევამ შეიძლება ემოციური დაძაბულობა გამოიწვიოს და მოსწავლეს დავალების შესრულებაში ხელი შეუშალოს. მოსწავლის პირადი ველის დარღვევა შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელია, შეფასდეს მისი მზაობა, აძლევს თუ არა მოსწავლე მეორე ადამიანს მის პირად ველში შესვლის საშუალებას.

## რამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო ზონების ეფექტურ გამოყენებას?

პირადი ურთიერთობის ფაქტორი და კლასში სოციალური პოზიციები გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდისთვის მნიშვნელოვანია. ამ დროს აშკარად იკვეთება მოსწავლეებს ვისთან სურთ სიახლოვე და ვისთან არა. ეს ფაქტორი მასწავლებელმა კარგად უნდა გაიაზროს და აკონტროლოს. თუ მოსწავლეებს საშუალებას მისცემთ, დამოუკიდებლად აირჩიონ კლასში საკუთარი სამუშაო ადგილი, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს არ მოუნდეთ სამუშაო ადგილის

ცვლილება, რადგან მას აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია „ეს ჩემი ადგილია“.

**რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მოსწავლეობა ორგანიზების ფორმების შერჩევისა და დაგეგმვის დროს?**

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები შეიძლება მგრძობიარე აღმოჩნდნენ კლასში ადგილის შეცვლის მიმართ. მოსალოდნელია, რომ ეს ბავშვები არ დათანხმდნენ საკლასო ოთახში სამუშაო ადგილის ცვლილებას, ამიტომაც მათი საჭიროების წინასწარი გათვალისწინება ხელს შეგინცობთ, საკლასო აქტივობები ისე დაგეგმოთ, რომ ასეთი სახის დაბრკოლებები არ წარმოიქმნას.

## კლასის მართვის სტილი

კლასის მართვა- ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვას და მოსწავლეთა არასასურველი ქცევის თავიდან აცილებას. კლასის ეფექტიანი მართვა, პირველ რიგში, გულისხმობს მიზანმიმართული სწავლებისა და სწავლისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მასწავლებელსა და კლასის მართვის სტილს.

### როგორია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი?

დემოკრატიული მართვა ეფუძნება მოსწავლე-მასწავლებლის თანაბარუფლებიანობას. მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის აზრს, თვითგამოხატვის შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თითოეულ შეცდომას მოსდევს არა სასჯელი, არამედ დახმარება, როგორც მასწავლებლის, ასევე სხვა მოსწავლეების მხრიდან. კლასის მართვის დემოკრატიული სტილი ასევე გულისხმობს გარკვეულ წესებს, საგაკვეთილო ჩარჩოებს, ვალდებულებებს, რომელთა შემუშავებაში მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ და თითოეულ მათგანს თანაბრად მოეთხოვება მათი დაცვა.

### როგორია კლასის ავტორიტარული მართვის სტილი?

ავტორიტარული მართვისას „თამაშის“ წესებს ყოველთვის მასწავლებელი განსაზღვრავს. გაკვეთილი მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ყველა სასწავლო კომპონენტს ის განსაზღვრავს. მისი ძირითადი ფუნქცია ცოდნის გადაცემაა. დიდია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი, მოსწავლე ვალდებულია დაემორჩილოს მასწავლებელს.

### როგორია კლასის ქაოსური მართვის სტილი?

ქაოსური მართვისას არ არის გამოკვეთილი საგაკვეთილო წესები და ჩარჩოები. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი სუსტია, მას მოსწავლეებთან კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს. შესაბამისად, მოსწავლეები არ არიან შეზღუდულნი სასწავლო პროცესის დროს, თუმცა ასეთ პირობებში რთულია კონკრეტული მიზნის დასახვა და თანმიმდევრული შესრულება.

## რა არის საჭირო ეფექტური საგაკვეთილო გარემოს შესაქმნელად?

ეფექტური საგაკვეთილო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლის მიერ დაგეგმილი გაკვეთილი, ასევე როგორ აღიქვამს მოსწავლე გაკვეთილს. ავტორიტარული მართვის სტილისაგან განსხვავებით, კლასის მართვის დემოკრატიული სტილის შემთხვევაში, მასწავლებელიც და მოსწავლესაც ერთნაირად კმაყოფილები არიან. კარგად დაგეგმილი გაკვეთილი გულისხმობს, რომ მასწავლებლის მოთხოვნები შეესაბამება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, არ არის ზედმეტად რთული ან პირიქით, მარტივი. მაგ. მასწავლებელი დამატებით ამოცანას აძლევს იმ მოსწავლეს, რომელმაც ადრე დაამთავრა დავალება, ხოლო მეტ დროს აძლევს იმ მოსწავლეს, ვინც ნელა მუშაობს. თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული შედეგის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს მის პროგრესს. მოსწავლემ კარგად გააცნობიეროს როგორც საკუთარი, ასევე სხვების მიღწევები. ასეთი მიდგომა ადასტურებს, რომ მასწავლებელი პასუხისმგებლობას გრძნობს თითოეული მოსწავლის მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის მნიშვნელოვანია, თითოეული მოსწავლე კმაყოფილი იყოს გაკვეთილით.

## რა არის საჭირო ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისთვის, შემოქმედებითი და აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისთვის?

მოსწავლის წარმატებისთვის კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი გარემო აუცილებელი პირობაა. მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლის დადებითი განწყობა მოსწავლეების მიმართ, ასევე მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობები. მასწავლებელს შეუძლია ნაახალისოს მოსწავლეების მხრიდან ურთიერთდახმარების მცდელობა და აღნიშნოს: „, ყოჩაღ, გიორგი, რომ ლევანს ამოცანის ამოხსნის გზის პოვნაში დაეხმარე!“

## რა არის საჭირო გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვისთვის?

გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვისა და არასასურველი ქცევების თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კონცენტრირებული იყოს ჯგუფზე, როგორც მთლიანზე, მაშინაც კი, როცა მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს. ამისათვის, შესაძლებელია, მთელ ჯგუფს მიეცეს ინსტრუქცია, რომ იცოდნენ, რა აკეთონ მანამ, სანამ პედაგოგი რომელიმე მოსწავლესთან იმუშავებს.

## გაკვეთილის დროის მართვა და გაკვეთილის ეტაპები

### რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს გაკვეთილზე დროის კარგვას?

გაკვეთილზე დროის დაკარგვას ორი უაღრესად სერიოზული შედეგი მოჰყვება:

1. გაცილებით მეტია დისციპლინის პრობლემები, ვიდრე სწორად განაწილებული დროის შემთხვევაში;
2. იკლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

**ფსიქოლოგები თვლიან, რომ მოსწავლეებს სიამოვნებთ კლასში იმ არასამუშაო განწყობის გადმოიტანა, რომელიც შესვენებაზე იქმნება. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, ეს რომ აიცილოს თავიდან?**

მასწავლებელმა უნდა მოახერხოს საკლასო სამუშაო გარემოს შექმნა. უცილებელია, შევიმუშავოთ ქცევის წესები თუ მოთხოვნები, რომლებიც ყველა გაკვეთილის დასაწყისში მეორდება და ნაცნობია მოსწავლეებისთვის. ქცევის წესები და მოთხოვნები მათ ეხმარება განეწყონ ახალი გაკვეთილისთვის. ამ წესების მოსწავლეებთან ერთად შემუშავება შედეგიანია. ამ წესებს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს, მაგრამ აუცილებელია, შეესაბამებოდეს სკოლის შინაგანაწესს.

**როგორ გარდავექმნათ შესვენებისთვის დამახასიათებელი განწყობა სამუშაო განწყობად? რა რჩევები უნდა გაითვალისწინო მასწავლებელმა, რათა მისმა მოსწავლეებმა არ გადმოიტანონ კლასში ის არასამუშაო განწყობა, რომელიც შესვენებაზე იქმნება. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი ეს, რომ აიცილოს თავიდან?**

სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე რჩევა:

- შესვენებას და გაკვეთილს ერთმანეთისგან სწორედ სამუშაო ატმოსფერო განასხვავებს. ეს ატმოსფერო უნდა იქმნებოდეს მოსწავლის საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე.
- ზარის დარეკვამდე შევიდეს კლასში, მოამზადოს დაფა, თვალსაჩინოება, შეამოწმოს პროექტორი და ყველა საჭირო რესურსი. მასწავლებლის მიზანია, ზარის დარეკვისთანავე შექმნას სამუშაო განწყობა საკლასო ოთახში.

- შეეგებოს და მიესაღმოს მოსწავლეებს საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე, დაურიგოს დავალების რვეულები ან სხვა მასალა, რაც გაკვეთილისთვის სჭირდებათ;
- ბევრი პრობლემის თავიდან აცილება შეიძლება, თუ მოითხოვთ, რომ მოსწავლეებმა საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე მიაშურონ მერხებს. ამით ხელს შეუშლით შესვენებაზე დაწყებული პრობლემების კლასში განხილვას.
- ერთ-ერთი ხერხი, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებაში, არის თქვენი მოთხოვნების წინასწარ დაფაზე ჩამოწერა.

### რა შემთხვევაშია ეფექტური ერთი სასწავლო აქტივობიდან მეორეზე გადასვლის პროცესი?

აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პროცესი ეფექტურად წარიმართება, როცა შემდეგი აქტივობის ინსტრუქცია მარტივია, ნაკლებ დროს მოითხოვს და ლოგიკურად ებმის წინა აქტივობას.

**ინტერაქტივი თავისთავად გულისხმობს საკლასო ოთახში მოსწავლეთა მოძრაობას, შესაძლებელია, სკამების გადაადგილებაც გახდეს საჭირო. თუ რეალურად ამ საქმიანობას 1-2 წუთი სჭირდება, მოსწავლეებმა შეიძლება გაცილებით მეტი დრო მოანდომონ. როგორ შეიძლება ამ პრობლემის თავიდან აცილება?**

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მრავალი მიდგომა არსებობს, გთავაზობთ ერთ მათგანს:

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს ნათელი ინსტრუქცია, განუსაზღვროს ყველა პროცედურის შესასრულებლად საჭირო დრო;

1. მასწავლებელი უნდა იდგეს და აკონტროლებდეს, რას აკეთებენ მოსწავლეები. მასწავლებლის აქტიური ყურადღება ყველაზე ეფექტური საშუალებაა დროის უსარგებლოდ ხარჯვის წინააღმდეგ;
2. არ არის სასურველი, მასწავლებელმა პასუხი გასცეს მოსწავლეთა შეკითხვებს (მაგ. წინა ან ახალ დავალებებთან დაკავშირებით), რადგან გარდამავალი ეტაპი, მართვის თვალსაზრისით, ერთ - ერთი ყველაზე რთული მომენტი და ამ დროს ყურადღება წარმოქმნილი სირთულეების სწრაფად მოგვარებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული. შეკითხვებზე პასუხი, უმჯობესია, იმ მომენტისთვის გადავლოთ, როცა მოსწავლეები მზად არიან მოსასმენად.

## რა არის გაკვეთილის ბოლო წუთებში მასწავლებლის ძირითადი მიზანი?

გაკვეთილის ბოლო წუთებში მასწავლებლის ძირითადი მიზანია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს განხილული თემა, შეამოწმოს, მიღწეულია თუ არა გაკვეთილის მიზანი. თუ გაკვეთილის რომელიმე ეტაპზე ჩვენ არასწორად გავთვალეთ დრო, ეს აუცილებლად ბოლო წუთებში გამოიყვანება. მასწავლებელი უნდა დაემშვიდობოს მოსწავლეებს. უმჯობესია, ამ დროს კართან იდგეს, რომ თავიდან აირიდოს უნესრიგობა, ინდივიდუალური კომენტარებითა და საუბრით დაშორდეს მოსწავლეებს, რაც მათთვის ყურადღების და სიტბოს გამოსატყულება იქნება.

## საკლასო ორგანიზაციის მოდელები

საკლასო ინტერაქციის ყველაზე მიღებულ მოდელად დღემდე რჩება „ინიცირება-პასუხი-რეაქცია“. ამ მოდელში მასწავლებელი არის ინტერაქციის ინიციატორი, იგი იწყებს საუბარს (მაგ. სვამს შეკითხვას), ერთ-ერთი მოსწავლე პასუხობს და ამ პასუხს მოსდევს მასწავლებლის გამოხმაურება (შეფასება, შესწორება, შენიშვნა ან დამატებითი ინფორმაცია).

### მოსწავლეთა დაჯგუფების რა ვარიანტებს განიხილავენ?

ძირითადად განიხილავენ მოსწავლეთა დაჯგუფების შემდეგ ვარიანტებს:

- ა) მთელ კლასთან მუშაობა;
- ბ) ინდივიდუალური მუშაობა;
- გ) ჯგუფური მუშაობა.

### რას გულისხმობს მთელ კლასთან მუშაობა?

მთელ კლასთან მუშაობის დროს მასწავლებელი ერთდროულად ყველა მოსწავლეს ერთსა და იმავე დავალებას აძლევს. მთელ კლასთან მუშაობის მაგალითია, როდესაც მასწავლებელი კითხვების საშუალებით ამოწმებს მათ ცოდნას. მართალია, ამ დროს თითოეულ დასმულ შეკითხვას ერთი მოსწავლე პასუხობს, მაგრამ მის პასუხს მთელი კლასი ისმენს. (საკლასო ინტერაქცია გულისხმობს ურთიერთობებს გაკვეთილის პროცესში. გამოყოფენ ინტერაქციის ორ ფორმას: მასწავლებელი-მოსწავლე და მოსწავლე-მოსწავლე. ეს უკანასკნელი საკმაოდ იშვიათია ტრადიციული მეთოდებით სწავლებისას)

### რა არის მთელ კლასთან მუშაობის დადებითი მხარეები?

ა) მასწავლებელს აქვს საშუალება, ერთიანად მიმართოს მთელ კლასს და მოკლედ დროში მიანოდოს ინფორმაცია.

ბ) ეს ფორმა შეუცვლელია, როცა მასწავლებელი:

- ხსნის ახალ მასალას;
- აძლევს მითითებებს;
- საუბრობს საორგანიზაციო საკითხებზე;
- აჩვენებს სურათს, თვალსაჩინოებას;
- ასმენინებს მოსწავლეს აუდიოჩანაწერს;

- უკითხავს კლასს მოთხოვრებას;
- მოსწავლე ან თავად მასწავლებელი მუშაობს დაფასთან.

გ) ამ დროს ყალიბდება კლასის ერთიანობის შეგრძნება. მოსწავლეებს უჩნდებათ განცდა, რომ ისინი ერთი დიდი გუნდის წევრები არიან და ერთნაირად არიან ჩაბმული სასწავლო პროცესში. მათ აქვთ საერთო ინტერესები და პრობლემები, მათ მიმართ თანაბრად მომთხოვნები არიან. მასწავლებელი ამ დროს, უკეთ შეიგრძნობს კლასის განწყობას, მის დამოკიდებულებას საგნის, კონკრეტული მასალის და სიტუაციის მიმართ.

### რას გულისხმობს დამოუკიდებელი სამუშაო?

დამოუკიდებელი სამუშაოს დროს მოსწავლე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მარტო, მასწავლებლის მეთვალყურეობის ან სხვა მოსწავლეებთან თანამშრომლობის გარეშე მუშაობს.

დამოუკიდებელი სამუშაოს მაგალითებია, როცა მოსწავლე კლასში ან შინ დამოუკიდებლად:

- ასრულებს რაიმე სავარჯიშოს;
- წერს თხზულებას;
- ხსნის მაგალითს;
- კითხულობს ტექსტს;
- მუშაობს პროექტზე;

### დამოუკიდებელი სამუშაოს მრავალფეროვან ფორმებში რამდენად განსხვავებულია მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი?

დამოუკიდებელი სამუშაოს სხვადასხვა ფორმებში მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი განსხვავებულია. კლასში მაგალითის ან ამოცანის ამოხსნისას მასწავლებლის კონტროლი მაღალია, რადგან იგი არამარტო ადგენს დავალების შინაარსს, არამედ განსაზღვრავს საჭირო დროის ხანგრძლივობას, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს და შეამოწმოს პასუხის სისწორე. მასწავლებლის კონტროლი მინიმალურია, როცა მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებელ პროექტზე. თუ პროექტი შინაარსობრივად დაკავშირებულია შესასწავლ თემასთან, მოსწავლეს მაინც აქვს საშუალება, თავად განსაზღვროს შინაარსის დეტალები, პრეზენტაციის ფორმა და დაგეგმოს თავისი მუშაობის გრაფიკი.

### ჩამოთვალეთ დამოუკიდებელი სამუშაოს ფორმის უპირატესობები?

- ნაკლებ სტრესს იწვევს მოსწავლეში, ვიდრე კლასში მოსწავლეთა ორგანიზების ნებისმიერი სხვა ფორმა. დამოუკიდებელი მუშაობის დროს მოსწავლე დაცულია სხვათა კრიტიკისა და შეფასებისაგან;
- მასწავლებელს მეტი საშუალება აქვს, შეამჩნიოს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი სწავლის სტილი, სუსტი თუ ძლიერი მხარეები;
- მოსწავლეებს უნვითარდებათ გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ბევრი მასწავლებელი დამოუკიდებელ სამუშაოს იყენებს კლასში სიმშვიდისა და წესრიგის აღსადგენად, რაც ხშირად ძალიან სასარგებლო სტრატეგია შეიძლება აღმოჩნდეს.

### რას უწყობს ხელს ჯგუფური მუშაობა?

კვლევები ადასტურებს, ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს:

- დასწავლის ჩვევების, მოსწავლის ცნებითი და აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესს;
- მოტივაციის ზრდასა და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას (კომუნიკაციის და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას).

### მოიყვანეთ არგუმენტები, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ჯგუფური მუშაობა დადებითად აისახება ზოგადად მოსწავლისა და საზოგადოების ურთიერთობაზე?

ბავშვს მიმატებისა და გამოკლების წესების სწავლების მსგავსად ვერ ვასწავლით პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. მისი, როგორც საზოგადოების წევრისთვის უალრესად მნიშვნელოვანია მოსმენისა და ალტერნატიული აზრის მიღების უნარი. საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობასა და ადამიანებთან კრიტიკულ, მაგრამ ამასთანავე, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ბავშვები სახელმძღვანელოდან კი არა, ერთმანეთისა და უფროსების მაგალითით სწავლობენ.

თანამედროვე განათლების მიზანი მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაა. კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ია-

ზროვნონ, ილაპარაკონ და ჰყავდეთ მსმენელი. ამისათვის მხოლოდ მასწავლებელთან საუბარი, მით უფრო, მხოლოდ მასწავლებლის საუბრის მოსმენა არ არის საკმარისი. მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება ყალიბდება მხოლოდ ისეთ სასწავლო გარემოში, სადაც ხშირია ინტენსიური სტრუქტურირებული ურთიერთობა მოსწავლეებს შორის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა.

### მოიყვანეთ ჯგუფური მუშაობის სარგებლიანობის ორი მაგალითი?

**ერთი** - ბავშვის კონცეპტუალური განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების იმავე დონეზე მყოფი, მაგრამ სანიანალმდეგო პოზიციის მქონე მოსწავლესთან კამათს. ამ „შემეცნებით კონფლიქტს“ მივეყვართ კონცეპტუალურ განვითარებამდე, სწავლამდე, რაც ჩვენი საბოლოო მიზანია.

**მეორე** - ერთად მუშაობისას ბავშვები წყვეტენ პრობლემებს, ან გაიაზრებენ ცნებებს, რომლებსაც დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი ვერ გაართმევდა თავს. ჯგუფში ერთი ნევრის აზრი ბიძგს აძლევს მეორის იდეებს, ისინი ერთად მიდიან პრობლემის ახლებურ გაგებამდე, სწავლობენ ერთად და შემდეგ შეუძლიათ, ეს ცოდნა გამოიყენონ დამოუკიდებლად მუშაობისას.

### ჩამოთვალეთ ჯგუფური მუშაობის უპირატესობა კლასში მოსწავლეთა ორგანიზების სხვა ტიპებთან?

- **იზრდება თითოეული მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე** - ისინი აქტიურები არიან და სხვისი პასუხების მოსმენით არ კმაყოფილდებიან. ამასთან, მოსწავლეს მეტი საშუალება აქვს, თავად განსაზღვროს თავისი მონაწილეობის ფორმა;
- **მცირე ჯგუფში მუშაობა ნაკლებ ფსიქოლოგიურ საფრთხეს მოიცავს მოსწავლისათვის**, ვიდრე მთელი კლასის წინაშე პასუხის გაცემა ან საკუთარი აზრის გამოხატვა;
- **მცირდება მასწავლებლის მაკონტროლებელი როლი** - შესაბამისად, მოსწავლეს ენიჭება არჩევანის მეტი თავისუფლება, რაც ავითარებს დამოუკიდებელი სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს;
- **მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დაეხმაროს იმ მოსწავლეებს, რომლებიც მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას** მაშინ, როცა სხვებიც აქტიურად არიან ჩაბმული ამოცანის გადანწყვეტაში.

### ჩამოაყალიბე კლასის ორგანიზების 3 ძირითადი პოსტულატი?

1. არსებობს კლასის ორგანიზების სამი ძირითადი მოდელი: საერთო საკლასო, დამოუკიდებელი და ჯგუფური.
2. კლასის ორგანიზების თითოეულ მოდელს აქვს თავისი უპირატესობა. ამიტომ **ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სასურველია, დავიცვათ მათ შორის გარკვეული ბალანსი.**
3. მასწავლებელი, ჩვეულებრივ, მთლიანად აკონტროლებს პროცესს მთელ კლასთან მუშაობის დროს, მისი კონტროლის დონე კლებულობს დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობისას. შესაბამისად, **მატულობს თავად მოსწავლეთა ინიციატივა და დამოუკიდებლობის ხარისხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კრიტიკულად მოაზროვნე და დამოუკიდებლად სწავლის უნარის მქონე ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.**

## ჯგუფური მუშაობა

**ჯგუფური მუშაობას, მისი ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად, დამწყები მასწავლებლები პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად იყენებენ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

ამის მიზეზი შესაძლოა იყოს შემდეგი:

- ა) მათ არ იციან მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფის მეთოდები/სტრატეგიები;
- ბ) ჯგუფური მუშაობის პირველივე მცდელობისას აწყდებიან მოსწავლეთა არასასურველ რეაქციას;
- გ) არ იციან, რა ტიპის დავალებების შესრულებისთვისაა უმჯობესი ჯგუფური მუშაობის გამოყენება;
- დ) თვლიან, რომ ვერ შეძლებენ რამდენიმე ჯგუფის ერთდროულად მართვას.

### რაზე დამოკიდებულია ჯგუფის ზომა?

ჯგუფის ზომა ძირითადად დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანსა და მოსწავლეთა ასაკსზე. ასევე, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რამდენად ნაცნობია მათთვის მუშაობის ეს ფორმა. მოსწავლეები შეიძლება დაჯგუფდნენ წყვილებად, ტრიალებად, მცირე (4-5 კაციანი) და დიდ (6 და მეტ კაციანი) ჯგუფებად.

### რა დროს არის მოსახერხებელი წყვილებში მუშაობა?

წყვილებში მუშაობა ყველაზე მოსახერხებელია დაბალ კლასებში, ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობენ, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება. მასწავლებლისთვისაც შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. ამასთან, მოსწავლეები წყვილებში ზოგჯერ იოლად ართმევენ თავს ისეთ რთულ დავალებებს, რომელთა შესრულებაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ. ისეთი დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, ან პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზების ძიებასთან, სწორედ წყვილებში უნდა წარიმართოს. ასევე, წყვილებში მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უფრო ძლიერმა მოსწავლემ დახმარება აღმოუჩინოს მასზე სუსტს. თუმცა წყვილებში მუშაობისას მასწავლებლის ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ერთი მოსწავლე არ დომინირებდეს მეორეზე

### რა შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები ტრიადებში მოსწავლეთა მუშაობას, რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს მას?

**ტრიადები** (ანუ 3 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები) განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როცა ერთი ბავშვი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმძღვანელობით, მათი სახელით. მაგალითად, მუშაობს კომპიუტერზე, ატარებს ცდას, ინერს მათ მიერ შეთხზულ ამბავს და ა.შ. ასევე, სასურველია, ტრიადების გამოყენება იმ ეტაპზე, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ უჭირთ დისკუსიისას ერთმანეთთან შეთანხმება. ამ დროს მესამე მოსწავლის აზრი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუმცა ჩნდება იმის საფრთხეც, რომ უმრავლესობა ყოველთვის გადაძლევს ერთის თუნდაც ლოგიკურ და სწორ მოსაზრებას.

### რა შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები მცირე ჯგუფებში მოსწავლეთა მუშაობას, რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს მას?

**მცირე ჯგუფები** (4-5 მოსწავლისგან შემდგარი) ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა თითქმის ყველა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად. ამ ტიპის ჯგუფში იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება. განიხილება რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი ან მოსაზრება. ამიტომაც საჭირო ხდება ყველა ვერსიის მოსმენა, გაანალიზება და შეჯერება. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია მისი მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზება, როლების განაწილება.

### რა შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები დიდ ჯგუფებში მოსწავლეთა მუშაობას, რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს მას?

დიდი ჯგუფები (6-10 მოსწავლე) საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან ბევრ პრობლემას ქმნის. ასეთ დიდ ჯგუფში მოსწავლე შეიძლება იყოს პასიური, თუ ამის სურვილი აქვს. მორცხვ ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ დიდი აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა და დუმილი ამჯობინონ. ამდენად, ამგვარი დაჯგუფება შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ამას დავალბებ მოითხოვს. უმჯობესია, კლასში გამოიყოს ბევრი მცირე, ვიდრე 2-3 დიდი ჯგუფი.

### რა მოხდება თუ ჯგუფების შექმნას თავად ბავშვებს მივანდობთ?

**მეგობრობა** გახდება განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ ჯგუფების შექმნას თავად ბავშვებს მივანდობთ. ამ ვარიანტის დადებითი მხარეა ის, რომ ბავშვები მეტი სიამოვნებით იმუშავენ თავიანთ მიერვე შერჩეულ პარტნიორებთან; თანაც იგრძნობენ, რომ საკუთარ ხელში იღებენ ინიციატივას და პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, **საფრთხეა** ის, რომ ამგვარმა დაჯგუფებამ შეიძლება არეულობა და ქაოსი გამოიწვიოს კლასში, სანამ ბავშვები პარტნიორებს ეძე-

ბენ; შეიძლება ემოციური საფრთხე შეექმნათ ნაკლებ პოპულარულ ბავშვებს, ვისთანაც ცოტა თუ მოინდომებს ჯგუფის შექმნას. მეგობრების საერთო ინტერესები მეტ საფრთხეს ქმნის, რომ მოსწავლეები გადაერთონ დავალების შესრულებიდან სხვა საკითხების განხილვაზე.

### **რა მოხდება თუ ჯგუფების შექმნას ცოდნის დონის მიხედვით მოვახდენთ?**

ცოდნის დონე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ჯგუფების შექმნისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. ზოგჯერ სასურველია შერეული დონის ჯგუფების შექმნა, რადგან უფრო ძლიერი მოსწავლეები ეხმარებიან შედარებით სუსტებს და ამ პროცესში თავადაც უკეთ გაიაზრებენ დასმულ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში ექსპერტები გვირჩევენ, **დავაჯგუფოთ ძლიერი მოსწავლეები საშუალო დონის ბავშვებთან და საშუალო მოსწავლეები - სუსტებთან**. ასე თავიდან ავიცილებთ მოსწავლეთა შორის მკვეთრ განსხვავებებს, რაც შეიძლება ბავშვების გაღიზიანების და დაძაბულობის მიზეზი გახდეს.

თუ ჩვენ გვაქვს საშუალება, განსხვავებული დავალებები შევთავაზოთ ცალკეულ ჯგუფებს, მაშინ მიზანშეწონილია, ერთი და იმავე დონის მოსწავლეები დავაჯგუფოთ და მივცეთ შესაბამისი სირთულის დავალება. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მეტი დრო დაუთმოს უფრო სუსტ ჯგუფებს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. თუმცა მუდმივად სუსტ და ძლიერ ჯგუფებად დაყოფა არ არის სასურველი, რადგან იკარგება ჯგუფური მუშაობის მთავარი უპირატესობა – ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს სხვადასხვა დონის და ტიპის ადამიანებთან თანამშრომლობის უნარი.

### **რა შემთხვევაში შეიძლება მოსწავლეთა აქტიურობის ხარისხი გამოვიყენოთ მოსწავლეთა დაჯგუფების კრიტერიუმად?**

მოსწავლეთა აქტიურობის ხარისხი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა დაჯგუფების კრიტერიუმად, როცა უკვე ვიცით, რომელი მათგანია განსაკუთრებით აქტიური ჯგუფურ მუშაობაში და ვინ ცდილობს, თავიდან აიცილოს ინიციატივა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს „წყნარი“ მოსწავლეების დაჯგუფება, სადაც ისინი ნაკლებად მოახერხებენ ვინმეს ზურგს ამოეფარონ და სხვას მიანდონ გადაწყვეტილების მიღება. ასევე, სასარგებლოა ამგვარი დაჯგუფება ზედმეტად აქტიური მოსწავლეებისთვის, რომლებიც თავიანთივე ტიპის თანაკლასელებთან ურთიერთობისას ნაკლებად მოახერხებენ დომინირებას და, ბუნებრივია, მოუნევეთ დათმობებზე წასვლა.

## რას გულისხმობს მოსწავლეთა შემთხვევითი პრინციპის მიხედვით ჯგუფების დაკომპლექტება?

**შემთხვევითი დაჯგუფება** გულისხმობს ჯგუფების შეკვრას რაიმე კრიტერიუმის გაუთვალისწინებლად. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლისთვის მოსახერხებელია დააჯგუფოს მოსწავლეები, რომლებიც ერთად ან ერთმანეთთან ახლოს სხედან. ამგვარად, ჩვენ ვზოგავთ დროს და თავიდან ვიცილებთ ხმაურს და არეულობას, რაც უთუოდ თან ახლავს გაკვეთილზე მოსწავლეთა გადაადგილებას. **შემთხვევითი დაჯგუფების ყველაზე ადვილი გზაა გათვლა.** მაგალითად, თუ ჩვენ სულ 30 მოსწავლე გვესწრება გაკვეთილზე და გვინდა 4-5 კაციანი ჯგუფების შექმნა, ბავშვებს რიგის მიხედვით გაითვლიან ციფრებს 1-დან 7-მდე, ან ასოებს „ა“-დან „ზ“-მდე. შემდეგ გავცემთ ინსტრუქციას, რომ ყველა 1 ნომერი (ან ყველა „ა“) შეიკრიბოს კლასის ერთ კუთხეში, ყველა 2 - მეორე ადგილას და ა. შ. საერთო ჯამში მივიღებთ 5 ოთხკაციან და 2 ხუთკაციან ჯგუფს.

## რა უნდა იცოდნენ ბავშვებმა ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე?

როგორ უნდა მოუხმონ მასწავლებელს, თუ დახმარება დასჭირდებათ

რა დრო ეძლევათ დავალების შესასრულებლად

რა ევალება თითოეულ მათგანს

ხმაურის რა დონეა დასაშვები

ჯგუფური მუშაობის რა პროდუქტი უნდა წარმოადგინონ დამთავრების შემდეგ და როგორ გვანიშნონ დასრულება.

## ჯგუფური მუშაობის მართვა

### რა უნარებია აუცილებელი ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვისთვის?

ზოგადად, ჯგუფური მუშაობისთვის მზადების პროცესად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი საკლასო აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს შემდეგი უნარები:

- ლოგიკური შეკითხვების დასმა;
- ერთმანეთის აქტიურად მოსმენა;
- სხვათა მოსაზრებების გაზიარება;
- აზრის გამართულად და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- დახმარების ან განმარტების თხოვნა;
- იდეების და მოსაზრებების ახსნა და შეფასება;
- საუბრის ძირითადი არსის შეჯამება.

ყველა ეს უნარი აუცილებელია ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვისთვის.

### ჯგუფური მუშაობის პროცესში რა როლს ასრულებს მასწავლებელი?

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი **დამკვირვებელია**, რომელიც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც კლასში ხდება. იგი მერხებს შორის მოძრაობს, აკვირდება ჯგუფებს, აღრიცხავს დადებით და უარყოფით მომენტებს მათ მუშაობაში. ამ დროს ჩანანერების გაკეთება ამ ინფორმაციის მოგვიანებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა (საერთო შეცდომების განხილვის, ახალი გაკვეთილების დაგეგმვის ან მოსწავლეთათვის ინდივიდუალური რჩევების მიცემისათვის). ამასთანავე, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ მოსწავლეების ყურადღება მთელი ამ ხნის განმავლობაში დავალებაზე იყოს კონცენტრირებული, და არა მასწავლებელსა და მის ჩანანერებზე.

### რა შემთხვევაში შეიძლება ჩაერიოს მასწავლებელი ჯგუფურ მუშაობაში და რა სახით?

თუ მოსწავლეებმა არასწორი მიმართულებით წარმართეს მუშაობა და ნათელი ხდება, რომ ისინი ვერ მივლენ სწორ შედეგამდე, მასწავლებელი მათ ხელახლა აძლევს ინსტრუქციებს, უკონკრეტებს დავალებას, ან აძლევს რჩევას;

- თუ მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად **სჭირდებათ რამე სახის ფაქტობრივი ინფორმაცია** (მაგ. ვერ გაიხსენეს კონკრეტული სიტყვა ან ფრაზა უცხო ენის გაკვეთილზე, ფორმულა - ქიმიის გაკვეთილზე, თარიღი - ისტორიის გაკვეთილზე), მასწავლებელს აქვს არჩევანი ან თავად შეასრულოს ლექსიკონის, ენციკლოპედიის თუ სახელმძღვანელოს ფუნქცია, ან მიანიშნოს მათ, სად შეიძლება ამ ინფორმაციის მოძებნა;
- თუ საჭიროა რომელიმე **ჯგუფის წახალისება და გააქტიურება**, მასწავლებელს შეუძლია, ჩაერთოს მის მუშაობაში, როგორც ერთ-ერთი წევრი. ეს განსაკუთრებულ ტაქტს მოითხოვს, რადგან მასწავლებლის მიმართ მოსწავლეთა პატივისცემა მის აზრს განსაკუთრებულ წონას სძენს და თანაბარი დისკუსიის გამართვა საკმაოდ ძნელი ხდება. თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება მოხერხდა, მოსწავლეებიც და მასწავლებელიც განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებენ ამგვარი თანამშრომლობისგან;
- თუ რომელიმე **ჯგუფს განსაკუთრებით უჭირს**, ან ვიცით, რომ იგი შედარებით სუსტი მოსწავლეებისაგანაა დაკომპლექტებული, შეიძლება მასწავლებელმა მათ მეტი დრო დაუთმოს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. მიუხედავად ამისა, რომელიმე ჯგუფის უგულებელყოფა არ არის გამართლებული.

### როგორი უნდა იყოს მასწავლებლის მიდგომა, როცა დგება ჯგუფური მუშაობის დასკვნითი ეტაპი?

ჯგუფური მუშაობა წყდება წინასწარ დათქმულ დროს ან მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობას მზად აქვს საბოლოო შედეგი. ზოგადად, უმჯობესია, შევაჩეროთ მოსწავლეები მაშინ, როცა ისინი (ნაწილი მაინც) ჯერ კიდევ სიამოვნებით ასრულებენ ამ დავალებას. თუ ჩვენ დაველოდებით, სანამ ბოლო ჯგუფიც დაასრულებს მუშაობას, ეს ნიშნავს, რომ კლასის დანარჩენი ნაწილი ამ დროს არაეფექტიანად იყენებს. ამიტომ, როგორც კი შევნიშნავთ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა (დაახლოებით 60%) მზადაა მუშაობის შედეგების წარმოსადგენად, ან დავალებისადმი ინტერესმა იკლო, შეგვიძლია, გამოვაცხადოთ: „ბავშვებო, 3 წუთი (ეს დრო შეგიძლიათ განსაზღვროთ საჭიროების მიხედვით) დაგრჩათ დავალების შესასრულებლად. ზუსტად 3 წუთში ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს”

## ჯგუფური მუშაობის დასკვნითი ეტაპზე, როგორ შეიძლება მოხდეს შედეგების შეჯამება?

სამუშაოს დასრულებისას შედეგების შეჯამება უმეტეს შემთხვევაში საერთო საკლასო მუშაობის ფორმით ხდება. შედეგების შეჯამება სხვადასხვა ფორმას იღებს თავად დავალების მიზნებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს:

- სწორი პასუხი შეკითხვაზე
- სავარაუდო ვარიანტების დაჯგუფება დაფაზე
- ზეპირი პრეზენტაციები
- მომზადებული თვალსაჩინოებების (პოსტერების, რუკების, ნახაზების) გამოფენა კედლებზე.
- ამ ეტაპზე მასწავლებლის მთავარი მიზანია, თავისი ყურადღებით, შექებით, ნამუშევრის დადებით მხარეებზე ყურადღების გამახვილებით აჩვენოს, რომ აფასებს მოსწავლეების მიერ გაწეულ სერიოზულ შრომას და მონდომებას. კრიტიკული შენიშვნების ძირითადი ნაწილი კი მასწავლებლის მომავალ სამუშაო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

## როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები ჯგუფური მუშაობის მართვის შესახებ?

- ჯგუფური მუშაობის **დანყებამდე** მიეცით მოსწავლეებს ნათელი ინსტრუქციები და დავალების შესრულების მოდელი; წინასწარ განსაზღვრეთ და შეატყობინეთ, როგორ აპირებთ მათი ნამუშევრის შეფასებას;
- აუცილებელია, სწორად წარვმართოთ მოსწავლეთა დაჯგუფების, გადაადგილების **პროცესი** და არ მოვერიდოთ თანმხლებ სირთულეებს;
- ჯგუფების **მუშაობის დროს** მასწავლებელი შეიძლება მოგვევლინოს დამკვირვებელად, ინფორმაციის წყაროდ, რიგით მონაწილედ ან კონსულტანტად. ყველა ამ როლის კომბინირება და მონაცვლეობა უზრუნველყოფს დავალების წარმატებას;
- ჯგუფური **მუშაობა წყდება** მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობა მზადაა შედეგის წარმოსადგენად. დაგვიანებული ჯგუფების გამო არ უნდა დაზარალდნენ უფრო სწრაფი და აქტიური მონაწილეები;
- მუშაობის **დასასრულს** მიეცით მოსწავლეებს დრო შედეგების პრეზენტაციისა და განხილვისთვის. ამ დროს მასწავლებლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა მიერ მიღებულ შედეგებში დადებითი მხარეების წინა პლანზე წამოწევა და ინიციატივის წახალისება

## ქცევის წესები

**ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ქცევის წესების შემუშავება. რა იგულისხმება ქცევის წესებში?**

**ზოგადი წესები**, ანუ საკმაოდ მრავლისმომცველი ფორმულირება იმისა, თუ რაგვარ საქციელს მოელის მასწავლებელი მოსწავლეებისგან (მაგ. „ყურადღებით ვიყოთ გაკვეთილზე და შევასრულოთ ყველა დავალება“);

**კონკრეტული პროცედურები**, ანუ უფრო დეტალური განმარტება იმისა, თუ როგორ განვახორციელოთ ესა თუ ის ქმედება.

**რა შემთხვევაშია ქცევის წესები შედეგიანი?**

ქცევის წესები ყველაზე შედეგიანია მაშინ, როცა ისინი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის პროდუქტია. რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეებს უჩნდებათ პასუხისმგებლობის შეგრძნება.

**წესების შემუშავების პროცესის სწორად წარმართვისთვის რა უნდა გვახსოვდეს?**

წესების შემუშავების პროცესის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ:

სასურველია, წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4-6-ს.

წესები უთუოდ უნდა ჩამოყალიბდეს პოზიტიური ფორმით,

წესები ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული.

როგორც არ უნდა იყოს წესი, კონკრეტული თუ ზოგადი, მას აუცილებლად სჭირდება განმარტება და სერიოზული განხილვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მისი გათავისება.

მოსწავლეები არ დაემორჩილებიან წესს, თუ მას უმნიშვნელოდ მიიჩნევენ.

წესები უნდა გამოვაკრათ თვალსაჩინო ადგილას.

**როგორ შეიძლება განვსაზღვროთ პროცედურები და რა მნიშვნელობა აქვს მას გაკვეთილის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში?**

პროცედურა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც არაფორმალური წესი, რომელიც იმას გულისხმობს, თუ კონკრეტულად რა და როგორ უნდა გაკეთდეს. სწორედ პროცედურების ერთობლიობა აყალიბებს გაკვეთილის სტრუ-

ქტურას. დადგენილი პროცედურების განხორციელება სისტემატური, რუტინული, ყოველდღიური უნდა გახდეს, ანუ მოსწავლე მათ უნდა ასრულებდეს ჩვევის დონეზე.

**რა პრევენციულ ღონისძიებებს უნდა მიმართოს პედაგოგმა, თავიდან რომ აიშოროს დისციპლინის პრობლემები, ანუ რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნისთვის?**

მოსწავლე მეტი ხალისით ემორჩილება მასწავლებელს, რომელიც უყვარს და რომელსაც პატივს სცემს.

1. მოსწავლეს არ სცალია წესების დასარღვევად, როცა იგი საქმიანადაა დაკავებული.
2. მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება, როცა მან იცის, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ მის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან.
3. მასწავლებლის მაგალითს ხშირად მეტი ძალა აქვს, ვიდრე ათეულობით წესს და მკაცრ მოთხოვნას.

**მოსწავლის შექებისას, რა უნდა გაითვალისწინოთ?**

შევაქოთ მოსწავლის კონკრეტული ქმედება, დავაჯილდოოთ მოსწავლის მონდომება, მცდელობა და არა შედეგი, მშობელთან დარეკვას, ან წერილს ძირითადად სერიოზული დარღვევების შემთხვევაში მივმართოთ.

**მასწავლებელმა რა მიზეზების გამო შეიძლება, აარიდოს თვალი დარღვევას?**

თუ ეს გამონაკლისი შემთხვევაა, ან გამოწვეულია უჩვეულო გარემო პირობებით (მაგ. სასწავლო წლის ბოლო დღეა, ან მოსწავლეების პირად ცხოვრებაში რამე განსაკუთრებული ხდება);

1. თუ ქცევა ბუნებრივია მოსწავლეთა განვითარების მოცემულ საფეხურზე (მაგ. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მოუსვენრობა ხანგრძლივად ერთ ადგილზე ჯდომის შემდეგ);
2. თუ დარღვევა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს და არ მიიპყრობს მოსწავლეების ყურადღებას (მაგ. გამა დავალების მიცემის შემდეგ ამოიღო ჩანთიდან ფანქარი, რომელიც, წესის მიხედვით, თავიდანვე მერხზე უნდა ყოფილიყო).

## როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი მაშინ, როცა დისციპლინის დარღვევისას ჩარევას საჭიროდ ჩათვლის?

უნდა ვეცადოს, წესრიგის დამრღვევი, რამდენადაც შესაძლებელია, შეუმჩნევლად დაუბრუნოთ სამუშაოს. მაგალითად, როცა მასალის ახსნისას შენიშნავს, რომ ერთი მოსწავლე სხვა რამითაა დაკავებული, შეიძლება რამე შესწავლით ანიშნოს უკმაყოფილება, ან, უბრალოდ, დადგეს მასთან ახლოს. შეიძლება, ასევე, ბუნებრივად ჩაეურთოთ მისი სახელი საუბარში, მაგ. „ამ რიცხვების ჯამი, საბა, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ტოლია...“.

## როგორ შეიძლება დალაგდეს დისციპლინის დარღვევისთვის გათვალისწინებული ზომები ნაკლებ სერიოზულიდან უფრო სერიოზულამდე?

სიტყვიერი შეხსენება, რომ უკვე განხილული და შეთანხმებული წესებიდან ერთ-ერთი ირღვევა;

1. შესვენების 5 წუთის დაკარგვა (ამ დროში მოსწავლე ასრულებს რამე დავალებას გაკვეთილზე დაკარგული დროის ასანაზღაურებლად);
2. შესვენების 10 წუთის დაკარგვა (ან გაკვეთილების შემდეგ 10 წუთით დატოვება);
3. გაკვეთილების შემდეგ 20 წუთით დატოვება;
4. შესვენების მთელი დროის დაკარგვა და სატელეფონო ზარი მშობლებთან;
5. მოსწავლის გაგზავნა დირექტორთან, ან დირექტორის მოადგილესთან.

## მასწავლებლის რისხვამ შეიძლება აგრესია გამოიწვიოს მოსწავლეებში, ან პირიქით, გაართოს ისინი. როგორ უნდა აიცილოს ეს თავიდან მასწავლებელმა?

1. არც ერთ პრობლემურ სიტუაციაში არ უნდა გადაეცდეთ ტაქტის და თავაზიანობის საზღვრებს.
2. ყველა შენიშვნა უნდა ეხებოდეს კონკრეტულ საქციელს, მოქმედებას და არა მოსწავლის პიროვნებას.
3. ყველა შენიშვნა უნდა იყოს კონკრეტული და ლაკონური;
4. მოვერიდოთ მოსწავლესთან დებატებში შესვლას ამა თუ იმ საქციელის თაობაზე.
5. შევეცადოთ, დავივიწყოთ დაძაბულობის შესახებ, როგორც კი მოსწავლე დაემორჩილება ჩვენს მოთხოვნას.

## ქცევის თვითმართვა

### რას ნიშნავს ქცევის თვითმართვა?

თვითმართვა არის ადამიანის უნარი, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. აქ იგულისხმება მოსწავლის უნარი, თავად დაისახოს მიზანი (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული ქცევის შეცვლა), ხოლო შემდეგ დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები.

### რა უნდა განისაზღვროს თვითმართვის პროცესის მიზნად?

სასურველია, თვითმართვის პროცესის მიზნად განისაზღვროს პოზიტიური ქცევა და არა ნესრიგის დარღვევა. მაგალითად, მოსწავლის ყურადღება შეიძლება მივაპყროთ იმას, თუ რამდენჯერ შეგვანყვეტინა მან გაკვეთილი უადგილო წამოძახილით ან შეკითხვით. თუმცა უფრო ეფექტური იქნება, თუ ამის ნაცვლად იგი აღრიცხავს, რამდენჯერ ანიშნა მან მასწავლებელს ხელის აწევით.

### რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის და მოსწავლის თანამშრომლობა მოსწავლის თვითმართვის უნარის ჩამოყალიბების პროცესში?

ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად უნდა იმუშაონ. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. მიზნის (სამიზნე ქცევის) განსაზღვრა;
2. თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავება;
3. ნახალისების ფორმების შერჩევა;
4. თვითდაკვირვების სისტემის გამოყენება;
5. თვითგანმტკიცება.

### როგორია მასწავლებლის როლი სამიზნე ქცევის განსაზღვრაში?

მოსწავლე და მასწავლებელი ერთად განსაზღვრავენ, მოსწავლის რა ქმედებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. ამგვარი ქმედებების არჩევანი საკმაოდ ფართოა. **სამიზნე ქცევის განსაზღვრის ეტაპზე მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს**, რომ მიზანი იყოს რეალისტური, მაგრამ არც ძალიან ადვილად მისაღწევი. შეიძლება წავახალისოთ იგი და დავანახოთ, რომ ამ ამოცანის გადა-

ჭრა შესაძლებელია (მაგ. გავამხნევით სხვა მოსწავლეების მაგალითით). ზოგჯერ საჭირო ხდება იმის ახსნაც, რომ სრულყოფილებას არ უნდა ველოდოდ და შეცდომის გარეშე რთული ამოცანისთვის თავის გართმევა შეუძლებელია.

### რა შეიძლება იქცეს სამიზნე ქცევად?

სამიზნე ქცევად შეიძლება იქცეს - კლასში სავარჯიშოს დროზე დასრულება, საშინაო დავალების ჩაბარება, საკუთარ ადგილზე ყოფნა მთელი გაკვეთილის მანძილზე, მასწავლებლის შეკითხვაზე პასუხის გაცემის ფორმა, შესასრულებელ სამუშაოზე ყურადღების კონცენტრაცია, თანაკლასელებისადმი მიმართვის ფორმები და ა.შ.

### როგორ უნდა წარიმართოს თვითდაკვირვების პროცესი?

მოსწავლესთან ერთად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, როგორ მოხდება სამიზნე ქცევის აღრიცხვა. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ცხრილი ან სქემა და ხშირად, დროის გაზომვის რამე მექანიზმი: წამწამი, მალვიძარა და ა.შ. მაგალითად, მოსწავლეს მერხზე უდევს მარტივი ცხრილი, რომელშიც აღნიშნავს მის მიერ სამიზნე ქცევის სწორად განხორციელების ყველა შემთხვევას (მაგ. რამდენჯერ ანია ხელი წამოძახების ნაცვლად).

**თვითმართვის უნარის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს განმამატკიცებლებს. აღწერეთ განმამატკიცებლები ეტაპების მიხედვით?**

**საწყის ეტაპზე** - კონკრეტული განმამატკიცებლები, მაგალითად, რვეულში ჩასაკრავი ლამაზი სურათები (სტიკერი), სპეციალური ბარათები, რომლებიც ვილდოს მისაღებად უნდა დააგროვონ;

**მეორე ეტაპზე** — სახალისო აქტივობა, მაგალითად, თამაში, კომპიუტერზე მუშაობა, ჯგუფებს შორის შეჯიბრება; პრივილეგია, მაგალითად, ჯგუფის ლიდერობა, მწკრივის თავში დგომა, მასწავლებლის დახმარება რვეულების აკრებაში ან რამე სხვა საქმიანობაში;

**მესამე ეტაპზე** — სოციალური ნახალისება, მაგალითად, ნამუშევრის გამოფენა ან მიღწევების წარმოჩენა თანაკლასელთა წინაშე და ა.შ.

**მეოთხე ეტაპზე** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მაგალითად, მოსწავლე წყვეტს, რა აქტივობებში სურს მონაწილეობის მიღება, რა გარემოში იმეცადინოს, როდის არის დასრულებული მისი სამუშაო, რა პროდუქტი წარმოადგინოს შრომის შედეგად და ა.შ.

## მშობლების ჩართულობა

მშობლისა და მასწავლებლის კარგი ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია მისი აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე.

### რამდენად ევალუა სკოლას, რომ მშობელს მუდმივად მიაწოდოს მონაცემები შვილის შესახებ?

სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, რომ პერიოდულად მიიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ. აგრეთვე, იმ მოთხოვნების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

### რა წესები უნდა დაიცვას მასწავლებელმა მშობელთან შეხვედრის წარმატებულად წარმართვისთვის?

მიზანშეწონილია რამდენიმე აუცილებელი წესის დაცვა - სასურველია, თუ გამორთავთ მობილურ ტელეფონს, საუბრისთვის აირჩიეთ ისეთი ოთახი, სადაც შეგიძლიათ კარი ჩაკეტოთ. ყოველთვის გულთბილად შეხვდით მშობელს. წინასწარ მოამზადეთ განსახილველი საკითხების ჩამონათვალი. მოსწავლის ნაშრომის გამოყენება კარგი საშუალებაა პრობლემის ნათლად დემონსტრირებისთვის.

### რა როლი შეიძლება შეასრულონ მშობლებმა საერთო სასკოლო პრობლემის გადაწყვეტაში?

მშობლებმა შეიძლება აქტიური როლი ითამაშონ საერთო სასკოლო პრობლემის გადაწყვეტაში, თანხებისა და სხვა საჭირო რესურსების მოძიებაში. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში. სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, მშობელს ყოველთვის შეუძლია, გამოითხოვოს სკოლაში დაცული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია.

### სკოლის მართვაში ან სასკოლო ღონისძიებებში მშობლის ჩართვის რა გზები არსებობს?

არსებობს რამდენიმე გზა. მნიშვნელოვანია, რომ მშობლები ერთიანდებიან სკოლის სამეურვეო საბჭოში, რომელიც სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოა. გარდა ამისა, მშობლებს უფლება აქვთ, ჩამოაყალიბონ ორგანიზაცია და სკოლამ პატივი უნდა სცეს მათ გადაწყვეტილებას. აგრეთვე, სკოლა არ უნდა ჩაერიოს მშობელთა გაერთიანების საქმიანობაში.

## ეფექტური კომუნიკაცია

კომუნიკაციის პროცესი მიმდინარეობს შინაარსისა და დამოკიდებულებების დონეზე. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება, შინაარსის გაცვლა ინფორმაციის დონეზე ხდება. რაც შეეხება გრძნობებს, რომლებიც კომუნიკაციის პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მათი გადაცემა დამოკიდებულების დონეზე ხორციელდება.

**მოსაუბრის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს - პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. როგორია შინაარსის დონე, როცა დამოკიდებულება: პოზიტიურია, ნეგატიურია ან ნეიტრალურია?**

როდესაც მოსაუბრის მიმართ დამოკიდებულება **პოზიტიურია** (ან ნეიტრალური), შინაარსის დონე თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ინფორმაციის შეუფერხებელი გაცვლა. როგორც კი დამოკიდებულების დონეზე უარყოფითი სიგნალები ჩნდება, მაშინ თავად მოსაუბრეებს შორის დამოკიდებულება იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ შინაარსის შეუფერხებლად გაცვლა შეუძლებელია.

როდესაც მოსწავლე-მასწავლებელს, მოსწავლე-მოსწავლეს შორის დამოკიდებულების დონე დარღვეულია (**ნეგატიურია**), არ უნდა მოხდეს ინფორმაციის, შინაარსის გადაცემა. ჯერ უნდა დაბალანსდეს დამოკიდებულების დონე და შემდეგ უნდა გაგრძელდეს კომუნიკაცია შინაარსის დონეზე.


**როგორია ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი) კომუნიკაციის პროცესის მექანიზმი?**

მოსაუბრე “გადამცემია” და მსმენელი “მიმღები”. თუ ამ უკანასკნელს სურს ვინმეს რაიმე აცნობოს, მან ჯერ შესაბამისი კოდი უნდა ამოირჩიოს, რომლითაც შინაგან გრძნობებს გამოხატავს, შემდეგ გადამცემმა უნდა გააგზავნოს ეს კოდი (დაფუშვით, ვერბალური ცნობა). როდესაც მიმღები ამგვარ კოდს მოისმენს, იგი დაიწყებს დეკოდირების პროცესს:

**შეიმუშავებს ვარაუდებს, ან მოსული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთებს დასკვნას იმის შესახებ, თუ რას შეიძლება განიცდიდეს გადამცემი.**

პრობლემა იმაშია, რომ ეს დასკვნა, თუ ვარაუდი შესაძლოა, არ დაემთხვეს (და უმეტეს შემთხვევებში ასეც ხდება) იმას, რის გადაცემასაც ცდილობდა გადამცემი თავისი კოდების სისტემით.

ყოველივე ეს შეიძლება სქემატურად ასე გამოიხატოს:



### რა დროს აქვს ადგილი ეფექტურ ანუ სრულყოფილ კომუნიკაციას?

კომუნიკაციის პროცესს განეკუთვნება როგორც გადამცემის გამონათქვამი, ასევე მიმღების შთაბეჭდილება. ეფექტურ ანუ სრულყოფილ კომუნიკაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც შთაბეჭდილება უდრის გამონათქვამს, ანუ როდესაც **მოსაუბრის მიერ გადაცემული ინფორმაცია ზუსტად ისევე აღიქმება მსმენელის მიერ, როგორც მოსაუბრეს სურდა.**

### ყოველთვის რატომ არ ხდება ეფექტური კომუნიკაცია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ჭეშმარიტ გაგებას?

ყოველთვის არ ხდება რადგან:

- ერთი და იგივე სიტყვები განსხვავებულად ესმით სხვადასხვა მოსწავლეებს;
- მოსწავლეები ხშირად არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ;
- მოსწავლეებმა ხშირად არ იციან თავისი ჭეშმარიტი გრძნობების შესახებ;
- მოსწავლისათვის არც ისე ადვილია გრძნობების სიტყვებით გადმოცემა ანუ არც ისე ადვილია სწორი კოდის მოძებნა
- მოსწავლეს და მასწავლებელს ხანდახან, მხოლოდ ის ესმის, რის გაგებასაც ვისურვებდით;
- მიმღები მოსწავლე ხშირად დაკავებულია არა დეკოდირების პროცესით, არამედ საკუთარი პასუხის მოფიქრებით;
- მასწავლებელმა არ იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება მიმღებმა;

### რა უშლის ხელს კომუნიკაციის ეფექტურობას?

კომუნიკაციის ეფექტურობას ხელს უშლის შემდეგი ბარიერები:

- **ბუნდოვანი პროცესი:** ინფორმაციის მიმღებსა და ინფორმაციის გადამცემ წყაროს ერთნაირად არ ესმით ენა, ჟარგონი, სიმბოლოები
- **ინფორმაციის სტრუქტურა:** მრავალმხრივი და გადატვირთული გზავნილი
- **პიროვნული ნიშნები:** ჯფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლების და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა.შ.

- ადამიანის “ბუნება”: ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული ნიშნები
- კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები: როდესაც ადამიანები სანინა-ალმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ სხვა მოსაზრებების გაზიარება

### მოსმენის რამდენიმე მოდელი არსებობს?

საერთოდ, მოსმენის რამდენიმე მოდელი არსებობს: კონკურენტული მოსმენა, ყურადღებიანი, ანუ პასიური მოსმენა და აქტიური, ანუ რეფლექსური მოსმენა.

### რით ხასიათდება კონკურენტული მოსმენა?

კონკურენტული მოსმენა იმით ხასიათდება, რომ მსმენელი-მოსწავლე მოსმენის დროს ფიქრობს არა მოსაუბრე მასწავლებლის თუ მოსწავლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის აღქმაზე და გადამუშავებაზე, არამედ საკუთარი პოზიციის, საკუთარი სათქმელის გამოთქმაზე. ის თითქოს, თავს იცავს და ემზადება პასუხის გასაცემად მაშინაც კი, როდესაც სიტუაცია ამას არ მოითხოვს. არის შემთხვევები, როდესაც მსმენელი-მასწავლებელი ხშირად აწყვეტინებს მოსაუბრე-მოსწავლეს. ერთგება რეპლიკებით, რითაც საუბრის პროცესს არაეფექტურს და დაძაბულს ხდის.

### რით ხასიათდება პასიური მოსმენის პროცესი?

ყურადღებიანი, ანუ პასიური მოსმენის დროს მსმენელი-მოსწავლე უსმენს მოსაუბრე-მასწავლებელს თუ მოსაუბრე — მოსწავლეს. მაგრამ არ უბრუნებს მისგან აღქმულ ინფორმაციას, არ აძლევს უკუკავშირს მიღებული ინფორმაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოსაუბრე ნაკლებად ითხოვს მსმენელისგან აქტიურობას. მაგრამ ყურადღებით მოსმენას თავისი ნაკლი აქვს. ალბათ ბევრ მასწავლებელს ჰქონია გამოცდილება, როცა მოსწავლეები გარეგნული მანიწინებლების, მიმიკის ან ფესტებიდან გამომდინარე ეგონა, რომ უსმენენ, მაგრამ სინამდვილეში მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მსმენელ-მოსწავლემდე არ მიდიოდა.

### რა ხდება აქტიური მოსმენის დროს?

აქტიური მოსმენის დროს მოსაუბრე-მასწავლებელი თუ მოსაუბრე-მოსწავლე მსმენელისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული ინფორმაციის შესახებ როგორც ვერბალური (მეტყველებითი), ისე არავერბალური (არამეტყველებითი) მანიწინებლებით. აქტიური მოსმენა მოსმენის სამი ტიპიდან ყველაზე

ეფექტურია. მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე. აქტიური მოსმენა ეხმარება მოსწავლეს და მასწავლებელს უფრო უკეთ გაიგონ მონოდებულები ინფორმაცია და არ დაამახინჯონ კომუნიკაციის პროცესი.

### როგორ შეუძლია მსმენელს (მოსწავლე იქნება თუ მასწავლებელი) კომუნიკაციის პროცესის გართულება?

- მსმენელი რალაციით არის დაკავებული, გართულია და არ უსმენს
- მსმენელი იმდენად არის დაინტერესებული საუბრით, და არა მოსმენით, რომ საბოლოოდ მოსაუბრეს უწევს მისი მოსმენა და სიტყვის "ჩასაგდებად" მომენტის გამონახვა
- მსმენელი ისმენს მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემდეგ მოსაუბრეს დაუპირისპირდეს და გააბათილოს მისი ნათქვამი
- მსმენელი აფასებს და განსჯის მოსაუბრეს
- მსმენელი არ ითხოვს განმარტებებს მაშინაც კი როდესაც ნათქვამს ვერ იგებს

### როგორ შეუძლია მოსაუბრეს მოსწავლე იქნება თუ მასწავლებელი, გაართულოს კომუნიკაციის პროცესი?

- მოსაუბრე ლაპარაკობს ძალზე დაბალი ხმით
- მოსაუბრე იხსენებს ბევრ უმნიშვნელო დეტალს, ან ერთბაშად რამდენიმე თემას ეხება
- მოსაუბრე იბნევა, კარგავს აზრს, ივიწყებს ნათქვამს და ზოგადად, საუბრის დანიშნულებას
- მოსაუბრე იყენებს საუბრის შინაარსის შეუსაბამო არავერბალურ მანიშნებლებს (ყესტებს, მიმიკას და ა.შ.). მაგ. იღიმება მაშინ, როდესაც სინამდვილეში სანყენ, ან გასაბრაზებელ ამბავს ყვება

### მასწავლებელმა რა ხერხი შეიძლება გამოიყენოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის დროს საუბრის სრულყოფილად წარმართვას?

**საუბრისთვის წახალისება** — მასწავლებელი წახალისებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარს გაუღებს მოსწავლეს საუბრის დანყებისათვის


**პასიური მოსმენა** — არიან დამფრთხალი მოსწავლეები, რომელთაც სჭირდებათ ჩუმად მოსმენა. ამ დროს ისინი საუბრის გამბედაობას იძენენ. სმენელი-მასწავლებლის და მსმენელი-მოსწავლეების მშვიდი ქცევა, მოსაუბრე-

-მოსწავლის მიერ აღიქმება, როგორც ინტერესი. მენელების ჩუმად ყოფნა, ძალიან ქმედითი ინსტრუმენტია- იგი მოსაუბრეს უბიძგებს, შფოთვის გარეშე ისაუბროს.

**ყურადღების რექციები** — არიან ლიდერი, თუ აქტიური მოსწავლეები, რომელთაც აქვთ მსმენელი-მასწავლებლის და მსმენელი-მოსწავლის მიმართ გაცილებით მეტი მოთხოვნილება, ვიდრე მხოლოდ ჩუმად ყოფნა. მათ სჭირდებათ იმის დასაბუთება, რომ მსმენელი თავისი ფიქრებით არ არის დაკავებული. ამიტომ მსმენელმა დროდადრო უნდა აჩვენოს, რომ იგი ყურადღებით უსმენს.

**აქტიური მოსმენა** — საუბრისათვის ნახალისება, პასიური მოსმენა და ყურადღების რექციები მოსწავლეებს უბიძგებს საუბარი დაიწყონ, მაგრამ ცოტას თუ აკეთებენ ზემოთ ნახსენები ტოლობისათვის, **შთაბეჭდილება = გამონათქვამს**; არც ერთ ზემოთ ნახსენები ტექნიკა არ აძლევს მოსაუბრეს რწმენას, რომ მას გაუგეს. თუ მოსაუბრეს უნდა, დარწმუნებული იყოს, რომ მსმენელის შთაბეჭდილება მის გამონათქვამს შეესაბამება, მაშინ მსმენელმა მოსმენის აქტიურ ფორმას უნდა მიმართოს.

**როგორ შეიძლება გამოვსახოთ აქტიური მოსმენის სქემა?**



## რას მოიცავს აქტიური მოსმენის პროცესი?

- მოსმენა
- ინფორმაციის გაგება
- ემოციების იდენტიფიცირება
- ინფორმაციის და ემოციების გადამონმება

## პროფესიონალი მასწავლებლები აქტიური მოსმენის რა ვარიანტებს იყენებენ?

**პერიფრაზი** — ამ დროს მსმენელი ცდილობს მოსაუბრის გამონათქვამის გამეორებას თითქმის იმავე სიტყვებით, რასაც თავად მოსაუბრე იყენებს. პერიფრაზის დროს მსმენელი ხაზს უსვამს როგორც მოსაუბრის ემოციას, ასევე მისი გზავნილის შინაარსობრივ მხარეს.

**შეჯამება** — ამ დროს მსმენელი ცდილობს მოსაუბრის შედარებით ვრცელი გამონათქვამიდან ძირითადი და საკვანძო მომენტების ხაზგასმას და გამეორებას სხვა სიტყვებით. შეჯამება ეხმარება მსმენელსაც და მოსაუბრესაც, მოახდინოს შინაარსის სტრუქტურირება და სწორი აქცენტების დასმა.

**დაზუსტება** — გულისხმობს დამატებითი კითხვების დასმას და ინფორმაციის მიღებას ბუნდოვანი საკითხების შესახებ, რაც ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის დამახინჯების და არასწორი აღქმის თავიდან არიდებას.

## კონფლიქტების მართვა

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებას ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ, ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

### როგორი ენერგია აქვს კონფლიქტს?

კონფლიქტი ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა, მას აქვს ენერგია. ენერგია შეიძლება იყოს **ნეგატიური და პოზიტიური**. **ნეგატიური** ენერგია იწვევს უარყოფით ცვლილებებს (დაზიანებას, ნგრევას) ხოლო **პოზიტიური იწვევს** დადებით ცვლილებებს. კონფლიქტის ენერგიის განვითარება დინამიური პროცესია, მას აქვს **დასაწყისი და დასასრული**.

### ჩამოთვალეთ კონფლიქტის ტიპები?

არსებობს კონფლიქტის რამდენიმე ტიპი:

- ინფორმაციული
- ურთიერთობასთან დაკავშირებული
- ფასეულობებთან დაკავშირებული
- ინტერესებთან დაკავშირებული
- სტრუქტურებთან დაკავშირებული

### კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზმა, როგორია კონფლიქტის განვითარების ეტაპები?

კონფლიქტის განვითარების გზა ძალიან ჰგავს ქარბორბალას. მისი განვითარების გზა ეტაპობრივია:

**I ეტაპი: „საწყისი ფორმა“** – კონფლიქტის საწყისი ეტაპია. თუ აქ არ მოხდა ჩარევა და კონფლიქტის მოგვარება, მისი ძალა მატულობს.

**II ეტაპი: „პრობლემების გამრავლება“** – ამ დროს ხდება ახალი პრობლემების დამატება. თუ არ მოხდა საწყისის პრობლემის განხილვა და და შემდეგ დანარჩენების გარკვევა, კონფლიქტი გადადის მესამე ეტაპზე.

**III ეტაპი: „მტრული ალიანსები“** – კონფლიქტში ჩართული ადამიანები კონფლიქტში რთავენ სხვა ადამიანებს (მეგობრებს, ნათესავებს). ალიანსში გაერთიანებული ადამიანები ცდილობენ, დაიცვან კონფლიქტის მხარე. თუ ამ ეტაპზე არ მოხდა მოლაპარაკება, კონფლიქტი გადადის შემდეგ ეტაპზე.

**IV ეტაპი: „კომუნიკაციის დამახინჯება“.** ამ ეტაპზე ძალიან ხშირია ერთ-მანეთის შეურაცხყოფა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩარევა და კონფლიქტის შეჩერება. თუ ეს არ მოხდა, იწყება შემდეგი ეტაპი:

**V ეტაპი: „უკიდურესი პოზიციები“** – ოპონენტი გამოცხადებულია მტრად.

**საკლასო კონფლიქტის დროს იცვლება მოსწავლის ქცევის სტილი / კომპრომისი, განრიდება, კონკურენცია, შეგუება, თანამშრომლობა/. აღწერეთ თითოეული ქცევის სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები?**

ქცევის სტილი	დამახასიათებელი ნიშნები
კომპრომისი	ხდება ურთიერთდათმობა, მხარეების ინტერესების გარკვევა, მიმდინარეობს მოლაპარაკება.
განრიდება	ხდება კონფლიქტის გადადება მომავლისთვის ან მისი იგნორირება.
კონკურენცია	ხდება საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვათა ხარჯზე და საკუთარი პოზიციების დაცვა.
შეგუება	ხდება საკუთარი ინტერესების დათრგუნვა სხვისი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.
თანამშრომლობა	ხდება თანამშრომლობა მხარეებს შორის. ორივე მხარე აღიარებს ერთმანეთის ინტერესს.

**კონფლიქტები ხშირია სკოლაში. სასკოლო კონფლიქტების რამდენ სახეს გამოყოფენ?**

გამოყოფენ სასკოლო კონფლიქტების 10 სახეს: მოსწავლე-მოსწავლე; მოსწავლე-მასწავლებელი; მოსწავლე-მშობელი; მოსწავლე ადმინისტრატორი; მასწავლებელი-მასწავლებელი; მასწავლებელი-მშობელი; მასწავლებელი-ადმინისტრატორი; მშობელი-მშობელი; მშობელი-ადმინისტრატორი; ადმინისტრატორი-ადმინისტრატორი.

**როგორ განმარტავენ კონფლიქტოლოგიის მთავარ ცნებებს - კონფლიქტური სიტუაცია, კონფლიქტური ურთიერთქმედება და ინციდენტი?**

**კონფლიქტური სიტუაცია** – არის იმ გარემოებების ობიექტური შერწყმა, რომლებიც წინ უძღვიან კონფლიქტს და, როგორც წესი, იწვევენ სხვადასხვა პირების შეუთავსებელ მოთხოვნებს (როდესაც ერთი მხარის დაკმაყოფილება ხელს უშლის მეორე მხარის დაკმაყოფილებას). იმისათვის, რომ კონფლიქტუ-

რი სიტუაცია გადაიზარდოს კონფლიქტში (კონფლიქტური ურთიერთქმედება), აუცილებელია ინციდენტი. **ინციდენტი** ეს არის კონფლიქტის მიზეზი.

### რა შეიძლება იყოს სასკოლო კონფლიქტის მიზეზი?

- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი (სკოლის შინაგანანესი, საათობრივი ბადა, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა და ა.შ.);
- ურთიერთობების დაბალი კულტურა;
- ასაკობრივი თავისებურებები;
- ინდივიდუალობა (განსხვავებული სქესი, ქცევის თავისებურება, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიური თავისებურებები);
- ცოდნისა და ქცევის არაობიექტური შეფასება;

### ჩამოთვალეთ და აღწერეთ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის ტიპები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ტრამვები?

1. მასწავლებლის არასწორი ქმედება, მიმართული დისციპლინის დამყარებისაკენ (მაგალითად: კლასში ყველა ხმაურობს, მასწავლებელი სჯის ერთს).
2. განსაკუთრებული დამოკიდებულება წარმატებული მოსწავლეებისადმი (მათ აქებენ და უპერსპექტივოდ წარმოაჩენენ სხვებს).
3. უკმაყოფილება, რომელსაც განაპირობებს მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების არასწორი შეფასება.
4. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის შესახებ სკოლაში მიღებული წესების დარღვევა. ხშირად, როგორც ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ქცევას მივყავართ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის სტრესამდე, როცა არც ერთ მხარეს აღარ შეუძლია აკონტროლოს თავისი საქციელი.

### კონფლიქტი ხშირად გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებელი ვერ მართავს კლასს, რა ინვესტ პრობლემებს კლასის მართვაში?

**გთავაზობთ არაეფექტური კლასის მართვის რამდენიმე მიზეზს:**

– **სწავლების მეთოდები.** მასწავლებელი სასწავლო მეთოდის გამოყენებისას ცხადად არ აძლევს ინსტრუქციას, გაუგებარია მოსწავლისთვის რა აქტივობა

უნდა განახორციელოს, გადმოცემული მასალა მშრალია, არ ეყრდნობა მოსწავლეთა გამოცდილებას, ცხოვრებას.

– მოსწავლეს არ აინტერესებს კონკრეტული საგნის შესწავლა მასწავლებელი ცდილობს „აიძულოს“ მოსწავლე, ისწავლოს საგანი და ვერ ახერხებს მის დაინტერესებას.

– არასრულყოფილი გაკვეთილის გეგმა. მოსწავლეები გრძნობენ, როდის მოდის მასწავლებელი მოუმზადებელი.

– პედაგოგს არ შეუძლია/გამოცდილება არ ყოფნის, შემოქმედებითად მიუდგეს მოსწავლეთა შეფასების საკითხს. აფასებს მხოლოდ საგნობრი ცოდნას და არ შეუძლია პროგრამის გარეშე ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. ვერ ეგუება პასუხის სტანდარტული მოდელიდან გადახვევას.

### კონფლიქტოლოგიასთან მიმართებაში როგორია მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეებისადმი მიცემული შენიშვნები?

მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეებისადმი მიცემული შენიშვნები შეიძლება დაეყოს **3 ძირითად ჯგუფად:**

#### მბრძანებლობითი შენიშვნა

მბრძანებლობითი შენიშვნა(ბრძანებები, მითითებები, გაფრთხილებები, მუქარები). ასეთი ტიპის შენიშვნები მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნია კლასის მართვის ყველაზე იოლ ხერხად. სინამდვილეში ის ძალიან ხშირად არ იძლევა შედეგს და, რაც მთავარია, თითოეულ შენიშვნაში არის შეტყობინება „შენ ცუდი ხარ“. საუკეთესო შემთხვევაში, შენიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის ქცევის მხოლოდ გარეგნული დროებითი ცვლილება. შენიშვნა შეიცავს იფორმაციას მხოლოდ მოსწავლის და არა მასწავლებლის შესახებ.

#### დამთრგუნველი შენიშვნა

დამთრგუნველი შენიშვნა კიდევ უფრო უარესია. ის ამცირებს მოსწავლეს, ამცირებს მისი თვითშეფასებას, შეიცავს ბრალდებებს, განკითხვას, დაცინვას (თქვენ იქცევით, როგორც ველურები), დაკითხვას, გამოძიებას. მოსწავლე ყოველდღე უამრავ შენიშვნას ისმენს და ეჩვევა იმ აზრს, რომ ის არის მასწავლებლის ყველა უბედურების მიზეზი. მოსწავლე იწყებს თავდაცვას მასწავლებლის აზრის შეტევისაგან, რაც, ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტის დასაწყისს წარმოადგენს.

## ირიბი შენიშვნა

ირიბი შენიშვნა შეიცავს დაცინვას, სარკაზმს, გამოჯავრებას. მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ამ ტიპის შენიშვნებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით ნაკლებ ზიანს აყენებენ მოსწავლის ფსიქიკას.

სამივე ტიპის შენიშვნას აერთიანებს ფარული კოდი „შენ ცუდი ხარ“.

## მაგალითები:

– შეწყვიტე (ბრძანება).

კოდის გახსნა: შენ ცუდი ხარ, რადგან არ გესმის, რომ უნდა გაჩერდე.

– უკეთესია გაჩერდი, თორემ ... (მუქარა).

კოდის გახსნა: შენ ცუდი ხარ, რადგან არ იცი, რომ უნდა დანყნარდე და არ გესმის, რა მოხდება, თუ ასე არ მოიქცევი.

– შეხედეთ, კიდევ ერთი პითაგორა! (სარკაზმი).

კოდის გახსნა: შენ ცუდი ხარ, რადგან ვერ აფასებ საკუთარ შესაძლებლობებს.

ასეთი ტიპის ყველა შენიშვნა მიმართულია მოსწავლისკენ და არავითარ ინფორმაციას არ იძლევა მასწავლებელზე. მასწავლებელს რომ ეცნობებინა მოსწავლისთვის, რას განიცდის მისი ქცევის გამო, მაშინ პასუხისმგებლობას ის აიღებდა თვითონ.

## როგორი შენიშვნა შეიცავს ცნობას მასწავლებელზე, მის განცდებზე?

თუ მასწავლებელს უნდა, მოსწავლეს მისცეს შენიშვნა, რომელიც სრულად შეესაბამება იმას, რაც ხდება, უნდა აცნობოს მოსწავლეს მისი განცდის შესახებ. ამ გზავნილის კოდი შეიცავს ცნობას მასწავლებელზე.

ასეთი ტიპის შენიშვნამ თავიდან რომ აგვაცილოს კონფლიქტი, სასურველია, პედაგოგი მიჰყვეს შემდეგ სქემას:

შენიშვნის I ნაწილი: აქცენტია მოსწავლის იმ ქცევაზე, რომელიც ანუხებს მასწავლებელს (როცა შენ ვერ ისვენებ ერთ ადგილზე, როცა შენ მანყვეტინებ საუბარს, როცა თქვენ ერთმანეთს არ ექცევიტ პატივისცემით...).

II ნაწილი: უნდა გამოჩნდეს ის კონკრეტული ეფექტი, რომელსაც გამოიწვევს მოსწავლის ქმედება (მე მიჭირს მოსმენა...).

III ნაწილი: აცნობებს მოსწავლეს იმ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებსაც განიცდის მასწავლებელი ეფექტის შედეგად (მე ვლიზიანდები...).

## რა არის მედიაცია?

მედიაცია არის პროცესი, როდესაც მესამე, ნეიტრალური მხარე, ორ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ეხმარება, მოლაპარაკების გზით ურთიერთმისაღებ შეთანხმებას მიაღწიონ.

## ვინ არის მედიატორი?

მედიატორი არის პირი, რომელიც დაპირისპირებული მხარეების დასახმარებლად სხვადასხვა საშუალებას მიმართავს, მაგრამ იგი მათ მაგიერ არასდროს იღებს გადაწყვეტილებას.

## ეტაპებისაგან შედგება მედიაცია?

მედიაცია განიხილება როგორც „დამხმარე“ ჩარევა. მისი მიზანი პრობლემის მოგვარებაა. მედიაციის პროცესი იყოფა ექვს ეტაპად:

I ეტაპი:	პროცესის გახსნა – ამ ეტაპზე ხდება კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა, პროცედურების და წესების ახსნა, მოლოდინების განხილვა.
II ეტაპი:	პრობლემის დადგენა – მხარეებს ეძლევათ საშუალება, კონფლიქტის საკუთარი ხედვა წარმოადგინონ. მედიატორი აზუსტებს პრობლემებს.
III ეტაპი:	გაცვლა – ხდება პრობლემების ზემოქმედების ჩვენება საპირისპირო მხარეებზე, გადანაცვლება და მომავალზე ფოკუსირება.
IV ეტაპი:	ალტერნატივების შექმნა – ობიექტური კრიტერიუმების მეშვეობით შესაძლებლობების დადგენა და ალტერნატივების შემუშავება.
V ეტაპი:	შეთანხმება – კონფლიქტის მოგვარებისათვის მზაობა, შეთანხმების დეტალების დაფიქსირება, მომავალი გაუგებრობების აღბათობის შემცირება.
VI ეტაპი:	პროცესის დახურვა – მხარეთა ძალისხმევის აღიარება, მადლიერების გამოხატვა, მედიაციის შედეგების მიმოხილვა.

## მოსწავლეთა მოტივაცია

მოტივაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძალა, რომელიც პიროვნებას უბიძგებს გარკვეული ქმედებისაკენ და/ან სხვა ქმედებებისაგან თავის შეკავებისკენ.

### ჩამოთვალეთ, მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებები?

მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და სასწავლო გეგმისა თუ კონკრეტული პედაგოგის მიერ წამოყენებული სასწავლო მოთხოვნები.

### რატომ არის მასწავლებელი მოვალე, კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს თავის მოსწავლეებთან?

კვლევები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, კეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს. აგრეთვე, მასწავლებელი მოვალეა, რომ აგრძნობინოს მათ თავი ღირსეულ, პატივსაცემ ადამიანებად და შექმნას დაცული, კომფორტული, ჯანსაღი გარემო, სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესად იქცევა. ამგვარ შემთხვევაში მოსწავლეებს შორის მოტივაციის ხარისხი მკვეთრად მატულობს.

### რა ფაქტორები ქმნის ჯანსაღ ურთიერთობებსა და მაღალ აკადემიურ მიღწევებზე ორიენტირებული სასწავლო ატმოსფეროს?

ესენია: გუნდურობისა და თანამშრომლობის, დაცულობის, დაბალი რისკის (დაცინვასთან, სარკაზმთან, თუ დასჯასთან დაკავშირებით), ნდობისა და პიროვნული ღირსების ფაქტორი.

### რა არის გარეგანი მოტივაცია?

გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა, რომელიც გამომწვეულია გარე ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით.

### რა არის შინაგანი მოტივაცია?

შინაგანი მოტივაციის დროს მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია თავად სწავლის პროცესი, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

### რა არის მოტივის ფუნქცია?

თანამედროვე ფსიქოლოგები საუბრობენ მოტივის სამგვარ ფუნქციაზე:

1. მოტივი აღძრავს ქცევას,
2. მოტივი აძლევს ქცევას მიმართულებას,
3. მოტივი უზრუნველყოფს ქცევას.

### რას ნიშნავს მოსწავლის მოტივირება?

მოსწავლის მოტივირება ნიშნავს—უბიძგო მას ძველი ქცევა შეცვალოს ახლით! საინტერესოა, მოტივაცია განვიხილოთ სწავლასთან მიმართებაში.

### ფსიქოლოგიაში მოტივაციური საფუძვლის მიხედვით სწავლის რამდენ სახეს განასხვავებენ?

ფსიქოლოგიაში მოტივაციური საფუძვლის მიხედვით სწავლის სამ სახეს განასხვავებენ.

1. სწავლა ლატენტური (ფარული) მოტივაციით
2. სწავლა ჰეტეროგენული (სხვა) მოტივაციით
3. სწავლა ჰომოგენური (იგივე) მოტივაციით

### რას ნიშნავს სწავლა ლატენტური (ფარული) მოტივაციით?

მთელი ცხოვრების მანძილზე, მიზანდასახულობის გარეშე, გაუცნობიერებლად სწავლა.

### როგორია ლატენტური მოტივაციით სწავლის მაგალითი?

**მაგალითად:** ბავშვი სწავლობს ენას და ლაპარაკს, ხოლო თამაშით იძენს უნარ-ჩვევებს.

### რას ნიშნავს სწავლა ჰეტეროგენული (სხვა) მოტივაციით?

მიზანმიმართული სწავლა. მოსწავლემ იცის რა ისწავლოს, მაგრამ ცოდნის დონე არ აინტერესებს.

### როგორია ჰეტეროგენული მოტივაციით სწავლის მაგალითი?

მოსწავლე სწავლობს იმიტომ, რომ იცის: ბურთის სათამაშოდ გაუშვებენ, ველოსიპედს უყიდიან, არ დასჯიან, შეაქებენ...

### რას ნიშნავს სწავლა ჰომოგენური (იგივე) მოტივაციით?

ამ დროს მოსწავლის ცნობისმოყვარეობა გადასულია ცოდნისმოყვარეობაში. ეს არის ეტაპი, რომლის დროსაც ნებისყოფის განვითარებაში მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება—მოსწავლე სასწავლო აქტივობას ცოდნის ობიექტურ ღირებულებას აფუძნებს.

### როგორია ჰომოგენური მოტივაციით სწავლის მაგალითი?

მოსწავლე, რომელსაც საკმაო ცოდნა აქვს, ინტერესით მოიპოვებს სხვადასხვა მასალას და წერს თხზულებას /პროექტს/ რათა უფრო მეტი ისწავლოს, ანუ გახდეს უფრო კომპეტენტური.

### რა ურთიერთმიმართება არსებობს მოტივაციასა და სწავლის ეტაპებს შორის?

მოტივაციის და სწავლა-სწავლების საკითხის ურთიერთდამოკიდებულები-სას უნდა განვიხილოთ:

- მოტივაცია სწავლის დასაწყისში
- მოტივაცია სწავლის პროცესში
- მოტივაცია სწავლის ბოლოს

### რა მოტივაციური ფაქტორები არსებობს სწავლის დასაწყისში?

სწავლის დაწყების ეტაპზე არსებობს ორი მთავარი მოტივაციური ფაქტორი: ატიტუდები (დამოკიდებულება) და მოთხოვნილება.

ატიტუდები – მასწავლებელმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ თუ რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს შესასწავლი საგნის, საკითხის მიმართ. ეს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლეთა წარმატებას, ვიდრე უნარი.

### რა მოტივაციური ფაქტორები არსებობს სწავლის პროცესში?

არსებობს ორი მთავარი მოტივაციური ფაქტორი: სტიმულაცია და ზეგავლენა.

### რა მოტივაციური ფაქტორები არსებობს სწავლის ბოლოს?

არსებობს ორი მთავარი მოტივაციური ფაქტორი: კომპეტენცია და განმტკიცება.

## პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

ინტერაქტიური სწავლებისას მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გამოიყენოს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება. დავაკონკრეტოთ, რა შეიძლება ჩაითვალოს პრობლემად.

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც საჭიროებს შესწავლას და გადაჭრას. პრობლემის გადაჭრა გულისხმობს გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით.

### რას წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის უნარი?

პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევას, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას.

### პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების დროს, რა შეიძლება იყოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპები?

პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპებია:

1. პრობლემის განსაზღვრა;
2. შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება;
3. პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზების დადგენა;
4. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ხერხების მოფიქრება;
5. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევა;
6. პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება;
7. შედეგების შემოწმება და შეფასება.

### რა მიზანი აქვს პრობლემების გადასაჭრელად მოსწავლეების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერას?

ამ ნაბიჯებს მასწავლებლისათვის სამი მიზანი აქვს:

1. შეაფასოს, თუ როგორ გადაჭრიან მოსწავლეები პრობლემებს;
2. განსაზღვროს, თუ რამდენად კარგად ესმით და აღწერენ მოსწავლეები პრობლემის გადაჭრის პროცესს;

3. შეისწავლოს მოსწავლეების აზროვნების პროცესი და განიხილოს მათთან ერთად პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

### ასეთი სწავლება რის საშუალებას აძლევს მასწავლებელს?

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაანალიზოს მოსწავლეთა ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მასწავლებელს შეუძლია, დაადგინოს პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები აქვს თითოეულ მოსწავლეს; მისცეს მოსწავლეს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე უკეთ გაიგებს საკუთარი შეცდომების მიზეზს და ისწავლის პრობლემის გადაჭრის პროცესის კონტროლს.

### პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა რომელი საგნისთვისაა მნიშვნელოვანი?

პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი საგნის შესწავლისთვის.

**საზოგადოებრივი** მეცნიერებების სწავლების დროს, პრობლემების გადაჭრა მიმდინარეობს წყაროების ანალიზზე, რეალურ სიტუაციებზე დაყრდნობით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით და ა.შ.

**საბუნებისმეტყველო** საგნებში – პრობლემური სიტუაციების გადანწყვეტა ეფუძნება კვლევებს, ექსპერიმენტებს, ცდებს, ანალიზს და ა.შ.

**მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/შრომით** სწავლებაში პრობლემების გადაჭრა უფრო შემოქმედებითი ხასიათისაა.

**ქართულში** პრობლემის გადაჭრა მიმდინარეობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი მიდგომის გზით.

**უცხო ენებში** არსებობს საკითხავი, მოსასმენი, წერითი და ზეპირმეტყველებითი პრობლემური ამოცანები.

### რა მიზანი აქვს პრობლემის გადაჭრის პროცესს სასწავლო პროცესში?

პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასების სასწავლო მიზნებია:

- მოსწავლეებმა შეძლონ ნაცნობი პრინციპების განზოგადება და პრობლემებთან მისადაგება;
- პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საგნის სპეციფიკის გათვალისწინება;
- სწავლის სტრატეგიების და უნარ-ჩვევების განვითარება.

ამგვარი სწავლება სასწავლო პროცესს ინტელექტუალურად უფრო დატვირთულს ხდის, ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციის დონეს და აძლიერებს სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს.

### რაში ეხმარება მასწავლებელს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება?

მასწავლებელს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება ეხმარება, გამოიკვლიოს საერთო სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს წინსვლაში და წარმოადგენს ახალი მასალის აუთვისებლობის საფუძველს; ნათელს ხდის მოსწავლეთა საჭიროებებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეარჩიოს სწორი სტრატეგია შემდგომი საქმიანობისათვის.

## სწავლა-სწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმა

**საგნობრივი პროგრამების სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები რამდენი კატეგორიის ცოდნას მოიცავს?**

საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას:

1. **დეკლარატიულს**, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას. დეკლარატიულია მოსწავლის ცოდნა, თუ მან იცის კონკრეტული მათემატიკური ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას;
2. **პროცედურულს** ანუ დინამიურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურულია მოსწავლის ცოდნა, თუ ის ასრულებს მათემატიკურ ოპერაციას. პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება;
3. **პირობისეულ ცოდნას**, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. პირობისეულია მოსწავლის ცოდნა, თუ მას შეუძლია დასმული, ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო მათემატიკური ოპერაცია.

**რა არის საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპი?**

საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. მასში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

**აღწერეთ ზოგადი განათლების საფეხურებრი?**

სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს:

1. დაწყებითი - I-VI კლასები;
2. საბაზო - VII-IX კლასები;
3. საშუალო - X-XII კლასები.

## დანყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

სრული ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში.

## აღწერეთ სასწავლო წლის კალენდარი საჯარო სკოლაში

სასწავლო წლის დანყება და დასრულება	სემესტრები	სასწავლო კვირა	გაკვეთილის ხანგრძლივობა	დასვენებები
სასწავლო წლის დანყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით.	სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.	სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც. კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;</li> <li>ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები.</li> </ul>	გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამოწვევის წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს გამოწვევის ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით.	გაკვეთილებს შორის მინიმუმ ერთი შესვენების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 15 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

## რამდენი შეიძლება იყოს საჯარო სკოლის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა?

კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 30 მოსწავლით; **გამონაკლისი** დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35-ს.

## რა დროს არის პარალელური კლასების არსებობა დასაშვები საჯარო სკოლაში?

პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 18. **გამონაკლისი** მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

## რა დროს და როგორ ხდება კლასების გაყოფა საჯარო სკოლაში?

კლასის გაყოფა დასაშვებია ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხოურ ენებში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს და სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. უცხოურ ენებში დასაშვებია განაყოფები დაკომპლექტდეს მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით.

## ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მცირეკონტინგენტის სკოლებში კლას-კომპლექტების შექმნას; რა რეკომენდაციები არსებობს ამასთან დაკავშირებით?

- კლას-კომპლექტებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს.
- კლას-კომპლექტების შექმნის შემთხვევაში, რეკომენდებულია, ისინი შეიქმნას საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი.
- კლას-კომპლექტის შექმნის შემთხვევაში თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი კლასისთვის/საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საათების რაოდენობა.
- კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს.

## ეროვნულ სასწავლო გეგმაში რა მოთხოვნა არსებობს დამრიგებლების მიმართ?

საჯარო სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი. დამრიგებელი უნდა ასწავლიდეს თავის სადამრიგებლო კლასს.

## ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით რა მიზანი აქვს დამრიგებლის მუშაობას?

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უჭიტიარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

## ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორია დამრიგებლის მოვალეობები?

დამრიგებლის მოვალეობებია:

1. გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანანესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
2. რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი (დანყებით და საბაზო საფეხურზე);
3. დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
4. იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
5. რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია, ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;
6. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

## ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ უნდა შეიქმნას საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში?

საჯარო სკოლა უფლებამოსილია, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნას კათედრები, რომლებშიც გაერთიანებული იქნება საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივი ჯგუფის თითო მასწავლებელია, შესაძლებელია, სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის პედაგოგები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ (მაგ. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების); აგრეთვე, შესაძლებელია, სკოლამ შექმნას დანყებითი საფეხურის კათედრა.

## ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რა არის კათედრების ფუნქციები?

1. საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
2. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
3. საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
4. სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ. ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
5. ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;
6. რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

## ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ ხდება კათედრის თავმჯდომარის შერჩევა?

1. კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით;
2. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი როტაციის პრინციპით ხდება კათედრის თავმჯდომარე. ერთი და იმავე პირის მეორედ არჩევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგნობრივი ჯგუფის თითოეული წევრი ერთხელ მაინც იქნება თავმჯდომარე.

### რაში მდგომარეობს კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები?

1. კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
2. სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
3. პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

### ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რა ინტენსივობით უნდა შეიკრიბოს კათედრა?

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

### როგორ უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო რესურსების მართვა?

სკოლამ უნდა უზრუნველყოს:

1. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა
2. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის შეიმუშაოს და მოსწავლეებს გააცნოს სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

### ჩამოთვალეთ საგანმანათლებლო რესურსების ტიპები?

1. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
2. დამხმარე ლიტერატურა;
3. საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
4. სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
5. ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

### ვინ ირჩევს სახელმძღვანელოებს?

სახელმძღვანელოებს ირჩევენ მასწავლებლები/კათედრები (კათედრების არსებობის შემთხვევაში).

### ვინ ამტკიცებს და რა ვადით არჩეულ სასკოლო სახელმძღვანელოებს?

პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, კლასების/საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს ცენტრის მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოების ნუსხას მინიმუმ 6 წლის განმავლობაში.

### რა შემთხვევაში ხდება არჩეულ სასკოლო სახელმძღვანელოების ვადის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, გამონაკლისის დაიშვება?

ექვსწლიანი ვადის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელდება არსებითი ცვლილება, რომელიც სახელმძღვანელოების შეცვლას მოითხოვს;
2. სახელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად ჩამოერთმევა გრიფი.

### როგორ ხდება სასკოლო სახელმძღვანელოების არჩევა პარალელური კლასებისათვის?

ერთი სკოლის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა პარალელში უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.

### როგორ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სკოლას შერჩეული სახელმძღვანელოების შესახებ მშობლებს?

სკოლამ არჩეული სახელმძღვანელოების სია უნდა გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

### ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რა ტიპის დამხმარე მასალის გამოყენების უფლება აქვს მასწავლებელს?

მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე/დამატებითი მასალის სახით, გამოიყენოს ნებისმიერი სასწავლო მასალა, რომელიც შერ-

ჩეული და დამტკიცებულია დადგენილი პროცედურებით. ამასთან, მასწავლებელს/სკოლას ეკრძალება, მოსთხოვოს მოსწავლეს არაგრიფირებული სახელმძღვანელოების/სხვა სასწავლო მასალის შექენა.

### რას უნდა ეფუძნებოდეს სასკოლო სასწავლო გეგმა?

სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას.

### რას ავალდებულებს კანონი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებაში?

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შეიმუშაოს საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის.

### ვინ შეიმუშავებს და ვინ ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას?

საჯარო სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმას მასწავლებლების/კათედრების (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) და დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

### რა დროს უნდა დამტკიცდეს სასკოლო სასწავლო გეგმა?

სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

### რა დანიშნულება აქვს სასკოლო სასწავლო გეგმას?

სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულებაა:

1. სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დააზუსტოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვა;
2. განსაზღვროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
3. დაგეგმოს სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

## რა სტრუქტურული ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს სასკოლო სასწავლო გეგმა?

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

1. სკოლის მისია;
2. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
3. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
4. სასკოლო საათობრივი ბაღე;
5. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
6. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
7. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
8. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.

## კანონის მიხედვით, როგორ უნდა გახდეს სასკოლო სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომი ყველასთვის?

სკოლის დირექცია ვალდებულია, დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს (შესაძლოა, კლასის დამრიგებლის საშუალებით) არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე და უზრუნველყოს ამ დოკუმენტის სრული ვერსიის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა გააცნოს ნებისმიერ ახალ მოსწავლესა და მის მშობელს.

## საჯარო სკოლას აქვს უფლება შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება?

სკოლას უფლება აქვს, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული

სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.

**რა შემთხვევაში აქვს საჯარო სკოლას უფლება მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება?**

საჯარო სკოლას უფლება აქვს მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ:

1. აღნიშნული მომსახურების განევა არ ხდება ამავე სკოლაში დასაქმებული მოსწავლეების მიერ;
2. ამ მომსახურებას არა აქვს საგაკვეთილო სახე;
3. აღნიშნული მომსახურების განევა არ ხდება შესაბამისი მოსწავლისათვის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს.

**რა შეიძლება იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება?**

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

1. დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის;
2. დამატებით ფაკულტატურ საგანს (ნრეს) მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან;

**რა უნდა განსაზღვროს სკოლამ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესათავაზებლად ?**

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესათავაზებლად სკოლამ უნდა განსაზღვროს:

1. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;
2. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე (ფაკულტატიური/სავალდებულო);
3. თითოეული დამატებითი საგნისათვის სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში);
4. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასების პრინციპები.

### **რას უნდა მოიცავდეს დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა?**

დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს:

1. საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შექმნას ითვალისწინებს ეს კურსი);
2. შეფასების პრინციპებს (ქულა, ჩათვლა);
3. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

### **ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის საათების კონკრეტული ოდენობა?**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის საათების კონკრეტული ოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ არის. სკოლამ, ასეთი სახის მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, თავად უნდა განსაზღვროს იგი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგნების გათვალისწინებისას სკოლამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებს სათანადოდ დასვენებისა და კვების საშუალება ჰქონდეთ.

### **რას მოიცავს სასკოლო საათობრივი ბადე?**

სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით. სასკოლო საათობრივ ბადეში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგ-

ნები, ასევე დამატებითი სავალდებულო საგნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

### აქვს თუ არა სკოლას უფლება, ცვლილება შეიტანოს საათობრივ ბადეში?

სკოლას უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმით ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაანაწილოს საგნებს შორის.

### აქვს თუ არა სკოლას უფლება, საათობრივი ბადიდან ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგანი?

სკოლას უფლება არა აქვს, საათობრივი ბადიდან საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი.

### აქვს თუ არა სკოლას უფლება გააძლიეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლება?

სკოლა უფლებამოსილია, გააძლიეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების სწავლება.

### საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მისაღებად რა უნდა წარადგინოს სკოლამ სამინისტროში?

საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მისაღებად საჯარო სკოლამ სამინისტროში უნდა წარადგინოს:

1. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის განერილი გაძლიერებული სწავლების საგნის/საგნების სასწავლო პროგრამები (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში);
2. სწავლის პროცესში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

## რაში მდგომარეობს მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები?

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.
2. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.
3. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

## რამდენი ტიპის შეფასება გამოიყენება სკოლაში?

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

## რას აკონტროლებს განმსაზღვრელი შეფასება?

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

## რას აკონტროლებს განმავითარებელი შეფასება?

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

## რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება?

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

## ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

## ვინ შეიძლება იყოს სსსმ ?

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

1. ფიზიკური დარღვევა;
2. ინტელექტუალური დარღვევა;
3. სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
4. მეტყველების დარღვევა;
5. ქცევითი და ემოციური დარღვევა;
6. გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
7. სირთულეები სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

## რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

## რა უნდა განისაზღვროს ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში?

ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს/განისაზღვროს:

1. რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრება სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები;
2. დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;
3. მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;
4. დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, ძიძა) საჭიროება;
5. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);
6. მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერთა სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.).

## ვინ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას?

სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია, მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი). თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ისე ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

## ვინ შეიძლება გაერთიანდეს ისგ ჯგუფში?

ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ

- პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
- მშობელი/მშობლები;
- სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები;
- ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, თუკი სკოლას ჰყავს ასეთი.

ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფის კოორდინატორი მიზანშეწონილია იყოს სსსმ მოსწავლის დამრიგებელი; ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ინარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;

## როგორ ხდება სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება?

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

## როგორ ხდება სსსმ მოსწავლის სემესტრული, წლიური, საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება?

სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური, საერთო წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ამ გეგმის მე-20 მუხლის შესაბამისად.

## დასაშვებია თუ არა რომ, სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში?

გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

## **თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება, როგორ აბარებენ მას სსსმ მოსწავლეები?**

თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალის ადაპტირება - უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

## **რა შემთხვევაში ხდება სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება?**

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინ სწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

## **როგორ განისაზღვრება იმ საგნების ჩამონათვალი, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ?**

მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.

## **როგორ მიმდინარეობს იმ საგნების სწავლების მონიტორინგი, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ?**

შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.

## **ვინ არის ჩართული შინ სწავლების პროცესში?**

შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

## რა შემთხვევაში ხდება შინ სწავლების პროცესში ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციის გამოყენება?

შინ სწავლების პროცესში ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება, თუკი სკოლას ამის შესაძლებლობა აქვს, ეფექტურია დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით. ვიდეოკონფერენციის გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება; გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზეა პასუხისმგებელი და ა.შ.

## ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორია მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლებისას?

მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასტრონომიული) საათები კვირის მანძილზე	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

## რა არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზანი?

**განმავითარებელი** - სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელსეწყობა

**განმსაზღვრელი** - სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.

## რა წარმოადგენს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგანს?

განმავითარებელი - სწავლის პროცესი;

განმსაზღვრელი - სწავლის შედეგი.

## რა არის შეფასების საშუალებები?

**განმავითარებელი შეფასება** - თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა, კითხვა-პასუხი, სიტყვიერი კომენტარი, უნარის განვითარების დონის აღწერა;

**განმსაზღვრელი შეფასება** - ქულა.

### რის საფუძველზე ხდება შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა განმსაზღვრელი შეფასებისას?

იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში).

### რის საფუძველზე ხდება შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა განმავითარებელი შეფასებისას?

კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)

### როგორია აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა?

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.
2. I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.
3. V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით.
4. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.
5. V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

### იანგარიშება თუ არა დამატებითი სავალდებულო საგნის შეფასება წლიური ქულის გამოთვლისას?

დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას.

### როგორ ფასდება მოსწავლე აბიტურის საათის ფარგლებში?

მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შესაძლებელია, შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

### ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ჩამოთვალეთ საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები?

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

1. საშინაო დავალება;
2. საკლასო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება.

შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

### ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

ამ კომპონენტით შეფასებისას:

1. სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);
2. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);
3. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

### ჩამოთვალეთ და აღწერეთ განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

1. საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები — საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

2. საგნის სემესტრული ქულა — საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);
3. საგნის წლიური ქულა — სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე;
4. საერთო წლიური ქულა — საგნების წლიური ქულებიდან გამომდინარე შეფასება;
5. საფეხურის საერთო ქულა — ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დანყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

### როგორ ხდება საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშება?

1. მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
2. მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

### როგორ ხდება საგნის წლიური ქულის გამოანგარიშება?

1. საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
2. საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
3. თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალბული მთელის სიზუსტით).

### როგორ ხდება საერთო წლიური ქულის გამოანგარიშება?

1. საერთო წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად უნდა შეიკრიბოს ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული კლასისთვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის წლიური ქულა (საშუალო საფეხურზე, აგრეთვე, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არჩევითი საგნების ქულები სავალდებულო საგნების წლიურ ქულებთან ერთად) და ჯამი გაიყოს ქულების რაოდენობაზე;
2. საერთო წლიური ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 7.14 მრგვალდება 7.1-მდე, 8.15 მრგვალდება 8.2-მდე).

### როგორ ხდება საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშება?

1. საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ქულა: ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა (მაგ. მათემატიკა მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-10 კლასი, ქართული მე-11 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
2. საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

### რა შემთხვევაში ითვლება კლასი დაძლეულად?

კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5 ან მეტი, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

### რა შემთხვევაში ითვლება საფეხური დაძლეულად?

1. დანყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
2. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების, ან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

3. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0-ან მეტი, რაც აძლევს მას სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლებას.

### **საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლის მიერ გაცდენილი საათები რა ფაქტის წინაშე აყენებს მოსწავლეს?**

თუ საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის ერთი სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 1/4 და მეტი, მაგრამ 1/2-ზე ნაკლები, მისი საგნის სემესტრულ ქულას დააკლდება 20%. თუ მოსწავლეს არ აკმაყოფილებს მიღებული შეფასება, მას მიეცემა საშუალება, გავიდეს სკოლის მიერ ორგანიზებულ სემესტრულ გამოცდაზე.

### **საშუალო საფეხურის მოსწავლის მიერ გაცდენილი საათები რა ფაქტის წინაშე აყენებს მოსწავლეს?**

თუ საშუალო საფეხურის მოსწავლემ გააცდინა ერთი სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისთვის გათვალისწინებული საათების 1/2 და მეტი, იგი ამ საგანში არ იღებს საგნის წლიურ ქულას. ამ შემთხვევაში მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. საბაზო საფეხურის მოსწავლის მიერ ერთი სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისთვის განთვალისწინებული საათების 1/2 და მეტის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლეთა შეფასების წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

### **აბიტურის საათების გაცდენების აღრიცხვაც ჩვეულებრივი წესით ხდება?**

მოსწავლეთა გაცდენები, მათ შორის აბიტურის საათის გაცდენა, აღრიცხება უურნალოა. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. ამასთან, აბიტურის გაცდენილი საათები არ იანგარიშება და არ ემატება საერთო გაცდენებს.

### **როგორ უნდა მოიქცეს სკოლა თუ ის სამედიცინო დაწესებულებიდან იღებს ცნობას მოსწავლის ავადმყოფობის და მკურნალობის ერთ თვიანი ან მეტი ხანგრძლივობის შესახებ?**

სკოლა ვალდებულია, შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლელი, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე

გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გავრცელებული მოთხოვნები.

### როგორ იქცევა სკოლა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში?

1. ერთი კვირის მანძილზე სკოლის გაცდენის შემთხვევაში, თუ სკოლა აღნიშნულის შესახებ ოფიციალურად არის ინფორმირებული, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება არების არასაპატიოდ ჩათვლის გაუვრცელებლობის თაობაზე;
2. თვეზე მეტი ვადით სკოლის გაცდენის შემთხვევაში, თუ სკოლა - აღნიშნულის შესახებ ოფიციალურად არის ინფორმირებული სკოლის დირექტორი ან მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება არების არასაპატიოდ ჩათვლის გაუვრცელებლობის თაობაზე;

### ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში რა ტიპის გამოცდები შეიძლება ჩარატდეს?

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

1. სემესტრული გამოცდა;
2. წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
3. საშემოდგომო გამოცდა;
4. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა;
5. სკოლის გამოსაშვები გამოცდა

### რა შემთხვევაში ინიშნება სემესტრული გამოცდა?

სემესტრული გამოცდა ინიშნება:

1. იმ შემთხვევაში როდესაც მოსწავლეს, სემესტრის განმავლობაში საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 1/4 და მეტის გაცდენის გამო დააკლდა საგნის სემესტრული ქულის 20% და ამ ქულის გამოსწორება სურს, ან თუ მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეინარჩუნოს საგნის სემესტრული ქულა, რომელიც მას ჰქონდა ქულის 20%-ით დაკლებამდე, მან გამოცდაზე უნდა მიიღოს იგივე ან უფრო მაღალი ქულა. თუ მოსწავლე

გამოცდაზე მიიღებს უფრო დაბალ ქულას, ვიდრე იყო მისი საგნის სემესტრული ქულა 20%-ის დაკლებამდე, მისი საგნის სემესტრული ქულა იანგარიშება შემდეგნაირად: 20%-ით დაკლებულ სემესტრულ ქულას ემატება გამოცდის ქულა და ჯამი იყოფა ორზე;

- იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;

### რა ვადებში ინიშნება სემესტრული გამოცდა?

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

### როგორ ინიშნება წლიური გამოცდა?

წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე.

### რა გავლენას ახდენს წლიური გამოცდის ქულა საგნის წლიურ ქულაზე?

თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი იყოფა სამზე.

## რას აკეთებს სკოლა თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5 ზე ნაკლები?

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში.

## როგორია საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა?

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

## როგორ მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა?

განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

დაუშვებელია: მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით. ასევე, საჯარო სკოლამ მიიღოს სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები და სხვებს უარი უთხრას მიღებაზე. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ამ გეგმის მე-14 მუხლით განსაზღვრული სკოლებისათვის.

## როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ გაღრმავებული სწავლება?

მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლამ უნდა უზრუნველყოს გაღრმავებული სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

## რატომ ითვლება ერთ-ერთ ძირითად მეთოდურ ორიენტირად მოსწავლეთა ჩართულობა?

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

## საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპების გათვალისწინებით, რამდენი საგნობრივი ჯგუფია?

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:

1. სახელმწიფო ენა;
2. მათემატიკა;
3. უცხოური ენები;
4. საზოგადოებრივი მეცნიერებები;
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
6. ტექნოლოგიები;
7. ესთეტიკური აღზრდა;
8. სპორტი.

საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს.

## ტერმინთა განმარტება

**ანალოგიური რეაქციის კანონი** – თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, როცა ადამიანი ხვდება ახალ სიტუაციაში, პირველ რიგში მიმართავს იმ ქცევას, რომელსაც მიმართავდა მსგავს სიტუაციაში.

**აქტიური მოსმენა** – პროცესი, რომელიც ნიშნავს არა მხოლოდ ინფორმაციის გაგებას, არამედ იმის გაგებასაც, თუ როგორ და რა ემოციით ამბობს ინფორმაციას ადამიანი.

**არავერბალური კომუნიკაცია** – კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ფიზიკური მახასიათებლებითა და ქცევით.

**აღქმის აუდიალური სტილი** – აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება აუდიალარული სახით (როდესაც მასალას ისმენს) — საუბრებით, დისკუსიით, დიალოგებით.

**აღქმის კინესთეტიკური სტილი** – აღქმის სტილი როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება შეხების გზით, როდესაც რაიმეს აკეთებს, ჭრის, აგებს, აწყობს ან ასრულებს როლს.

**აღქმის ვიზუალური სტილი** – აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის მიღება ვიზუალური სახით (როდესაც ხედავს) – სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით.

**ასოციაციური დასწავლა** — დასწავლის უმარტივესი ფორმა, როდესაც წარსული გამოცდილების გავლენით ერთი მოვლენა ასოციაციურად, გაუცნობიერებად, უკავშირდება მეორეს.

**ბიჰევიორიზმი** — ქცევათმეცნიერება, რომელიც სწავლის პროცესში ადამიანის ქცევაში ცვლილებას შეისწავლის.

**განდევნა** – ადამიანისათვის უსიამოვნო, მატრამვირებელი მოგონებებისა და მოვლენების დავინყება.

**განპირობება** – დასწავლის ტიპი, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის.

**განწყობის, ანუ დამოკიდებულების კანონი** – თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით ადამიანი იქცევა მისი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების გათვალისწინებით.

**გარეგანი მოტივაცია** – მოტივაციის ტიპი, როდესაც ადამიანი ძირითადად საქმიანობს გარეგანი ჯილდოს მისაღებად: შექება, ფულადი ჯილდო, სერთიფიკატი და ა.შ.

**დამახინჯება** – დავინყების ფორმა, როდესაც ინფორმაცი არ არის გამჭრალი მეხსიერებიდან, თუმცა შეიძლება დამახინჯდეს ან აირიოს სხვა მოგონებებთან.

**დახურული შეკითხვა** — შეკითხვის ტიპი, რომლის პასუხები წინასწარ განსაზღვრულია.

**დომინანტური ელემენტების კანონი** — თორდაიკის კანონი, რომლის მიხედვით პრობლემურ სიტუაციაში ორგანიზმი რეაგირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან (დომინანტურ) ელემენტებზე.

**ეფექტის კანონი** — თორდაიკის კანონი, რომლის მიხედვით ხდება იმ ქცევის გამეორება, დასწავლა, რომელსაც თან ახლავს „კმაყოფილების მდგომარეობა“.

**ვერბალური კომუნიკაცია** — კომუნიკაცია სიტყვების გამოყენებით.

**ვიზუალური სტილი** — აღქმის სტილი, როდესაც ადამიანს უადვილდება ახალი ინფორმაციის ვიზუალური სახით მიღება — სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით და ა.შ.

**ინფორმაციის წყარო** — კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გამცემი მხარე.

**ინფორმაციული მოდელი** — კოგნიტური თეორია, რომელიც ადამიანის შემეცნებით პროცესებს კომპიუტერის ფუნქციონირებას ადარებს.

**კლასიკური განპირობებულობა** — დასწავლის ტიპი, რომლის დროს თავდაპირველად ნეიტრალური სტიმული ავტომატურად რეაქციის გამომწვევ სტიმულთან დაწყვილების შემდეგ ორგანიზმის ანალოგიურ რეაქციას იწვევს.

**კოგნიცია** — შემეცნება, ინფორმაციის გადამუშავების ოპერაციათა ნაირსახეობა.

**კოგნიტივიზმი** — მიდგომაა, რომელიც შემეცნებისათვის საჭირო პროცესებს აღქმას, მეხსიერებას, ყურადღებას, აზროვნებას შეისწავლის.

**კოგნიტური თეორია** — სწავლის თეორია, რომელიც სწავლის პროცესში კოგნიტური პროცესების გავლენას შეისწავლის.

**კომუნიკაცია** — ადამიანებს შორის ურთერთობის პროცესი, რომლის მიზანია ინფორმაციის გადაცემა.

**კონსტრუქტივიზმი** — მიდგომა, რომელიც სწავლის პროცესში აქცენტს აკეთებს მოსწავლეზე, სტუდენტზე და არა მასწავლებელზე.

**მეტაშემეცნება** — ზრდასრული ადამიანის უნარი, აკონტროლოს საკუთარი შემეცნებითი პროცესები.

**მოდელი** — ადამიანი, რომელსაც სოციალური ქცევის დასასწავლად აკვირდებიან.

**მოდელირება** — მოდელზე დაკვირვების გზით გარკვეული მოქმედებების ან

ქცევის ათვისების პროცესი.

**მოტივაცია** – იმპულსი, რომელიც უბიძგებს ადამიანს გარკვეული მიზნის მისაღწევად განახორციელოს მიზანმიმართული ქცევა.

**მოტივაციის აქტივაცია** – გარე სტიმულების საშუალებით პიროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა, რაც მას უბიძგებს გარკვეული ქმედებებისაკენ.

**მოტორული რეპროდუქცია** – გონებაში წარმოდგენილი ქცევის მოქმედებაში გადატანა.

**მრავალი რეაქციის კანონი** – თორდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, როდესაც ადამიანი გადააწყდება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არა აქვს მზა ქცევა, ის მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას მანამ, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო შედეგი არ მოჰყვება.

**მრავალმხრივი ინტელექტის თეორია** – თეორია, რომლის მიხედვით ადამიანს 8 სახის განსხვავებული ინტელექტი აქვს: ლინგვისტური, ლოგიკური და მათემატიკური, სივრცითი, მუსიკალური, კინესთეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური; როგორც წესი, ადამიანს ერთი მათგანი ყველაზე განვითარებული (დომინანტური) აქვს.

**მზაობის კანონი** – თორდაიკის კანონი, რომლის მიხედვით ნებისმიერი რეაქციის დასწავლა არდასწავლა ადამიანის მზაობაზეა დამოკიდებული.

**ნეგატიური დასჯა** – პოზიტიური სტიმულის მოშორება არასასურველი ქცევის შემდეგ.

**ნეგატიური განმტკიცება** – განმტკიცება, რომელიც არასასიამოვნო სტიმულის მოცილებას გულისხმობს.

**ოპერანტული განპირობება** – დასწავლის ტიპი, რომლის დროს ქცევის განმეორება ანუ დასწავლა დამოკიდებულია ქცევის შედეგზე.

**პედაგოგიური მიზანი** – გეგმა სტუდენტების მოსალოდნელ მიღწევების შესახებ (გაკვეთილის, კვირის, სემესტრისა ან წლის განმავლობაში).

**პოზიტიური დასჯა** – დასჯის ტიპი, როდესაც უსიამოვნო სტიმული გამოიყენება არასასურველი ქცევის აღკვეთის მიზნით.

**პოზიტიური განმტკიცება** – განმტკიცება, რომელიც დადებითი სტიმულების გაზრდას, დამატებას გულისხმობს.

**პროაქტიური შეფერხება** – დავინყება, როდესაც ძველად ნასწავლი მასალა ახლად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

**რეაქცია** – ფსიქიკური ან ორგანული პროცესი, ქცევა, რომელიც სტიმულითაა გამოწვეული.

**რეტროაქტიური შეფერხება** — დავიწყება, როდესაც ახლად ნასწავლი მასალა ძველად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

**ღია შეკითხვა** – შეკითხვის ტიპი, რომლის პასუხები წინასწარ განსაზღვრული არ არის.

**სენსორული მეხსიერება** — მეხსიერების საცავი, რომელშიც შეგრძნებები ინახება: მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური;

**შინაგანი მოტივაცია** – მოტივაციის ტიპი, როდესაც ადამიანს თავად სიამოვნებს მოქმედება გარეგანი ჯილდოს მიღებისდა მიუხედავად.

**სტიმული** – ნებისმიერი გარემო ფაქტორი, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს გრძნობის ორგანოებით.

**სწავლა** – ახალი ინფორმაციის, ცოდნის, ჩვევების, დამოკიდებულებებისა და განწყობების შექმნა.

**სწავლის შედეგი** — განაცხადი იმის შესახებ, თუ რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს მოცემული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.

**ტაქსონომია** – კლასიფიკაცია, რომელიც ობიექტს თუ მოვლენას აღწერს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ.

**ყურადღება** — გარემოში გარკვეული სტიმულებისა და მოვლენების შემჩნევის და სხვების უგულველყოფის უნარი.

**ხანგრძლივი მეხსიერება** – მეხსიერების ტიპი, რომელიც ინფორმაციას ხანგრძლივი დროის მანძილზე ინახავს — კვირები, თვეები, წლები.

**ხანმოკლე მეხსიერება ანუ მუშა მეხსიერება**– მეხსიერების ტიპი, რომელიც მასალას რამოდენიმე წამის განმავლობაში ინახავს.

**ჰუმანისტური ფსიქოლოგია** — ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც სწავლობს ადამიანის უნიკალობასა და „მე“-ს ფორმირებას.

**ჰუმანისტური თეორია** – თეორია, რომელიც სწავლის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას პიროვნულ, ინდივიდუალურ განსხვავებებს ანი

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ბოჭორიშვილი, ნ.ნაბულიშვილი ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები 1 და 2 ნაწილი 2005.
2. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008
3. სასწავლო გარემო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008
4. სწავლის და განვითარების თეორიები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008
5. წიგნიერების, მათემატიკური წიგნიერების და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2011
6. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
7. ეფექტური სწავლება თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი. 2010
8. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. A Pearson Education Company. 2001. 8th edition
9. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups. Forum. 2002. Volume40, Number 1, pg44-49
10. [http://www.columbia.edu/cu/tat/old/4\\_teaching.html](http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html)

## ტესტი

### დავალბა №1

ნინო მომავალი მასწავლებელია, მან მენტორი მასწავლებელისაგან გაიგო, რომ არსებობს **საშინაო დავალების სამი ფორმა**: პრაქტიკული, მოსამზადებელი და გაღრმავების დავალება.

ნინო იმ დღეს 4 გაკვეთილს დაესწრო და ცდილობს დააზუსტოს რომელი წარმოადგენს **მოსამზადებელი** დავალების ნიმუშს?

- ქართულის მასწავლებელი** - "შუშანიკის წამების" ახსნამდე მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ამ ეპოქის შესახებ ისტორიული ცნობების მოძიებას.
- გეოგრაფიის მასწავლებელი** - თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს თითოეული გეოგრაფიული სარტყლისთვის დამახასიათებელი თვისებების აღწერას.
- მათემატიკის მასწავლებელი** - ფართობის გამოანგარიშების წესის ახსნის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გამოთვალონ თავიანთი საძინებელი ოთახის ფართობი.
- ბიოლოგიის მასწავლებელი** - ავალებს მოსწავლეებს ადამიანის ნივთიერებათა ცვლის პროცესის მექანიზმები მიუსადაგონ ქიმიაში შესწავლილ კანონზომიერებებს.

### დავალბა №2

ქიმიის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა **ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა**. ნინო მონდომებით მუშაობდა და პირველმა დაასრულა დავალება. მასწავლებელმა მისი ნაშრომი შეამოწმა და ნახა, რომ ნინომ ამოცანის ამოხსნის სწორი გზა აირჩია, მაგრამ მცდარი პასუხი მიიღო.

მასწავლებლის რომელი კომენტარი **შეუნარჩუნებს მოსწავლეს მოტივაციას**?

- ნინო, სწორი გზა აგირჩევია, მაგრამ საბოლოო პასუხს დაუკვირდი და შეასწორე.
- ნინო, თუ შეიძლება ამოცანა თავიდან ამოხსენი. სამწუხაროდ, პასუხი არ არის სწორი.
- ნინო, პასუხი არ არის სწორი. ალბათ იჩქარე და უყურადღებოდ იმუშავე ამოცანაზე.
- ნინო, სწორი პასუხია „შვიდი“ და არა „მინუს შვიდი“. კიდევ ერთხელ გადახედე!

### დავალბა №3

მარიამი დამწყები მასწავლებელია, მას აუხსნეს, რომ პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად **საკლასო ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელი არსებობს**. ყოველ მათგანს მისთვის დამახასიათებელი უპირატესობა აქვს და კონკრეტული სასწავლო მიზნისთვის გამოიყენება.

ის დაფიქრდა - საკლასო ორგანიზაციის რომელ ფორმას **უნდა მიანიჭოს უპირატესობა**, როდესაც მასწავლებლის მიზანია **საკაკვეთილო დროის დაზოგვა და ინფორმაციის სწრაფად გადაცემა**?

- |                            |                      |
|----------------------------|----------------------|
| ა) საერთო საკლასო მუშაობას | გ) ჯგუფურ მუშაობას   |
| ბ) ინდივიდუალურ მუშაობას   | დ) საკლასო დისკუსიას |

## დავალბა №4

**მეტაკოგნიცია** გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი აზროვნების პროცესის შეფასებას, სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებას.

ამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობებია ყველაზე ეფექტიანი მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად?

- I. მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ ამოხსნის სამი ხერხიდან ერთ-ერთი და ახსნან, რაში ხედავენ მის უპირატესობას.
- II. მასწავლებელი სამკუთხედების ტოლობის ნიშნების ახსნისას თვალსაჩინოების გამოყენებით განუმარტავს მოსწავლეებს, რა განაპირობებს სამკუთხედების ტოლობას.
- III. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაახარისხონ ინფორმაცია მართკუთხა და ბლაგვკუთხა სამკუთხედის შესახებ, დაადგინონ მათ შორის მსგავსება-განსხვავება და შეავსონ ცხრილი.

- ა) მხოლოდ I და II
- ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II
- დ) მხოლოდ III

## დავალბა № 5

ნაკითხულის გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტექსტის ნაკითხვამდე მისი შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა სათაურის, ილუსტრაციების, ძირითადი ცნებების მიხედვით. სწორედ ვარაუდების გამოთქმაზეა აგებული მეთოდი **ტექსტის პაუზებით კითხვა**. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული, სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის კითხვისას (მაგალითად, რაიმე მოვლენის/ექსპერიმენტის აღწერისას მოსწავლეებმა შეიძლება გამოთქვან შიპოთეზები მისი მიმდინარეობის შესახებ).

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი რჩევის გათვალისწინება შეუწყობს ხელს პაუზებით კითხვის მეთოდის ეფექტიან გამოყენებას?

- ა) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ძალიან მოკლე, მარტივი, ნაცნობი ლექსიკით და არ უნდა შეიცავდეს უცნობ ტერმინებს.
- ბ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ვრცელი, რათა იძლეოდეს შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას.
- გ) წასაკითხი ტექსტი უცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის და პირობითად იმგვარად დაყოფილი, რომ აღძრავდეს მათში ცნობისმოყვარეობას.
- დ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ნაცნობი, რომ მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ შეცდომის დაშვების შიში და არ დაკარგონ ვარაუდების გამოთქმის სურვილი.

### დავალბა № 6

ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იცნობდეს მოსწავლის სააზროვნო პროცესებს და შეძლოს მათი სტიმულირება. ჩადაწყვიტა, დავალებები შეერჩია სასწავლო მიზნების შესაბამისად.

**მოსწავლეებმა მოთხრობის შესწავლა დაასრულეს. მარინა მასწავლებელმა მათთვის აზროვნების სხვადასხვა დონის შესაბამისი დავალებები შეადგინა.**

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალებაა ორიენტირებული ანალიზის დონეზე და არ მოითხოვს უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარებს?

- ა) მოიფიქრეთ მოთხრობის მთავარი გმირის მსგავსი პერსონაჟი და შექმენით სიუჟეტი, რომელშიც მისი ხასიათი კარგად გამოჩნდება.
- ბ) შეარჩიეთ მოთხრობის გმირის რამდენიმე ქმედება და დაუკავშირეთ ისინი მისი ხასიათის თავისებურებებს.
- გ) აირჩიეთ რომელიმე გმირი მოთხრობიდან და შეაფასეთ მისი როლი მოცემულ ნაწარმოებში.
- დ) აღწერეთ, როგორ განვითარდებოდა მოთხრობაში აღწერილი მოვლენები, მოქმედება რომ ჩვენს დროში ხდებოდა.

### დავალბა №7

**მარინა მასწავლებელმა თავის მეექვსეკლასელ მოსწავლეს ამოსახსნელად მისცა ამოცანა, რომელსაც მოსწავლემ თავი ვერ გაართვა.**

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, რა უნდა გააკეთოს მარინა მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს საკითხის გააზრებაში და ამავედროულად ხელი შეუწყოს მის კოგნიტურ განვითარებას?

- ა) მარინა მასწავლებელმა შეურჩიოს მოსწავლეს უფრო მარტივი დავალება.
- ბ) მარინა მასწავლებელმა მისცეს მოსწავლეს საშუალება, დავალება სახლში შეასრულოს.
- გ) მარინა მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს მინიშნებებით დავალების შესრულებაში.
- დ) მარინა მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეს იმავე თემაზე მსგავსი დავალების შესრულება.

### დავალბა №8

ნინო მასწავლებელმა პირველკლასელ მარის მათემატიკის ერთ-ერთი საკითხის ახსნისას სხვადასხვა სიგრძის ფანქრები მისცა და სთხოვა მათი დანყოფა სიგრძის ზრდის მიხედვით.

**პაიუყს თეორიის მიხედვით, ბავშვის რომელი უნარის გამოვლენა სურს ამ გზით მასწავლებელს?**

- ა) კონსერვაციის უნარის
- ბ) ტრანზიტულობის უნარის
- გ) სერიაციის უნარის
- დ) შექცევადობის უნარის



### დავალეზა №12

ნინო დამწყები მასწავლებელია, მან უნივერსიტეტში ისწავლა, რომ უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს, ესენია: **ექსტროგენური ქცევა** და **ინტროგენური ქცევა**.

ჩამოთვლილთაგან რომელია **ექსტროგენური ქცევის** მაგალითი?

- ა) ზაზა ზაფხულში დაეხმარა ბიძას, რომელიც მშენებლობაზე მუშაობდა, რათა გამომუშავებული თანხით სასურველი პლანშეტი შეეძინა.
- ბ) გიორგი მშობლების საყვედურების მიუხედავად, მეცადინეობის ნაცვლად ძალიან დიდ დროს უთმობს ინტერნეტს. მას განსაკუთრებით უყვარს ფილმების ყურება ხელოვანთა ცხოვრების შესახებ.
- გ) ბექამ ამ ბოლო დროს სწავლას მოუკლო, რადგან მთელი დღის განმავლობაში ფეხბურთს თამაშობს, რომელიც მას ყველაფერს ურჩევნია.
- დ) ანის ძალიან მოსწონს კომპიუტერული თამაშები, იმდენად, რომ მისი საშინაო
  - დავალების რვეული ამ თამაშებიდან გადმოტანილი ნახატებით არის აჭრელებული

### დავალეზა №13

ნინო ქართული ენისა და ლიტერატურეს ცნობისმოყვარე მასწავლებელია, ის ბევრს მუშაობს და ეძიებს სიახლეებს. მან გაიარა სემინარი და გაეცნო **გარდნერის თეორიას**, **ინტელექტის ტიპებს**. მისი თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში უფრო ადვილია, როდესაც დავალებები და აქტივობები მათი ინტელექტის ტიპებს შეესაბამება.

ერთ-ერთი მოთხრობის შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეები მცირე ჯგუფებად დაყო, დაავალა მათთვის სასურველი ეპიზოდის შერჩევა და მისი უსიტყვოდ, პანტომიმის სახით წარმოდგენა.

გარდნერის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ინტელექტის მქონე მოსწავლეს გაუადვილდება მოთხრობაში აღწერილი სცენის უსიტყვოდ წარმოდგენა?

- |                     |                     |
|---------------------|---------------------|
| ა) ლინგვისტური      | გ) კინესთეტიკური    |
| ბ) ინტერპერსონალური | დ) ინტრაპერსონალური |

### დავალეზა №14

**ბრუნერის თეორიის მიხედვით, რომელია სწავლების ძირითადი პრინციპი?**

- ა) მნიშვნელოვანია ბავშვის ცალკეული სენსორული, მოტორული ფუნქციებისა და კოგნიტური უნარების განვითარების ხელშემწყობი ბუნებრივი გარემოს შექმნა.
- ბ) მნიშვნელოვანია ორიენტაცია ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაზე. რთული, მაგრამ დაძლევადი დავალებების მიცემა, საჭიროების შემთხვევაში თანატოლების ან უფროსების დახმარება.
- გ) მნიშვნელოვანია დემოკრატიულ იდეალებზე ფოკუსირება, სწავლების მიზნების განსაზღვრასა და საერთო ღირებულებების შექმნაში მოსწავლეთა თანამონაწილეობა.
- დ) მნიშვნელოვანია ე.წ. „სპირალური კურიკულუმის“ გამოყენება: სასწავლო გეგმის ისე ორგანიზება, რომ ყოველი ახალი ცნება უკვე დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნებოდეს.





ის არასოდეს უფიქრდება საკუთარი ქცევის შედეგებს, მთავარია, მისმა ქცევამ მეგობრების მოწონება დაიმსახუროს.

დ) მოსწავლეს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ყოველთვის დაემორჩილოს წესებს, რადგან ადამიანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქცეოდეს სიტუაციიდან და ზნეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე.

### დავალბა № 21

ცნობილია, რომ **ბლუმის ტაქსონომიას** წარმატებით იყენებენ განათლების სისტემაში პროგრამების შემუშავების და მათი შედეგების შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვისა და ტესტური დავალებების შედგენისას.

შეუსაბამეთ – სვეტში აღწერილი **ბლუმის ტაქსონომიის საფეხურები** – სვეტში მოცემულ დასახელებას.

აღწერა (A)	დასახელება (B)
I. კონკრეტული თემის ახსნისას მასწავლებელი განმარტავს ახალ წესებს, ცნებას, ან მიაწვდის ახალ ფაქტებს მოსწავლეებს.	ა) ცოდნა ბ) ჩაგება
II. მას შემდეგ, რაც მიწოდებულია ახალი ინფორმაცია, მასწავლებელმა კონკრეტულ თემაზე მსჯელობისას შეიძლება გამოყოს საკითხის სხვადასხვა მხარე და ერთმანეთს შეადაროს ისინი, ან პროცესი დაშალოს ელემენტებად,	გ) გამოყენება დ) ანალიზი ე) სინთეზი
III. მასწავლებელი ავალბებს მოსწავლეებს შესწავლილი ფაქტების, წესებისა თუ თეორიის საფუძველზე მოიფიქრონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზები, შეიმუშაონ ჰიპოთეზები და დასახონ მათი შემოწმების გზები	ვ) შეფასება

ჩანერეთ:

აღწერა (A)	I	II	III
დასახელება (B)			

**დავალება № 22**

კონფლიქტის განვითარება გზა ძალიან ჰგავს ქარბორბალას. მისი განვითარების გზა ეტაპობრივია შეუსაბამეთ – სვეტში **აღწერილი** კონფლიქტის ეტაპები – სვეტში მოცემულ კონფლიქტის ეტაპის **დასახელებას**.

აღწერა (A)	დასახელება (B)
<p>კონფლიქტში ჩართული ადამიანები კონფლიქტში რთვენ სხვა ადამიანებს (მეგობრებს, ნათესავებს). ალიანსში გაერთიანებული ადამიანები ცდილობენ, დაიცვან კონფლიქტის მხარე. თუ ამ ეტაპზე არ მოხდა მოლაპარაკება, კონფლიქტი გადადის შემდეგ ეტაპზე.</p>	<p>ა) საწყისი ეტაპი ბ) პრობლემების გამრავლება გ) მტრული ალიანსები დ) კომუნიკაციის დამახინჯება</p>
<p>ამ დროს ხდება ახალი პრობლემების დამატება. თუ არ მოხდა საწყისის პრობლემის განხილვა და და შემდეგ დანარჩენების გარკვევა, კონფლიქტი გადადის შემდეგ ეტაპზე</p>	<p>ე) უკიდურესი პოზიციები</p>
<p>ამ ეტაპზე ძალიან ხშირია ერთმანეთის შეურაცხყოფა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩარევა და კონფლიქტის შეჩერება. თუ ეს არ მოხდა, იწყება შემდეგი ეტაპი</p>	

**ჩანერეთ:**

აღწერა (A)	I	II	III
დასახელება (B)			

## პასუხები

1	ა	12	ა
2	ა	13	ბ
3	ა	14	დ
4	ბ	15	ა
5	ბ	16	ბ
6	ბ	17	ბ
7	ბ	18	ბ
8	ბ	19	ბ
9	დ	20	დ
10	ბ		
11	ბ		

21

აღწერა (A)	I	II	III
დასახელება (B)	ა	დ	ვ

22

აღწერა (A)	I	II	III
დასახელება (B)	ბ	ბ	დ

ISBN 978-9941-0-9702-7



9 789941 097027